ლიტერატურული გაზეთი

№18 (178) 30 სექტემბერი - 13 ოქტომბერი გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 80 თეთრი



ზაალ სამადაშვილი

ტარიელ ჭანტურია

არჩილ ქიქოძე

პაატა შამუგია

ირაკლი ლომოური

ლუკა ბაქანიძე

ზაზა ბიბილაშვილი




ზაალ სამადაშვილი

კალამს მიდევნებით დაწერილი

* * *

სად არ ვმუშაობდი მიწყდომ-მოწყდომის, საკეთებლის ძებნის დროს: ქარხანაში — ინჟინრად, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში — ლაბორანტად, გეოლოგიურ ექსპედიციაში — კოლექტორად, მწერალთა სახელოსნოში — სტაჟიორ-ლიტერატორად... ამ უკანასკნელს კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ ედო ბინა და მისი წევრები ცნობილი პროზაიკოსები და დრამატურგები იყვნენ. ისინი კვირაში ორჯერ იკრიბებოდნენ მოზრდილ, დიდფანჯრიან ოთახში, რომლის კედლებზე მათსავით კინოსთვის მომუშავე მხატვრების, მამა-შვილ მირზაშვილების და დიმა ერისთავის ნამუშევრები ეკიდა.

როცა მანეთზე მეტი მედო ჯიბეში — ექვს ნომერ მიკროავტობუსით ვმგზავრობდი „ახალ სტუდიამდე“, როცა ნაკლები — მეტროთი, და დიდუბის ბოლოდან დიღმის მასივისკენ — ფეხით. გავივლიდი გრძელ ეზოს, შევიდოდი შემინულ ფოიეში, ავიდოდი მეორე სართულზე, მოკრძალებით შევაღებდი დერეფნის ერთ-ერთ კარს, მივესალმებოდი შეკრებილებს და იქვე, კუთხეში მიდგმულ მაღალ ტაბურეტზე ჩამოვჯდებოდი.

ისინი კი, ავტორები წიგნებისა — „მუსიკა ქარში“, „შორი თეთრი მწვერვალი“, „ხმა მღაღადებლისა“, „სამოსელი პირველი“, „ნადირობა ჩონ-ტაშში“ — მრგვალი მაგიდის ირგვლივ ისხდნენ. ზოგი სავარძელში, ზოგი ვენურ სკამზე: რეზო ჭეიშვილი — გურამ დოჩანაშვილს რომ გაკენწლავდა დროდადრო მის რომელიმე ტექსტში აღმოჩენილ მოჭარბებულ მგრძნობიარობის გამო, გურამ გეგეშიძე — მომავალს ეჭვის თვალით რომ უმზერდა და მუდამ პირქუშ პროგნოზებს გამოთქვამდა, რეზო ინანიშვილი — ყველას დიდი ინტერესით რომ უსმენდა და ყველაზე ცოტას ლაპარაკობდა, რეზო თაბუკაშვილი — უბადლო მთხრობელი არამარტო თავსგადახდენილი არამედ სხვების თავს დატრიალებული ამბებისა, ვაჟა გიგაშვილი — სერგო ფარაჯანოვს სპარსული მინიატურების ცოდნას რომ უწუნებდა და იხსენებდა, როგორ აკეთებდა ამ მინიატურების ასლებს, პაპის, მოსე თოიძის მეთვალყურეობით და გურამ დოჩანაშვილი, რომელსაც ოდნავადაც არ წყინდა „ჭეიას“ მეგობრული ქილიკი და ყველაზე მეტად სცენარების წერა ძულდა...

* * *

ვერავის აუკრძალავ ჩარლი ბუკოვსკის პროზასა და ტომ უეიტსის მუსიკაზე წერას, მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ ტყუილად ირჯებიან ის კალმოსნები, რომლებსაც ცხვირიც არ შეუყვიათ ალკოჰოლურ ჯოჯოხეთში და „სურნელიც“ კი არ სცემიათ იქიდან ამომავალი ოხშივრისა. შიშზე ლაპარაკიც სჩვევიათ, ოღონდ თავსგადახდენილი ფათერკების მოუშველიებლად, განყენებულად, ზოგადი ფრაზებით. ამ თემაზე მეც ვილაპარაკებდი, ოღონდ მასთან ბრძოლას გავიხსენებდი — მოვყვებოდი, რამდენჯერ დავამარცხე და რამდენჯერ დამამარცხა. როგორ გამომაწრთო ამ ბრძოლამ და როგორ ვისწავლე ბრძოლის დროს უაღრესად მნიშვნელოვანი და სასარგებლო რამ — გაქცევით თავს ვერ უშველი... ვერ უშველი, რადგან შიშთან ჭიდილი — საკუთარ თავთან — საკუთარ ხასიათთან ჭიდილია...

ხასიათთან დაკავშირებით — დაუშურვებლად ვიცი ავანსების გაცემა, ვერ გადავეჩვიე ბევრი რამის რეალურზე უკეთ წარმოჩენას, ადამიანებისა და მოვლენების გალამაზებას. ეს თვისება, მგონი, თანდაყოლილია და მემკვიდრეობით გადმომეცა. მამაჩემმა იცოდა ახლადგაცნობილი, ერთი-ორჯერ ნანახი ადამიანის ცაში აყვანა და შემიმჩნევია მისი მწარე იმედგაცრუება ნაქები, ცაში აყვანილი კაცით. ამ საქმეში მამიდაჩემიც არ ჩამორჩებოდა, მისი ტყუპისცალი. ისიც ამ თვისებით გახლდათ აღჭურვილი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მის მიერ შეთხზულ წარმოდგენაში ადრესატი თავს უხერხულად არ გრძნობდა. პირიქით, იძულებულიც კი ხდებოდა, უკეთესობაზე ეზრუნა, რათა გაემართლებინა ის, რაც მას მიაწერეს. მისი მონაყოლი მაძლევს ასეთი დასკვნის გამოტანის უფლებას... „დიმიტრი (მომავალი ქმარი) რომ გავიცანი საჯარო ბიბლიოთეკაში, გოგოებს ვუთხარი, შავგულიძესავით ლამაზ ბიჭს მოვეწონე-მეთქი. დიმიტრი „აზიაცკებივით“ წვივებზე შემოსალტული ჩექმებით კი დაიარებოდა და ულვაშებიც კოხტად ჰქონდა გაკრეჭილი, მაგრამ ცნობილი მსახიობის მომხიბვლელობამდე ბევრი უკლდაო... თუმცა, როგორც კი ყური მოჰკრა ამ შეფასებას, მეტად დაიწყო ზრუნვა გარეგნობაზე და თუ მანამდე თითებით გადაივარცხნიდა გრუზა ქოჩორს, ახლა სავარცხლით დგებოდა სარკის წინო...“

* * *

უმცროს მეგობარს უპატრონო ძაღლებზე ველაპარაკებოდი. ვუყვებოდი, როგორ ვიპოვე ერთ მშვენიერ დღეს ვიღაცის მიერ მიგდებული, თვალაუხელელი ლეკვი, როგორ წავიყვანე შინ და ცოტა ხანში, როგორ მოვიხიბლეთ ყველა, დიდიც და პატარაც, მისი გონიერებით. ისიც ვუთხარი, სასეირნოდ რომ არ მომყვებოდა გარეთ, რაც ალბათ იმით აიხსნებოდა, რომ მიტოვების შიში დაჰყვა საბრალოს, ბოლომდე მეც არ მენდობოდა. ბოლოს დავამატე, გაგეცინება და ორმოცი-ორმოცდაათი წლის წინათ, საბელჩაბმული პატარა ძაღლით ტროტუარებსა და ბაღებში სეირნობა დიდად დამამცირებელ და სამარცხვინო საქციელად მიიჩნეოდა კაცისთვის-მეთქი.

სტუდენტობის დროს ამხანაგი მყავდა ერთი, საბურთალოზე ცხოვრობდა, თუმცა, ქუჩური „გაგებით“ საბურთალოელად ვერ ჩაითვლებოდა. საბურთალოზე, ვერაზე, ან ჩუღურეთში ცხოვრება და ამ უბნელად მოხსენიება სხვადასხვა რამე იყო. ქუჩის ბიჭი უნდა ყოფილიყავი ან ქუჩის ბიჭებში მინიმალური ავტორიტეტი უნდა გქონოდა. რა ავტორიტეტი ექნებოდა იმ ჩემ ამხანაგს, რომელიც ქუჩაში მხოლოდ იმიტომ გამოდიოდა, რომ უნივერსიტეტში, ბიბლიოთეკაში, ან ვალერი კოჩაროვის იატაკქვეშა კონცერტზე წასულიყო ქალაქის რომელიმე მივარდნილ გარეუბანში. მამაც თავისნაირი ჰყავდა, ოღონდ ის, „პოლიტიკურზე“ ნაჯდომი მეცნიერი, ქუჩაში კიდევ იმიტომ გამოდიოდა, რომ შავი პუდელი, სახელად „ჩარლი“ ესეირნებინა. მაღალი კაცი იყო, დიდი, დანაოჭებული შუბლი ჰქონდა და მძლავრი, ოდნავ წინწამოწეული ყბა. როგორც ამბობდნენ, ეს უკანასკნელი ძლიერი ნებისყოფის უტყუარი ნიშანი გახლდათ.

ქუჩის ბიჭებსა და იმ უფროსებში, რომლებსაც „ქუჩის აკადემია“ ჰქონდათ „გავლილი“, პატარა, მხიარულად მცმუკავ ცუგასთან ერთად ზევით-ქვევით სიარული ისეთივე მიუღებელი იყო, როგორც გრძელი თმის ტარება. ისინი საბჭოთა „ფასეულობების“ ერთგული გუშაგები იყვნენ და სხვა, ფორმიან გუშაგებზე არანაკლები მონდომებით ებრძოდნენ თავისუფლებისა და ინდივიდუალიზმის ნებისმიერ გამოვლინებას. მათი მუსიკა რუსული „ბლატნოი“ და „ქალაქური“ სუფრულები გახლდათ. ძაღლების მიმართ დამოკიდებულება კი ასეთი — თუ მაინცდამაინც ყოლაზე მიდგებოდა საქმე, მოდარაჯე, ან მონადირე უნდა გყოლოდა. როგორც ყველა თხემით ტერფამდე საბჭოელი, ისინიც მომხმარებლები იყვნენ და ცხოველების მიმართ დამოკიდებულებაც მომხმარებლური ჰქონდათ. მათთვის მართლა გაუგებარი იყო, რატომ უნდა გეზრუნა ცხოველზე, გყვარებოდა ის, თუკი მისგან არანაირ სარგებელს არ იღებდი და არც ელოდი.

* * *

დადგებიან ხოლმე ჩემი ხნის კაცები და დაიწყებენ ლაპარაკს — ასეთი წვიმა, ასეთი ქარი, ასეთი სიცხეები ჩვენ მხარეს არ ახსოვსო და ნათქვამის გასამყარებლად თავიანთ ასაკს მოიშველიებენ — ამდენი წლისა მოვიყარე და ამგვარ რამეს არ მოვსწრებივარო. არადა, რამდენი ცხელი ზაფხული გადაგვიტანია — მე მკითხეთ. ძალიან ბევრი. ისეთი პაპანაქებები ყოფილა, რომ თაკარა მზისგან დარბილებულ ასფალტში ფეხი ჩამფლობია; ლოგინში ჩაწოლა შეუძლებელი რომ გამხდარა, ღამის გასათევად დედებს იატაკზე დაუფენიათ თხელი პლედები. როგორ ვგრილდებოდით? ვენტილატორები მაშინაც იყიდებოდა, ოღონდ ახლანდელებისგან დიდად განსხვავებულები — უშნოები და ხმაურიანები. წყალშიც ვჭყუმპალაობდით, ერთიორი მრგვალაუზიანი შადრევანი თითქმის ყველა უბანში გვეგულებოდა. წუწაობისთვის ეზოს ონკანები იყო მისწრება — მოუშვებდი წყალს, მიაჭერდი ხელისგულს მოხრილი მილის ბოლოს და „მორწყავდი“ შორიახლოს მყოფებს. კიდევ, ცივი ლიმონათი — მუქი წითელი „კრემ-სოდა“, ღია ქარვისფერი „ლიმონი“ და წყაროს წყალივით კრიალა „სიტრო“. და, რა თქმა უნდა, ნაყინი — უბრალო, ათკაპიკიანი „ნაღების“ ბრიკეტი, შოკოლადის გარსიანი თხუთმეტკაპიკიანი „ესკიმო“ და ვაფლში ჩასმული „ჭიქისა“. ყველაზე გემრიელი „ჭიქის“ ნაყინი მარჯანიშვილის მოედანზე, ცნობილ საშაქარლამოსთან იყიდებოდა. გამყიდველს, შუახნის ქალს, რომელიც მუდამ ღიმილით ითვლიდა ჩვენ მიერ გაწვდილ, მუჭში დიდხანს ჭერისგან გაოფლილ მონეტებს, ქრისტინე ერქვა. თავის სახელთან დაკავშირებული ისტორია მისგან მაქვს მოსმენილი, ვიღაცას უყვებოდა: „მე რომ დავიბადე, იმ დროს, ბავშვებს რევოლუციონერი ქალების საპატივცემულოდ ან როზას არქმევდნენ, ან კლარასო... ქრისტინეს უფრთხოდნენ, ვერ ჰგუობდნენო... სკოლაშიც და მერეც, მუშაობა რომ დავიწყე, აქტიური კომკავშირლები სულ მეუბნებოდნენ — სახელი გამოიცვალეო... მე კიდევ, მოფიქრებული მქონდა პასუხი და ვეუბნებოდი — ეს სახელი მუშათა და გლეხთა ინტერესების დამცველი მწერლის, ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის გმირის საპატივცემულოდ დამარქვეს და როგორ შეველიო-მეთქი... არამკითხეებისთვის ეს სერიოზული მიზეზი და საბუთი იყო, თავს მანებებდნენო...“

კეთილი ქალი გახლდათ ქრისტინე დეიდა, მანეთი რომ ვერ შეგვეგროვებინა და რამდენიმე, თუნდაც ათი კაპიკი დაგვკლებოდა, მაინც გვაძლევდა ხუთ ნაყინს.

* * *

ვისაც სულ მცირე, სამი თაობის მიერ შექმნილი ბიბლიოთეკა აქვს, დამეთანხმება, რომ წიგნებს მოულოდნელი გაუჩინარება და ასეთივე გამოჩენა ჩვევიათ. კერძოდ, ამა თუ იმ კარადაში, ანდა რომელიღაც თაროზე ესა თუ ის გამოცემა გეგულება, დაგჭირდება მისი ნახვა, მიაკითხავ, არ დაგხვდება, იწყებ ძებნას, ვერ პოულობ და რამდენიმე თვის შემდეგ, სულ სხვა წიგნის ძიებისას თავად შემოგეფეთება.

სამ ასეთ წიგნს გადავაწყდი სულ ახლახანს — მარჩელო არჯილისა და გაბრიელა პარკას „ლურსმანას თაგადასავალს“, კონსტანტინე გამსახურდიას „ბელადს“ და გიორგი შატბერაშვილის „თვალადური ქართულის ჭაშნიკს“; ერთს — ოთხმოცი, მეორეს — სამოცი და მესამეს ორმოცდახუთი წლის წინათ გამოცემულს. იტალიელი ავტორების ზღაპარს მამილო პილუკას მიერ ჩაიდნის ცხვირისგან, ორი ჟანგიანი უთოსგან, ხორცსაკეპი მანქანის გორგოლაჭებისგან და ღუმელის მილებისგან აწყობილ კაცუნაზე ადრეულ ბავშვობაში მიკითხავდნენ, თან ხშირად, ხანმოკლე ინტერვალებით. „ბელადი“ სტალინის ყრმობას აღწერს; რას არ გადაეწყდები ამ წიგნის ფურცლებზე — სალდათის კრივს, სიკვდილით დასჯის სცე-

ნას... პერსონაჟებიდან მოხუცი, თვალებზე ლიბრგადაკრული ხევსური შემორჩა მეხსიერებას და მისი ძაღლი ოსმანა. „თვალადური ლექსიკონის“ შემდგენელმა გურამ რჩეულიშვილი აღმოუჩინა მკითხველს. მისი რედაქტირებული მოთხრობების კრებული საუკეთესოა ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდა მწერლის სხვა გამოცემებს შორის. „თვალადურში“ ამოვიკითხე პირველად „ტიღას“ განმარტება, რაც შავგვრემანს ნიშნავს თურმე. ეს სიტყვა იმიტომ მაინტერესებდა, რომ ასე ჩვენ ნაძალადეველ მეზობელს, გოგია სიმონიშვილს მოიხსენიებდნენ. შავგვრემანი ნაღდად არ იყო, პირიქით, ნაადრევად გაჭაღარავებული და წითელსახიანი სიბნელეში ანათებდა. წითელი სახე იმიტომ ჰქონდა, რომ დღესა და ღამეს სმაში ასწორებდა. „გადასასვლელი ხიდის“ თავში, სარდაფ-სასადილო „ლეწეს“ ჩასასვლელთან უყვარდა დგომა. სანამ მაგრად არ გამოთვრებოდა, შინ არ დაბრუნდებოდა. მისაღებს მიიღებდა და გაუყვებოდა ოქტომბრის ქუჩას რწევა-რწევით. შეაღებდა თუ არა ეზოს კარს, დაიძახებდა — „ტიღა ვარ, სიმონიშვილიო“ და გაისმებოდა ქალის, მისი დის წყევლა მარლის ფარდებჩამოფარებული შუშაბანდიდან — „რატო მუცელი არ გაგისკდება, შე ლოთო, შენაო...“ მამაჩემისგან ვიცოდი, რომ ერთ დროს „ტიღა“ ლეგენდარულ სუხიშვილებში ცეკვავდა და ანსამბლიდან ლოთობის გამო იყო დათხოვილი. მუდამ სუფთად და პეწიანად ეცვა. განსაკუთრებით იხდენდა შავი პერანგის საყელოს ქვეშ გამონასკვულ მოთეთრო ფერის ჰალსტუხებს.

* * *

ქუჩა მსახიობ ნინო ჩხეიძის სახელს ატარებდა, მუსიკალური სკოლა — კომპოზიტორ იპოლიტოვ-ივანოვის. კვირაში ორჯერ დაგვატარებდნენ დედები იქ სოლფეჯიოსა და მუსლიტერატურის შესასწავლად. წითელი აგურით ნაგებ ორსართულიან შენობას ხის დიდი, მოხარატებული აივანი ჰქონდა შემორტყმული, რომელიც მუხრანის ხიდს გადაჰყურებდა. როცა კარგად დავწერდით „დიქტანტს“, უშეცდომოდ მოვყვებოდით ბახისა და ჰაიდნის ბიოგრაფიას, შინისაკენ მიმავალ გზას ვიგრძელებდით და კოსტა ხეთაგუროვისა და ლევ ტოლსტოის ქუჩების გავლით კარლ მარქსის მოედნისკენ ვიღებდით გეზს. მოედანზე პატარა კაფე იყო; შეგვიყვანდნენ დედები იმ კაფეში, დაგვსხამდნენ პრიალაზურგიან მრგვალ მაგიდასთან და ჩადგებოდნენ რიგში გაზიანი წყლისა და ხორცის მოგრძო, ზეთში შემწვარი ღვეზელების მოსატანად. ეს ღვეზელები ისეთი გემრიელი არ იყო, როგორიც მარჯანიშვილის ქუჩის საცხობისა, სამაგიეროდ აქ ფეხზედგომელა არ ილუკმებოდი, მოხერხებულად იჯექი და ითვლიდი ტრამვაის რამდენი ვაგონი გადაკვეთდა, რამდენი „მოსკვიჩი“ და „ვოლგა“ დაარტყამდა წრეს დიდთავა წვერებიანი კაცის სახელობის მოედანს.

ბავშვობისდროინდელი სურათები ოთარ იოსელიანის „გიორგობისთვემ“ გამახსენა. რამდენიმე დღის წინ ვნახე, ვინ მოთვლის, მერამდენედ. ჩუღურეთი და პეტრიაშვილის ქუჩის ღვინის ქარხანა კი არა, მთელი ეპოქაა დოკუმენტური სიზუსტით ასახული. ეს მძიმე კაცი, მგონი ერთადერთი ქართველი რეჟისორია, ვისი ფილმების ყურებისას საქმეში ჩაუხედავი გადამთიელიც კი ხვდება, რა პოლიტიკური სისტემა განსაზღვრავს კინოგმირების ცხოვრებას.

ჩემი ამბავი, რა — რომ წამოვიზარდე, იმ პატარა კაფედან მოპირდაპირე მხარეს მდებარე სასაუზმეში გადავინაცვლე, სადაც „გიორგობისთვის“ ბონდოსნაირი „ძველები“ ისევ სვამდნენ წყალწყალა ლუდს და გარედან შემოტანილ არაყს, ისევ ვიწრო შარვლებზე გადმოშვებული შავი პერანგები ეცვათ და ისევ რატრატებდნენ ათასგვარ სისულელეს უაზროდ გაბრექილები...

* * *

ედსონ არანტეს დუ ნასიმენტუს წიგნი — „მე, პელე“ — თორმეტი წლისამ წავიკითხე. ცოტა ხნის შემდეგ მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატი გაიმართა ინგლისში; ტურნირი, რომლის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე მთავარი პრიზი — ჟიულ რიმეს თასი დაიკარგა. ფეხბურთის სამყარო ძაღლმა გადაარჩინა. ფინიამ, სახელად „პიკლზმა,“ ლონდონის რომელიღაც პარკში სუნსულისას მიაგნო ბუჩქის ძირას მიგდებულ, გაზეთში გახვეულ ოქროს ნიკეს. თამაშებისთვის არ მიყურებია და იმის გამო არა, რომ სახლში ტელევიზორი არ გვქონდა, სსრკ არ გვაჩვენებდა და იმიტომ. მოგვიანებით საათნახევრიანი ფილმი უძღვნეს ჩემპიონატს ინგლისელებმა, ის დიდხანს გადიოდა კინოთეატრ „გაზაფხულში“ და მაშინ ვნახე პირველად მუხლდაბინტული ფეხბურთის მეფე, რომელიც ატირებული ტოვებდა მოედანს. სხვებიც ვნახე: ფრანც ბეკენბაუერი და უვე ზელერი, ეუსებიო და ტორესი, გორდონ ბენქსი და ბობი ჩარლტონი, ალფ რემზი და ვინსენტე ფეოლა, ნობი სტაილზიც კი, მაგრამ დამარცხებულმა პელემ, როგორც ცხრამეტდღიანი ამბის დრამატულმა გმირმა, ყველა დაჩრდილა. ბრაზილიელთა დიდ გამარჯვებამდე გავხდი „ტორსედორესი“ — „ტორსიდის“ წევრი და ასეთად დავრჩი ოცდამეერთე საუკუნემდე. ვფიქრობ, ღირსეულად ვატარე ეს ტიტული ოცდაათ წელზე მეტხანს, რადგან კარგად მახსოვს, როგორ ვამტკიცებდი უტიფრად, რომ ფრანცისკო მარინიო ჯობდა ნეესკენსს და რობერტო რიველინო მარიო კემპესს თავის ოსვალდო არდილესიანა. არამარტო ვხარობდი ლურჯ-ყვითელთა ტრიუმფებით, არამედ შეთქმულებათა თეორიებს ვთხზავდი მათი წარუმატებლობების გასამართლებლად.

* * *

ჩემი მეგობრის ცოლი, დაბარებული მოწმედ შვილის სასამართლო პროცესზე, ბიჭისა, რომელიც ბოლო ცხრა თვის მანძილზე მხოლოდ რამდენჯერმე და ისიც ერთი-ორი წუთით ჰყავს ნანახი, თვალებში შესცქერის თავის პირმშოს, უწონებს გადაწყვეტილებას, არ დაჰყვეს ბრალმდებელთა შეთავაზებას — აღიაროს არჩადენილი დანაშაული თავისუფლების ფასად და მის გასამხნევებლად იშველიებს ჰარპერ ლის ფრაზას რომანიდან — „ნუ მოკლავ ჯაფარას“ — რომელსაც მარცხისთვის განწირული ვექილი, ატიკუს ფინჩი წარმოთქვამს — ვიბრძვი იმიტომ, რომ მომავალში თამამად შემეძლოს შევხედო ადამიანებს თვალებში.

* * *

ბარათაშვილის ხიდის ასახვევთან უცნაურ სურათს მოვკარი თვალი — ჩია კაცი ჭადრის ტოტებზე მეზღვაურის ზოლებიან მაისურებს ჰკიდებდა. გასაყიდად ჰქონდა გამოტანილი — ბევრი არა, ათიოდე ცალი. მივედი, ფასი ვკითხე, ხელი შევავლე ერთ-ერთს, თითებით მოვსინჯე. ბამბისა და შალის ძაფებით იყო ნაქსოვი... ოდესღაც სწორედ ამ ძაფებს იყენებდნენ ინგლისელი ზღვაოსნები, რომლებსაც ერთ მშვენიერ დღეს უბრძანეს, საკუთარი ხელით ჩაენაცვლებინათ თეთრი პერანგები ზოლებიანებით, რათა შეუმჩნეველნი არ ყოფილიყვნენ თოკებზე ძრომიალისას აფრების გასწვრივ. შეუვაჭრებლად გადავიხადე ორმოცი ლარი და შინ მისვლისთანავე გადავიცვი ძვირფასი შენაძენი. სარკეში ჩავიხედე, ძალიან მოღლეტილი მქონდა გული, ლამის ბოლომდე მიჩანდა ლავიწის ძვლები. დიდხანს არ მინაღვლია, შიგნიდან შავი, ყელზე მომდგარი მაისური ჩავიცვი და ყველაფერი მოწესრიგდა, აღარ ვგავდი ჩასუქებულ ბოცმანს, რომელიც ყოველდღე ეჯაჯღანება კოკს, ბოლომდე გამივსე ჯამი ხორციანი მაკარონითო...

ასეთი „ტელნიაჟკა“ უკანასკნელად ორმოცი წლის წინათ მეცვა — საავადმყოფოში. მთლად თეთრ ვეშაპს დადევნებულ ისმაილს არ ვგავდი, მაგრამ ტრავმა ფრიად ვაჟკაცური მქონდა, რის გამოც, ჩემ სანახავად მოსული გოგოების თვალში ერთობ რომანტიკულად გამოვიყურებოდი.

* * *

მრისხანე ვერდიქტების გამომტანი, ამკრძალავ კანტორებში მომუშავე საბჭოთა ჩინოვნიკები სულაც არ ერჩოდნენ, ვგონებ, სიამოვნებითაც უყურებდნენ ქართულ კინოს, თანამედროვე „მკვლევარების“ შეფასებით — „პოსტმოდერნისტულ ესთეტიკაზე დაფუძნებულ, ქართული ეთნოფსიქოლოგიისა და რუსული ენის კონტრასტულ შერწყმაზე აგებულ სევდიან კარნავალებს.

იმის თქმაც შეიძლება, რომ მრავალთა მსგავსად, ზოგიერთ ეპიზოდს ალბათ ხშირად იხსენებდნენ და სახალისო თემებზე საუბრისას დეტალურად და ხატოვნად აღწერდნენ წუთში ჩატეულ ამბავს. მაგალითად, ასეთს:

ხმაურიან, ხალხით და მანქანებით სავსე ქუჩაზე ორნი მოაბიჯეებენ. მაღალი და ხმელი ჭარმაგი კაცი თეთრი, სამხედრო ყაიდის კეპითა და თეთრსავე დიდჯიბეებიანი ფრენჩით და მისივე ასაკის დაბალი მელოტი ძია, რომელსაც ჭილის შლაპა ახურავს და პერანგის საყელოს ქვეშ შავი ბაფთა აქვს გამონასკვული. დაბალი ამბობს, მე რომ მოვკვდები, ჩემი შვილები შიბლეტებსაც კი გამხდიან და გასაყიდად წაიღებენ, „ვოლგა“ რომ იყიდონ. მაღალ კაცს გაფანტულ მზერაზე ეტყობა, რომ თანამგზავრს არ უსმენს. თუმცა, ერთი სიტყვა მაინც ხვდება მის ყურს, ეჭიდება მას და ამბობს — ვოლგა, ვოლგა, მაწ რადნაია!

ვისაც საბჭოთა კავშირში არ უცხოვრია, მაგრამ რუსული ესმის, მისთვის ეს ფრაზა არათუ სასაცილო არ არის, არამედ არაფრისმთქმელია. გეოგრაფიიდან ახსოვს, რომ ასე ჰქვია რუსეთის ერთ-ერთ წყალუხვ მდინარეს, თუმცა არაფერი უწყის მის დედამდინარეობასა და ავტომობილზე, რომელსაც გორკის სახელობის ავტოქარხანა ამზადებდა. რაც შეეხება „შტიბლეტს“ და არა „შიბლეტს“, სსრკ-ში მაღალყელიან, გვერდებზე რეზინებჩაკერებულ ფეხსაცმელს მოიხსენიებდნენ ასე, არადა ეს სახელი დაბალყელიანს და თასმებით შესაკვრელს ეკუთვნოდა.

მორჩა ის კინო.

* * *

ეს ამბავი მოთხრობის ეპიზოდი უნდა ყოფილიყო, მაგრამ თხრობის მდინარებამ, მისმა რიტმმა, რასაც ჩემი სულსწრაფობა, ჩვევაში გადაზრდილი სურვილი განსაზღვრავს — რაც შეიძლება ცოტა და მხოლოდ აუცილებელი სიტყვების გამოყენებით მივაღწიო ფინიშს — მასზე უარის თქმა მაიძულა...

„ქუჩებში მხრებზე შაშხანებგადაკიდებული სამხედროები დაიარებოდნენ ჯგუფ-ჯგუფად. ერთი ოფიცერი, ორი ან სამი ჯარისკაცი — უმეტესად რუსები. მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებდა, ბრძოლები კავკასიონის კალთებზეც მიმდინარეობდა. თბილისის ცას ღამ-ღამობით მძლავრი პროჟექტორების შუქი სერავდა გერმანელების ბომბდამშენების აღმოჩენის მიზნით. შიშთან ერთად შიმშილიც სუფევდა ქალაქში. საკვების მკაცრად განსაზღვრული მცირე ულუფები ტალონებით იყიდებოდა პატარა მაღაზიებში, ეგრეთ წოდებულ „წერტებში“.

კლარამ და დიმიტრიმ ნავთის რიგში გაიცნეს ერთმანეთი. ნავთიც ტალონით გაიცემოდა, სულზე ერთი ლიტრი. ზამთარი იდგა და ისე ციოდა, რომ ამონასუნთქიც ვერ ათბობდა ცხვირსა და ლოყებზე აფარებულ პეშვად შეკრულ ხელებს. თავიდან რამდენჯერმე შეხედეს ერთმანეთს — უნებლიედ, გაუბედავად, მზერების შეფეთებისთანავე თვალების დახრით და სახის გვერდზე მიტრიალებით. მერე და მერე მორცხვობამ იკლო და როცა ორივე თითქმის ერთდროულად შეებრძოლა ყინვას ფეხების ბაკუნით და ადგილზე ხტუნვით, ეს შეგრძნება საერთოდ გაქრა, აღარც თვალი აარიდეს და აღარც გაღიმება დაუმალეს ერთმანეთს...

გაუმართლათ — ერთსაც და მეორესაც ერგო ნავთი. ბიდონი მძიმე არ იყო, მაგრამ დიმიტრიმ არ დაანება და თავად დაიჭირა ხელში. ზემო ვერიდან სატიოს უბნამდე, სადაც კლარა ცხოვრობდა, სულ მოლიპულ დაღმართებზე უნდა ევლოთ. ბიჭს ერთი-ორჯერ ისე აუცურდა ფეხი, რომ კინაღამ ზურგით დაენარცხა ქვაფენილს. გოგომ იდაყვთან მოჰკიდა ხელი, ასე უფრო შევინარჩუნებთ წონასწორობასო. ბიჭს ესიამოვნა სიტყვის მრავლობით რიცხვში წარმოთქმა, ჩემი თავი ჯანდაბას, ნავთი არ დაგვეღვაროსო, თქვა და მკლავი დაძაგრა — ღონიერი საყრდენი რომ ეგრძნო თანამგზავრს.“

* * *

ადრე, სულ ადრე, რომელიმე ჩვენთვის ცნობილი წიგნის მიხედვით გადაღებულ ფილმს რომ ვნახავდით, ერთმანეთს ვეკითხებოდით — წიგნი ჯობს, თუ კინოო და პასუხი მუდამ ერთი და იგივე იყო — რა თქმა უნდა, წიგნი. ოთხი მამაცი დუელიანტის ფათერაკთა ეკრანიზებას „სამი მუშკეტერი“ გვერჩივნა, ჟან ვალჟანის თავგადასავლისას — „საბრალონი“, მოტაცებული და ტყვეთა ბაზარზე გაყიდული ბიჭუნების ტრაგიკული ამბისას — „მამელუქი“ და ასე შემდეგ. ამა თუ იმ ფილმის პირველწყარო წაკითხული თუ არ გვქონდა, ნემსის ყუნწში ვძვრებოდით მის მოსაპოვებლად და როცა მოვიხელთებდით და წავიკითხავდით, კინოგმირები, როგორ მაგარ მსახიობებსაც არ უნდა შეესხათ მათთვის ხორცი, ფერმკრთალდებოდნენ და ადგილს ჩვენი წარმოსახვის მიერ შექმნილ პერსონაჟებს უთმობდნენ.

„ჩემი ბიძია ბენჟამენის“ მოძიებას რამდენიმე ათეული წელი დაჭირდა. სწორედ ამდენი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც „არ დაიდარდო“ ვნახე ძველ „ამირანში“, პლეხანოვზე — ფრანგი მწერლის, კლოდ ტილიეს თხზულების ქართული კინოვერსია. მაშინვე რომ ჩამვარდნოდა ხელში ის თხზულება, რა განსხვავებებს აღმოვაჩენდი ფილმსა და ტექსტს შორის, რომელი ეპიზოდის შენარჩუნებას ვისურვებდი და რის გადასხვაფერება არ მომეწონებოდა — გამიჭირდება თქმა. დანამდვილებით კი, იმის მტკიცება შემიძლია, რომ წამოზრდილს და მეტნაკლებად ჭკუადამჯდარს ის მომხვდებოდა თვალში, რაც წინანდელზე მეტად დღეს არ მეხატება გულზე. კერძოდ, ექიმის ქალიშვილის „გადასანახულებლად“ მიმავალი სიძეცოლისძმის შეხვედრა ხნიერ, ომების ქარცეცხლგამოვლილ ჯარისკაცთან და ძირეული სხვაობა, ერთი შეხედვით, მსგავს ეპიზოდებს შორის.

ფრანგი ავტორის ბენჟამენი და მისი სიძე მაშკური საფრანგეთის არმიის სერჟანტს გადაეყრებიან. გულს მოუკლავთ და სინდისს აუფორიაქებთ მისი ჩამოკონკილობა, მათხოვრული საუზმე, მეფის უმადურობა სისხლიან ბატალიებში თავის გამწირავი კაცის მიმართ, საქმეს გადადებენ და კარგი ღვინითა და გემრიელი კერძებით გაუმასპინძლდებიან მას. მოგვიანებით ღამის გასათევსაც მოუძებნიან და მედუქნესაც შეიპირებენ, რომ დილას დანაყრებული გაუშვან თავის გზაზე.

ქართველი კინოავტორების გმირებს თურქეთიდან მომავალი რუსი ჯარისკაცი შემოხვდებათ. მისი დუქანში დაპატიჟების მიზეზი ბანალურია — სტუმრის პატივისცემა. აქეიფებენ, კარგად გამოათრობენ და შინაც გაუშლიან სუფრას. დიდიან-პატარიანა, ბავშვიან-ქალიანა შემოუსხდებიან მაგიდას და ხმებში გაშლიან რუსულ სიმღერას გოგონა მარუსენკაზე, ფეხებს რომ იკრიალებს მდინარეში და თეთრი ბატები რომ მიცურავენ მისკენ.

ძაღლი რუს ჯარისკაცსაც ჰყავს და ფრანგსაც, პირველს „არზრუმი“ ჰქვია, მეორეს „ფონტენუა“, იმ ადგილის სახელი, სადაც მან, ყოჩაღმა პუდელმა ინგლისელი ოფიცერი დაატყვევა ბრძოლის დროს.

წიგნის ბენჟამენი ლუი მეთხუთმეტის დროინდელ, მეთვრამეტე საუკუნის საფრანგეთში ცხოვრობს, კინოს ბენჟამენი კი, მეცხრამეტეს მიწურულის, ან მეოცე საუკუნის დასაწყისის საქართველოში, რუსის ჯარის მიერ დაპყრობილ ქვეყანაში...

წიგნი ჯობს.

ვალაგებ უჯრებს...

ზოგიერთ ლექსზე ვერც ახლა ვთქვი უარი! მირჩევნია, ეს მკითხველმა გააკეთოს!

კარგია

ცხოვრება მაცხოვრის ცხოვრების კალკია!
კარგია? ცუდია? — ორივე კარგია!

ვიღაცა, რაღაცა — კარგია? ცუდია?
ნუ ფიქრობ — პრინციპში ორივე კარგია!

ჩვენ როგორები ვართ? — რა უნდა გაგებას! —
ცხოვრება, პრინციპში, ნამდვილი სარკეა!
კარგები ვჩანვართ თუ ცუდები სარკეში? —
ცუდი ხარ, კარგი ხარ — ორივე კარგია!

ეს რაღაც ასეთი! ის ვიღაც — ისეთი!
მისი არსებობა რამდენად გარგია!
მოეშვი ამ გათვლა-გაანგარიშებას! —
ერთიც და მეორეც — მეტნაკლებ კარგია!

მიეცი? წაგართვეს? დაკარგე? დაგაკლდა? —
ნუ დარდობ — ცხოვრება მეტნაკლებ — ხარკია!
ათასი ნაკლი აქვს, ათასი მინუსი,
და, მიუხედავად ამისა, კარგია!

ფიქრი და ფიქრები, ოხვრა და გოდება —
ორ დღეს ხარ და მიხვდი — ზედმეტი ბარგია!
— იყავი?
— ვიყავი!
— კარგია?
— კარგია!

გლობალური ლექსპრომტი

გლობალური დათბობა — სიყვარულის გამო!
გლობალურად დამთბარი სიყვარულის გემო!
გლობალურად დამთბარი ბედნიერებაა
შენი თუნდაც დანახვა, სიყვარულო ჩემო!

ბორდელების ბნელი და გლობალური ქსელი
სიყვარულით დათბობას სულ ამაოდ ელის...
სიყვარული, ვიცით ჩვენ, არის ისე ძნელი...
ზოგი — მთელი ცხოვრება სულ ამაოდ ელის...

გლობალური დათბობა სიყვარულის გამო! —
გმადლობთ, ერთად ქცეულო ღვთაებრივო სამო...

* * *

დავანებე თავი თამაშს! —
ტუზ-კაროლს და ვალეტ-დამას! —
სიცოცხლესთან სიკვდილის და
ბედთან უბედობის თამაშს...
ვინ დაიჯერებდა ამას! —
დავანებე თავი თამაშს —
მურმანს, გელას, პიკოს, რეზოს,
გურამს, საშას, გიგის, თამაზს...
დავანებე თავი თამაშს —
ალბათ თემით შევცვლი თემას...
არასოდეს კრიჭაში არ
ჩავუდგებით ის — მე, მე — მას...
...ეს ჩემიო, ეს მისიო,
ეს სისხლიო, ეს ოფლიო... —
ებრძვის დღემდე საკუთარ თავს
საცოდავი ეს მსოფლიო!
რა ვურჩიო! დამიჯერებს? —
დაანებოს თავი თამაშს...
მიხვდებიან? გაიგებენ? —
ეს კაროლი და ის დამა...

* * *

სისხლს როცა იღებს **ექიმი...**
სისხლს როცა იღებს **მკვლელი...**
დალოცეთ ხელი ექიმის,
დაწყევლეთ მკვლელის ხელი...
ვიცით ჩვენ **ცელი** მთიბველის,
ვიცით სიკვდილის **ცელი...**
ბრუნავს ერთიც და მეორეც
მილიონობით წელი...
...ასეთიცაა ძელი და
ისეთიცაა ძელი...

სამყარო — მარად ნათელი!
სამყარო — მარად ბნელი!

ცუდი ლექსი

სიცოცხლე — მარადიული
ხელსაწყო ხორცის საკეპი!
ვერ შედგა შენი მწერლობა —
ვერ გააფასე საგები!
ხარ დიდოსტატი თამაშის!

ტარიელ ჭანტურია

ვთქვათ უფრო სწორად — წაგების!
ვერ შველის ტკივილებს შენსას
ექიმი გამოძახებით? —
არსებობს გამოსავალი —
სიკვდილი გამოძახებით!
გადაიღალა კრიტიკა
შენი შედევრის ძაგებით? —
არსებობს გამოსავალი:
სიკვდილი გამოძახებით...

* * *

სიკვდილისგან ვის უკვირს
იუკო და **ვაზარი...**
მაინც ახლავს ამ თემას
კამათი და ბაზარი...
რას გაიგებ — სად, როდის,
როგორ წამოგიკიდებს —
ოხრად გრჩება **შევროლე,**
შვილებმა რომ გიყიდეს!
სუყველაფერს ისა სჯობს,
ნუ იფიქრებ მაგაზე! —
მიდი-მიდი! აბა ჰე!
დააწექი! დაგაზე!

25 მარტი, ოთხშაბათი (2015)

— რატომ უნდა ავდგე
ამ საშინელ, ავ დღეს! —
არ ჯობს? ვიწვე აგერ!
რატომ უნდა ავდგე!
ყოველი დღე თითქმის
ამ თამაშში მიწვევს!
რატომ უნდა ავდგე!
მირჩევნია, ვიწვე!
ვერც გული მაქვს კარგად
და ფეხებსაც ვიტკენ!
ვწევარ აგერ ჩემთვის,
ფეხზე რატომ ვიდგე...
ყოველი დღე ასე
არჩევანში მიწვევს! —
რომელი ჯობს — ავდგე?
თუ — მთელი დღე ვიწვე...
...ეს ჭადარი აგერ —
რა ჯობს — იწვეს? იდგეს?
რომელია — დგას? წევს? —
მიდი, თვითონ კითხე...

* * *

„რამ შემქმნა ადამიანად,
რატომ არ მოველ წვიმადა!“ —
ამისი თქმა და — გაწვიმდა!
მერე თანდათან იმატა!
აწვიმდა აქეთ ამათ და
აწვიმდა იქეთ — იმათაც!
მერე სულ უფრო იმატა,
დაუჯერებლად იმატა,
აწვიმდა აქეთ — ამ ათასს,
აწვიმდა იქეთ — იმ ათასს,
სუყველა ერთ ფიქრს ფიქრობდა —
„რატომ არ მოველ წვიმადა!“
იმეორებდა ამ ფრაზას
ვიღაცა ენაკვიმატა:
უკვე მოვედი წვიმადა!
აჰა, მოვედი წვიმადა...

დედაჩემი... მამაჩემი...

დრო რა სწრაფად გადის,
ამის დედაც ვატირე!
...დრო რომ სწრაფად გადის,
ეს არ სჯერათ პატიმრებს...

ოცი წლის რომ ჩაგსვეს,
თანაც ჩაგსვეს **ოცი წლით,**
გადარჩენას ცდილობ,
და **სულს** ახლა **ხორცი** ცვლის...
შენიანებისას
ვერც იხსენებ სატკივრებს...
...
დრო რომ სწრაფად გადის,
ეს არ სჯერათ პატიმრებს...

სიყვარულის შავი ყუთი

ერთნაირად მშვენიერი —
ადამის ძის გრძნობა ხუთი
იქნებ სულაც თვითონაა
სიყვარულის შავი ყუთი...
რატომაა — საუკუნეს
ზოგჯერ რად ჯობს ერთი წუთი —
ამაზედაც იტყვის ალბათ
სიყვარულის შავი ყუთი...

ხდება ხოგჯერ — ერთ კაი კაცს
დარდი აწევს ასი ფუთი...
ამაზედაც იტყვის ბოლოს
სიყვარულის შავი ყუთი...

ახურავთ ან არ ახურავთ
მიჯნურებს ნამუსის ქუდი...
არც ამ ტკივილს არ დამალავს
სიყვარულის შავი ყუთი...

საიდუმლო — დაფარული
კარგად ცნობილ „სუ-სუ-სუთი“... —
ზოგს — იტყვის და ზოგს — არ იტყვის
სიყვარულის შავი ყუთი...

ეს ქვეყანა, გადაღლილი
ამდენ ცრუთი, ამდენ ყრუთი
დაწყნარდება, თუ გაიხსნა
სიყვარულის შავი ყუთი...

დაუბეჭდავი ნაწილი დოკუმენტური პოემიდან: ძმები

ანდრია ბალანჩივაძისა და ჯორჯ ბალანჩინის თემა

— ვინ იცოდა ვაშინგტონი,
ბოსტონი ან ვინესოტა,
ვინ იცოდა სან-ფრანცისკო
ანდა **ნიუ** ვინ იცოდა!
ვინ და — აგერ, გურულებმა! —
მათ კვიცები იქ არ ხედნეს? —
კარგს იზამთ, თუ გაიხსენებთ
გურულ ლომებს — ჯიგარ მხედრებს!
ნიშნად მადლიერებისა,
ახლა მათაც გადმოგვხედეს —
გვაფასებენ, როგორც ძველებს —
ძველ აქადებს... ამაყ ხეთებს!
ისე, ჩვენგან განსხვავებით,
იცით, ბოსტონს რა მერი ყავს?

მჯერა: მალე ჩვენც გვასწავლის
ზოგ რაღაცას ამერიკა!

* * *

ის სხვა კაცია! — ის ცნობილ
კაცობრიობას არ გავს!
მიწა არც იყოს — რკინაზე
ვარდს და ენძელას დარგავს!
ხმა სულ არ ჰქონდეს — გადაგრევს,
ისეთ სიმღერას იტყვის! —

იმ დღეს იმღერა — სულ „ბრავო“
აძახებინა ითხვისს!
თვითონ არ იცის — სად როგორ
როდის რას წერს და ხატავს!
სიცილით შეეწირება
ვიღაცა მაგის ღადავს!
ჭორი მის პირველობაზე
დადის ქალაქში უხვად!
მთავარი აზრი ერთია —
დაუსრულებლად უყვართ!
...იმ დღეს მე მოულოდნელად
სურათს წავაწყდი მურდალს:
იდგა ხეს მიფარებული
...და... თვლიდა საწყალ ხურდას...

სურვილი ყველაფრის გათავების

გადამხვიე ხელები,
ფეხები გადამაჭდე! —
მინდა, შენი პომადა
ას ადგილას დამაჩნდეს!
მინდა, ჯერ აღელდე და
მერე დატკბე, დამაჭრდე!
მინდა, კოცნით ამავსო,
მინდა, მკერდზე დამაჯდე...

მყავდე, როგორც ავაზა,
საწვრთნელი და საგეში!
ვჩანდე — მე შენს თვალებში,
შენ კი — კედლის სარკეში...

ბოლოს, გიჟად ქცეული,
შენი თმებით დავება...
მინდა სწორედ ასეთ წამს
სიცოცხლის გათავება...

ვუსმენთ თამადას!

— ჩვენი ხალხი, ჩვენი ერი,
ჭკვიანიც და მშვენიერიც —
უფლისაა რჩეული და
უფლისა გვაქვს ჩვენ იერი!
თუმცა უბედურობები
ქვეყნის გადაგვიტანია —
თოფი თავის მოსაკლავად
ჯერ არ გადაგვიტენია!
სახე რომ არ შეგვიცვლია,
რწმენა რომ არ შეგვიცვლია —
ეს იმის წყალობაა, რომ
სიყვარული შეგვიძლია! —
სი-ყვა-რუ-ლი შეგ-ვი-ძლი-ა!
არ ვიცი მე, ვინ ვინაა —
ვინ — სერჟანტი, ვინ — სარდალი! —
ხარის ყანწით დაისჯება,
ამ ერთ ჭიქას ვინც არ დალევს!

!!!
ეს **ტანჯვა და წამება**
კაცს **სიცოცხლეს** გაძულებს,
გენიოსებს გახსენებს —
თამაშიდან გასულებს —
გამოჩენილ დიდ ბიჭებს,
გამორჩეულ ასულებს —
ტანჯული ცხოვრებიდან
თავის ნებით წასულებს...

...ვგრძნობ, ჭკუა არც შენ გეყო
დასკვნის გამოტანისთვის —
გაგეხედა თოფისკენ...
შეგეხედა დანისთვის...
ფიქრი არჩევანისთვის,
ფიქრი არადანისთვის...
ფიქრი მარადიული
ნოეს კიდობანისთვის...
...
...თვალს ახლაც გადაავლებ
ბრძნულ მაქსიმებს, იგავებს,
და ღონეგამოცლილი —
ახლაც თავს შეიკავებ...

* * *
გაჭირვებულ კაცს რწმენა, იმედი
არასოდეს არ გამოელევა! —
სიძულვილებში ის სიყვარული
აუცილებლად გამოერევა...
ის კი — ის ერთი სიყვარული კი
ათას სიძულვილს თრგუნავს, ერევა!
და ჩვენც, ყველანი, ბედნიერები
იმ სიყვარულის მოსვლის მერე ვართ...

ბანალური ლექსპრომტი

— ყოველდღე და ყოველღამე,
სულაც ყოველ უთენია —
რაც ამ ცოდვილ ქვეყანაში
სისხლსა და ცრემლს უდენია! —
ვინ, ვინ არწყას სისხლი, ცრემლი —
ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა...
...
ამის მიუხედავადაც —
ვცოცხლობთ!
ვდგევართ!
არა გვიშავს!

* * *
წაგებული დავი!
წაგებული დავა!
არც გულს ახსოვს, არც ტვინს, დიდი დრო რომ გავა!
მშვენიერი თმები! მიმზიდველი გავა... —
არც გულს ახსოვს, არც ტვინს, დიდი დრო რომ გავა...
რის ბორხესი, ვინ პო, ვინ აკუტაგავა —
ვინ — წლები რომ გავა? დიდი დრო რომ გავა?
ვინ კავარადოსი, ვინ, რომელი კავა... —
ვინ? — წლები რომ გავა, დიდი დრო რომ გავა...
გავაღმერთეთ ბრიყვი, გავაღმერთეთ, გავა...
ხომ გავიცნობთ რეგვენს, მერე, დრო რომ გავა...
ეს ლამაზი ეზო ამ გოგონამ ჰგავა!
ეხსომება? ვინმეს! მერე! დრო რომ გავა!
...ცის ვეება ლულა, მოშვერილი ავად...
რა თქმა უნდა, მერე — დიდი დრო რომ გავა...

?
ილიას სიკვდილით რომ მოვკვდე, მინდა
ვაჟას სიკვდილიც მინდა
ჰემინგუეის სიკვდილიც მინდა
გურამ რჩეულიშვილიც სიკვდილიც მინდა
გალაკტიონის სიკვდილიც მინდა
მიხეილ ჯავახიშვილის სიკვდილიც მინდა
სილვია პლათის სიკვდილიც მინდა
ეზრა პაუნდის სიკვდილიც მინდა
პაოლო იაშვილის სიკვდილიც მინდა
პუშკინის სიკვდილიც მინდა
ჭაბუა ამირეჯიბის სიკვდილიც მინდა
.....
ჩემი სიკვდილი არ მინდა

ნეო-ლუარსაბი

ჭამს და სვამს და სვამს და ჭამს,
გამუდმებით, ზედიზედ,
ემატება ხორცი ყველს,
ემატება ზეთი ზეთს,
ემატება თეფში თეფშს,
ემატება ჯამი ჯამს,
ჭამს და სვამს და ჭამს და სვამს,
სვამს და ჭამს და სვამს და ჭამს,
ემატება ღიპი ღიპს,
ემატება ხორცი ტყავს,
ვერ მიდის და ვერ მოდის,
ცოლს საკუთარს ვეღარ თნავს.
რას გაუგებს მაძღარი
ამ ქვეყანას, დროს და ჟამს,
ჭამს და სვამს და ჭამს და სვამს,
სვამს და ჭამს და სვამს და ჭამს

. . . (ბებერი ლექსპრომტი)

— წერს და წერს და წერს და წერს და
ლექსი ლექსებს ემატება! —
კარგიც! ცუდიც!
დასახევად
არც ის ცუდი ემეტება!
ვერ ისწავლა, ვერც გასწავლით
უკეთესის გადარჩევას! —
ხომ ღმერთი წყვეტს —
ვინ და
რა და
სად და
როგორ
გადარჩება...

83

— ეს რამდენი გიტირია!
ეს რამდენი გიცინია!
ეს რამდენი გიმღერია!
ეს რამდენი გიძინია!
ეს რამდენი გყვარებია!
ეს რამდენი გძულებია!
საყვარელი, საძულველი —
ეს რამდენი სულებია!
ეს რამდენი მოგიგია!
ეს რამდენი წაგიგია!
ეს რამდენი გრიპია და
ეს რა ბევრი შაკიკია!
ეს რამდენი შეიჭამა,
ეს რამდენი დაილია!
ეს რამდენი ვაჟაა და
აკაკია და ილია!
ეს რა მოკლე ცხოვრებაა!
— მაგიერში რა ბრწყინვალე,
უსასრულო ცხონებაა!
ის შოთა და ის ვაჟა და
ის აკაკი და ილია —
შორს, შორს, უკვდავ მომავალში
გაგზავნილი ფაილია!

* * *
— რატომ ვმღერი, რატომ ვტირი, რატომ ვიცინი... —
რატომ ვერაფერს ხედავენ ახლა ისინი...
ყველაფერზე თავის ქნევა, თავის ქიცინი...
მე კი ისევ ვმღერი, ვტირი, ისევ ვიცინი...
ვისაც ვიცნობ, დღეს ისინიც ვეღარ ვიცანი...
ალბათ ამიტომაც ვმღერი, ვტირი, ვიცინი...
რა წამლები... ასნაირი რაღაც მიცინი...
მარტო მე კი არ ვიცინი — ყველა იცინის...
მოპარულის, სხვისი ფულის ფრიალ-ტკიცინი...
ახლაც ვმღერი... ახლაც ვტირი... ახლაც ვიცინი...

(1932 — . . .)

აქეთ — სიცოცხლე! იქეთ — სიკვდილი!
აქეთ — თარიღი! იქეთ — თარიღი!
ორ თარიღს შორის მოქცეულია
ადამიანი — მსხვერპლი! ტარიგი!
არ იწყევლება? როგორ არ იწყევ...
არ იგინება? — როგორ არ იგი... —
მაგრამ მთავრდება ერთი სიცოცხლე,
და არ არსებობს სხვა თადარიგი...
ვაი, ტარიელ! ჩემო ტარიკო!
მარადიულო მსხვერპლო! ტარიგო!
შენ სურვილი გაქვს, იყო! სულ იყო!
მან გადაწყვიტა — იყო... არ იყო...

ლექსპრომტი ნანის თემაზე

მთა არ მიდის მუჰამედთან? —
მუჰამედი მიდის მთასთან!
არ მოვიდა ნანი ჩემთან? —
მე მივდივარ დღეს ჩემს დასთან!
მეც მინდოდა, რომ წამეღო
დისთვის დოლარების დასტა,
მაგრამ ეს არ გამოდის და
ცარიელი მივალ დასთან!
როგორცა ჩანს, სიღარიბე
ჩემი კიდევ დიდხანს გასტანს!
რას ვიზამთ! ჩვენ მოვერევით? —
მილიარდერების კასტას!
კაი კაცი — კაი ქალთან!
კაი ქალი — კაი კაცთან! —
არა უშავს, ეს მეტია —
უფრო დიდებული კასტა!
რას ვბჟუტურობ! მე კი მსურდა
მეთქვა: დღეს მივდივარ დასთან!
მიცდის ნანი! მელის ნანი!
არ მოუწევს დიდხანს დაცდა...

* * *
დავწვებით ჯერ თუ არ დავწვებით,
ხომ საბოლოოდ ცა გვიგია!
ჩვენ მოგებული რომ გვეგონა,
ხომ ყველაფერი წაგვიგია...
ერთმანეთიც ხომ, საბოლოოდ,
სუყველას ფეხქვეშ გაგვიგია!
ვითომ ჭკვიანებს — ამ ცხოვრების
ვერაფერი ვერ გაგვიგია...
...საძინებელი წამლის მერეც
ასე რომ გვიჭირს მიძინება —
ბოლოს და ბოლოს ამ ხნის კაცმა
გაიგო უნდა მისი ნება...

* * *
— გაფრინდი, შავო მერცხალო,
ულამაზესო მერცხალო!
მინდა, შენს აქ არყოფნაში
სხვებივით ვლეწო მეც კალო!
შენსავით — მეც სულ ცაში ვარ —
მეც ვჭიკჭიკებ და მეც ვგალობ!
გაფრინდი, და ჩვენი ყოფა
ამცნე სამყაროს, მერცხალო!
გაფრინდი, ოღონდ გაისად
ისევ მოფრინდი, მერცხალო! —
მოვკვდები, შენი ჭიკჭიკიც
ხელიდან გამომეცალოს!
მთელი მსოფლიოს მცოდნევ და
მშვენიერების მენცარო,
გაფრინდი, ოღონდაც ისევ
მოფრინდი, შავო მერცხალო!

არჩილ ქიქოძე

სამხრეთული სპილო

ფრაგმენტი რომანიდან

მალე „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ შემოგთავაზებთ არჩილ ქიქოძის რომანს „სამხრეთული სპილო“. გთავაზობთ ფრაგმენტს მომავალი წიგნიდან.

მე ყოველთვის მაღელვებს ჩვენი ქუჩის ხიდებიანი სახლი, სადაც ლავრენტი ბერია ცხოვრობდა. უბრალოდ ვიცი, რომ რომელიღაცა ბინა ეკავა და არასოდეს მიკითხავს, რომელი. მე მინახავს ამ სახლიდან გამოსული გოგო-ბიჭები, ქალები და კაცები, მოხუცები. ზოგს ვესალმები კიდეც და რადგან ასე, შორიდან, სიმპატიურ ხალხად მეჩვენება, არც ერთი არ მემეტება საიმისოდ, რომ ცეკას პირველი მდივნის ნაბინავარში ცხოვრობდეს. არადა, ვიღაც ცხოვრობს, მრავლდება, რაღაცა უხარია, რაღაცა წყინს, ბერდება, კვდება. ამ სახლის აივნები დაბლა, ელბაქიძის დაღმართზე გადის. ახლახანს დაღმართის თითქმის მთელი მარჯვენა მხარე მოანგრიეს და მხოლოდ მიხეილ ჯავახიშვილის სახლს ვერ ახლეს ხელი. ამ ორსართულიან კოხტა სახლთან გაჩერდა ავარიული ნგრევა. სახლზე გამოკიდებულმა პატარა მემორიალურმა დაფამ შეაჩერა. დაფაზე წერია, რომ ამ სახლში ცხოვრობდა დიდი მწერალი. უფრო სწორედ კი „გამოჩენილი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი“. დღეს ხიდებიანი სახლის უკან ხეებია გაზრდილი და ჯავახიშვილის სახლს ბურავს, მაშინ კი პირდაპირი ხედვა იყო და ბერიაც ხედავდა პატარა სახლს და მის ბინადარს — უცქერდა, აკვირდებოდა...

საფლავი არც მწერლისაა ცნობილი და არც მისი ჯალათის. ორი სახლი კი ისევ ერთმანეთის პირისპირ დგას, ოღონდ ბერიას სახლზე მემორიალური დაფა არ არის. დედაჩემმა მითხრა ჯერ კიდევ ბავშვს — აქ ბერია ცხოვრობდაო, და იმდაგვარად მითხრა, რომ დამამახსოვრდა, თუმცა წარმოდგენა არ მქონდა, ვისზე მეუბნებოდა. ნახევრადჩურჩულით ნათქვამი ნახევრადსიმართლეების დრო იყო, და ამ ნახევრისთვისაც მადლობელი ვარ, რადგან ბევრს მაგ ნახევარის მთქმელიც არ ჰყავდა.

ბერია აივნიდან ხედავდა ელბაქიძეზე ავლილ-ჩავლილ მხრებში მოხრილ ხელჯოხიან მწერალს და მისი იერი მოსვენებას უკარგავდა, აღიზიანებდა, აინტერესებდა. ცეკას პირველი მდივანი მწერალს მეზობლურად ეპატიჟებოდა სახლში — სადილად, სალაპარაკოდ. ერთხელ შეუთვალა, ორჯერ, სამჯერ... მწერალი მიპატიჟებას უყრუებდა... არ ვიცი, მართალია თუ არა დაპატიჟებების ამბავი, მაგრამ ეგრე მომიყვა დედაჩემმა უკვე წამოზრდილს ისევ ნახევრადჩურჩულით და უკვე მერე, როცა ჩურჩული სავალდებულო აღარ იყო, დაახლოებით იგივე წავიკითხე რომელიღაც გაზეთში. ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა სიმართლეა თუ არა, რადგან ჩემთვის უკვე სიმართლე გახდა და მე მომწონს მწერალი, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე საშიში კაცის მიპატიჟებაზე უარს ამბობს. არადა, ბერიას ცოლზე ამბობენ, გადასარევი დიასახლისი იყოო, იმდენად კარგი, რომ ცოლ-ქმარმა კალმახით მოწამლა საკუთარ სახლში სტუმრად მისული აფხაზი ნესტორ ლაკობა. თუმცა სხვა ვერსიებიც არსებობს... ხიდებიანი სახლის მკვიდრებს ახსოვთ ბერიას ცოლი. უფრო სწორედ, მის შესახებ მშობლებისა და ბებია-ბაბუების ჩურჩულით ნაამბობი ახსოვთ და ამბობენ, რომ ნინა გეგეჭკორი კეთილი და სათნო ქალი ყოფილა, ბევრის ქომაგი, გადამრჩენელიც და ის მოწამლული კალმახი მისი კი არა — ლავრენტის დედის მომზადებულ-შეკმაზული იყოო. მიდი და გაიგე! არც არის ჩემთვის საინტერესო. იმ სიმართლეში კი, მე რომ მომწონს, მწერალი ბერიასთან არ მიდის, დაპატიჟებაზე უარსაც ვერ ეუბნება, მაგრამ არც მისვლა ძალუძს და ამიტომაც მიყვარს. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ არ მიდის და, ალბათ, მშვენივრად იცის, რომ ამით საკუთარ განაჩენს აწერს ხელს. უბრალოდ ვერ მიდის, საკუთარ თავს ძალას ვერ ატანს, რომ გადალახოს ეს უკანასკნელი მიჯნა, რომლის მერეც სიცოცხლის გაგრძელება გაუჭირდება. პური გატეხოს კაცთან, რომელსაც მისი სტუმრობა საკუთარი განუსაზღვრელი ძალის კიდევ ერთ დასტურად სჭირდება, რომელსაც სიტყვას ვერ შეუბრუნებს და რომც შეუბრუნოს, მისი სისასტიკის მართებულობაში ეჭვის შეტანა ხმამაღლა რომ შესძლოს, მასპინძელი მაინც მოუგებს სტუმარს, კამათშიც დაჩაგრავს, რადგან ბოროტებას აქვს ლოგიკა, აქვს არგუმენტები, სუსტი ტანის სათვალიან მწერალს კი არაფერი აბადია საკუთარი და სხვათა წიგნების გარდა, ეს წიგნებია მისი სიცოცხლის გამართლებაც და იქნებ გადარჩენაც? რკინის ლოგიკა რომ ჰქონდეს, კითხვებზე პასუხები რომ იცოდეს, მიმწოლი და თანმიმდევრული რომ იყოს, იქნებ სხვა ხელობისთვის მოეკიდა ხელი და გამოსვლოდა კიდეც, მერე აღარც იერით იქნებოდა გამორჩეული ელბაქიძის დაღმართის ადამიანებს შორის, აღარც აივანზე გამოსულ ლავრენტი ბერიას მოხვედროდა თვალში და მიპატიჟებასაც ასცდებოდა...

მაგრამ ვერ ასცდა...

მას კი — აივანზე მზეს მიფიცხებულ ხორციელ ბოროტებას — ჰაერივით სჭირდება ვიღაც, ვისაც კატა-თაგვობანას ეთამაშება, აცოცხლებს ან დაღუპავს, ვინც ძრწოლით ეწვევა სტუმრად, მის ჩახლართულ და დაუნდობელ ლოგიკას მოისმენს და დაეთანხმება... ესეც არ არის გამოსავალი, შეიძლება მაინც დახვრიტოს, მაგრამ ეხლა ძალიან უნდა ამ კაცის სტუმრობა ოჯახურ მყუდრო სუფრაზე, სადაც ისეთ ხვანჭკარას დაალევინებს, როგორიც დისტროფიული აღნაგობის მწერალს არც კი დასიზმრებია, ნინას გაკეთებულ სადილებს ხომ მთლად არაფერი სჯობს, ის კი არ მოდის... და ლავრენტი ბერიას სწყინს, რადგან ისიც ადამიანია, თანაც ქართველი, კავკასიელი და სწყინს, რომ სუფრაზე წიხლი უკრეს...

ერთხელ თაზოს ვკითხე, უფრო სწორედ კი, ვარანცოვზე ფეხზე დასადგომ მაგიდასთან გაციებულ ხინკალთან და მეორე არყის ბოთლთან ხმამაღლა გავიფიქრე:

— აი, მე დარწმუნებული ვარ, რომ ცუდი ადამიანი არა ვარ...

გაეცინა.

— ხომ არ ვამბობ, რომ კარგი ვარ, მაგრამ მგონია, რომ ცუდი არ ვარ და მაინც თუ გავყევი ფიქრებს, განსაკუთრებით არაყდალეულზე, ისეთი საზიზღრობები მომდის თავში, რო მეშინია. საკუთარი თავის კი არ მეშინია, ცუდების მეშინია. მე თუ ესეთ რამეებზე ფიქრი შემიძლია, იმათ თავში ალბათ რა ხდება?!

სახინკლეში შუქი ჩაქრა, ვიღაცებმა ხელსახოცებს მოუკიდეს, ვიღაცამ სანთლები მოიტანა და ჩამოგვირიგა. ჩვენს გვერდით ღიპიანი ბიძები ჩვენი ხნის ჯარისკაცს ეფერებოდნენ, სუსტ მხრებზე ხელებს უტყაპუნებდნენ და ბრტყელ-ბრტყელებს ეუბნებოდნენ. ჯარისკაცს სამხედრო ფარაჯა დიდი ჰქონდა, ტომარასავით აჯდა პატარა ტანზე, კრიჭაშეკრული უსმენდა ბიძებს და ერთი სული ჰქონდა, გარეთ გასულიყო.

— ბოროტებზე შენ არ იდარდო. ეგენი საერთოდ არ ფიქრობენ... ეგენი პირდაპირ აკეთებენ, — და თაზომ ჩამოასხა რაღაცა შხამი, რომელსაც რაღაც საოცრებით იმ წლებში ვიტანდით და მეორე დღესაც ცოცხლები ვიღვიძებდით.

ალბათ ეგრეა. ბერიამაც პირდაპირ გააკეთა. შეუსრულა, როგორც ეხლა იტყვიან, ბევრი ფიქრის და ჭოჭმანის გარეშე. დედაჩემი მიამბობდა და მაგის დასტურიც სადღაც ამოვიკითხე, რომ თითქოს საკუთარი ხელით აწამა, თითქოს ჩექმით გაუსრისა თავი მწერალს, რომელმაც უბრალოდ თავს ძალა ვერ დაატანა, რომ ელბაქიძის დაღმართი აღმა აევლო, მერე ქიაჩელზე შემოეხვია და ხიდებიან სახლს მოსდგომოდა. ვინ იცის, ხალხის, გამვლელ-გამომვლელისაც ერიდებოდა, ცოლ-შვილის, ან სულაც ის აშინებდა ყველაზე მეტად, პირსისხლიან მანიაკს არ ეთქვა — ჩემი საყვარეული მწერალი ხარო.

ელბაქიძიდან არ წაუყვანიათ. ქვიშხეთში აგარაკზე მიადგნენ დილაადრიან და ლოგინიდან წამოაგდეს. თეთრი კოსტიუმი ჩაუცვამს და ისე გაჰყოლია. შვილები იგონებდნენ, რომ ეზოდან კარგა ხანს ხედავდნენ ჩეკისტებს შორის თეთრ კოსტიუმში მიმავალ მამას... შავ-ნაცრისფრებში მიმავალი თეთრი ლაქა...

რად უნდოდა წამების გზაზე შემდგარ კაცს თეთრი კოსტიუმი? შეიძლება, ამდენი ლოდინისგან ქანცგაწყვეტილმა ჩეკისტების გამოჩენისას შვებაც კი იგრძნო. იქნებ თვით ამ გზაზე შედგომა იყო შვება? წინ ტკივილი, შეურაცხყოფა და სიკვდილი ელოდა. საწამებლად და მოსაკლავად მიჰყავდათ მათ, ვისთვისაც მისი წიგნები და სხვათა წიგნები საერთოდ არაფერს ნიშნავდა და სანამ ატკენდნენ, ამოთხვრიდნენ და, ვინ იცის, გატეხდნენ კიდეც, ერთადერთი, რითიც დაპირისპირება შეეძლო, თითქოს საგანგებოდ მათთვის თვალში სათხრელად გახამებული ქათქათა თეთრი კოსტიუმი იყო.

„ისინი“, „მათ“ — ზუსტად ვიცი, ვისგან მაქვს ბოროტების აღმნიშვნელი ეს ნაცვალსახელები — ჩემი კერძო ინგლისურის მასწავლებლისგან, რომელიც ქიაჩელის ხიდებიანი სახლიდან მოშორებით, თაზოს უბანში — მთაწმინდაზე, ბესიკის ბაღის სიახლოვეს ცხოვრობდა. მგონი, პირველი იყო, ვინც ჩემი თანდასწრებით ბოროტების ნაცვალსახელებს ჩურჩულით არ წარმოთქვამდა, ოღონდ ჩვენი დიალოგები რუსულად და ინგლისურად მიმდინარეობდა და შესაბიმისად „Они“ და „They“ მესმოდა მისგან.

ინგლისურის მასწავლებელი დიდი ტანის ქალი იყო და ოსკარ უაილდს მაკითხებდა – არაადაპტირებულს. სხვა რამეებსაც, მაგრამ მე ოსკარ უაილდი დამამახსოვრდა. Who art thou? — ეგრე ეკითხებოდა ეგოისტი გოლიათი პატარა ბიჭს, რომელიც ძალიან ეცნობოდა საიდანღაც. კი არ ეუბნებოდა: Who are you-ო, არამედ ეგრე სხვანაირად, ძველი ინგლისურით ეკითხებოდა და ის ხელებდალურსმული ბავშვი სულაც იესო იყო, გოლიათის სამოთხეში წასაყვანად მოსული და ეხლა ვფიქრობ, რომ მასწავლებელს შეიძლება ცრემლები ჰქონდა თვალებში, როცა ამას მაკითხებდა, რადგან აუცილებლად ფანჯრისკენ იყო გატრიალებული და ეზოში უზარმაზარ შავი თუთის ხეზე აცოცებულ ბავშვებს აკვირდებოდა და მე კი, იმის მაგივრად, მასწავლებლის თვალები მეძებნა, ეზოში ვიყურებოდი, როგორც კი წიგნს მოვწყდებოდი, რადგან მეც იმ ხის აკრძალული ნაყოფი მინდოდა და არა ოსკარ უაილდის კითხვა. წესით „ეკერსლი“ და მისტერ პრისტლი უნდა გვეზუთხა, ჩვენ კი „ბედნიერ უფლისწულს“ და „ეგოისტ გოლიათს“ ვკითხულობდით. ჩემი ძონძროხა ინგლისურის მასწავლებელი თვითონ იყო უშვილო გოლიათი, ის თუთა კი მისი თორმეტი ხისგან შემდგარი ატმის ბაღი იყო. აკი მითხრა ერთხელ — მამაჩემის დარგულიაო. მშობლები რეპრესირებული ყავდა, მამა დახვრიტეს, დედამ სადღაც ჩრდილოეთში გრძელ გადასვლას ვერ გაუძლო და დაუძლურებული ისიც დახვრიტეს. ეს ხე მათგან დარჩა... ბებიასთან ერთად დარჩა მაღალჭერიან ოთახში, რომელიც სამადლოდ გამოუყვეს სახლში, რომელიც ოდესღაც მისი წინაპრებისა იყო. ბებიის სიკვდილის მერე ბავშვთა სახლში იცხოვრა რამდენიმე წელი და სრულწლოვანი ისევ აქ მობრუნდა, ამ ოთახში, სადაც ლამაზი ფაიფურის ფინჯნებით მასმევდა ჩაის... ჩვენ ბევრს ვჭორაობდით, ჯერ რუსულად, მერე იმდენი ცოდნა დავაგროვე, რომ ინგლისურად აზრის გადმოცემა და მისი სმენა შევძელი... მეტი პროგრესი აღარ გვქონია, მანდ გავაჩერეთ ენის სწავლა და მერე მარტო ვლაპარაკობდით. თუ რამეს ვერ გამაგებინებდა, ისევ რუსულზე გადავიდოდა ხოლმე... ეგოისტი გოლიათი მეც მაღელვებდა, ისევე, როგორც დანარჩენი ოსკარ უაილდი, მაღელვებდა რაღაცა პრიმიტიული და ველური სინაზით და კიდევ იმით, რომ სულ არ გავდა ჩემი სკოლის ინგლისურს, არც „ეკერსლის“ ენას, მასწავლებლის ბრიტანულ ინგლისურზე ინგლისურიც იყო და არც „ლივერპულ იუ ვილ ნევერ ვალქ ელონს“ გავდა. ოღონდ სულ მახსოვდა, რომ ოსკარ უილდიც იმ ქვეყნიდან იყო, სადაც წაგებულ გუნდს წვიმაში უმღერიან და ანუგეშებენ...

ეგოისტი გოლიათის ბაღში კი სულ ზამთარი იყო, სანამ ღობე არ მოარღვია და ბავშვები არ აუშვა ატმის ხეებზე. იმის მერე წლები გავიდა... თბილისში თუთა ივნისში ისხამს, მე კი ისე მახსოვს, თითქოს მუდამ ესხა, ზედ მუდამ ისხდნენ მეზობლის ბავშვები და ჩვენ სულ „ეგოისტ გოლიათს“ ვკითხულობდით. ესე იგი, მთავარი ეს დამამახსოვრდა ჩვენი გაკვეთილებიდან და კიდევ ჩემი მასწავლებლის მოყოლილი რამდენიმე ამბავი და ჩემს მიერ წარმოსახული სურათები... აი, მასწავლებლის დედა ჩეკისტებს მიჰყავთ... სამუდამოდ. დედა მანქანიდან უღიმის და პირჯვარს სახავს და ესეც ამ ეზოში ხდება... რამდენი რამე შეიძლება დაიტიოს

ერთმა ეზომ? ერთმა ცხოვრებამ? რამდენ რამეს უძლებს ერთი გული? ამას ეხლა ვკითხულობ, თორემ მაშინ უბრალოდ მაინტერესებდა მასწავლებლის სმენა. მერე თაზოს ვუყვებოდი ამ ამბებს. ინგლისურის გაკვეთილები მარტო ჩემი იყო და მენანებოდა, თაზო იგივეს რომ ვერ ისმენდა. მაშინ ხომ არავინ გვიყვებოდა ასეთ ამბებს — თითქმის რომ არავინ... ბევრი აღარ დარჩა და სულ რამდენიმე წელში აივსება ქალაქი და ქვეყანა ამბებით, პორტრეტებით, ტრანსპარანტებით. ჩურჩულს ყურთასმენისწამღები ღრიალი შეცვლის, ჩემი მასწავლებელი კი ისევ თავის ფანჯარასთან იჯდება, საიდანაც თუთის ხე მოსჩანს და ზედ ამძვრალი ბავშვები, რომელთა წინაპრებმა მისი კუთვნილი უზარმაზარი სახლი დაიკავეს... უცქერს ბავშვებს და იღიმის, იღიმის...

კიდევ ასეთი სურათი: ბებია მოკვდა. ჩემი მასწავლებელი ბავშვთა სახლშია და იქ რაღაც მცენარის თესლები გაასინჯეს — მანაც კი არ იცოდა ამ მცენარის ინგლისური სახელი, ქართულზე რომ არაფერი ვთქვათ. Черная Белена — ეგრე ეძახდა და ეს დასახელება, სადაც ორივე ერთმანეთის საწინააღმდეგო ფერი — შავიც და თეთრიც იყო ნახსენები, საშიშად ჟღერდა. ჰალუცინატორი ყოფილა. უფროსმა ბიჭებმა მისცეს და მაგიდის ქვეშ ჩაყლაპა. მაგიდის ქვეშ კიდევ იმიტომ კი არ იჯდა, რომ ეგეთი პატარა იყო, უბრალოდ იქ უყვარდა თავის შეფარება — დაცულად და მშვიდად გრძნობდა თავს, მაგრამ იმ ჰალუცინატორის გასინჯვის მერე იქაურობაც შეიძულა, რადგან ოდესღაც თეთრი, დალაქავებული სუფრის ნაკეცებით შემოსაზღვრული მისი პატარა და მყუდრო სამყარო უეცრად კოშმარულად გაიზარდა და ყველაზე ბოროტ და დაუსრულებელ სივრცედ იქცა, რომლის წარმოდგენაც ადამიანის ფხიზელ გონებას ალბათ არც კი ძალუძს... ბავშვთა სახლზე მეტს არაფერს ყვებოდა...

I have many beautiful flowers, but the children are the most beautiful of all — გოლიათს ბევრი ლამაზი ყვავილები ჰქონდა, მაგრამ თავის ბაღში ბავშვებზე ლამაზი მაინც არაფერი ეგულებოდა. ოდესღაც ჩემი მასწავლებლის ხეზე ერთი ცნობილი რეჟისორიც დაძვრებოდა. ჰო, ჩემი მასწავლებელი მის ბავშვობასაც იყო მოსწრებული და ერთადერთი ეპითეტი, რომლითაც მოიხსენიებდა, რუსული „დურაკ“ იყო. მახსოვს, უკვე სტუდენტობისას თაზოს რომ ვუამბე, როგორ ნერვიულად გაიარ-გამოიარა ოთახში და, „ეგ შენი მასწავლებელი, ცოტა ვერ ყოფილაო“ — მითხრა. მხრები ავიჩეჩე. რეჟისორის რამდენიმე კინოდან ერთი — სულ პირველი — ძალიან მოგვწონდა, დღემდე მომწონს და საპირწონედ კიდევ მხოლოდ ჩემი ინგლისურის მასწავლებლის აგდებულად გადმოგდებული „დურაკი“ იყო...

კიდევ მიყვებოდა დედის სიკვდილს, თვითონ იქ არ ყოფილა. ათწლეულების მერე გადარჩენილი ვინმე მარიამ ანდრონიკაშვილის მონაყოლს მიამბობდა. ქართულად ამბობდა: „დეიდამარიამანდრონიკაშვილი“. როგორც ერთ სიტყვას, ისე წარმოთქვამდა და ამ მოხუცი ქალისგან ნათქვამი „დეიდა“ და მასზე მოყოლებული თავადური გვარი მთლად უცნაურად ჟღერდა. ჩემი მასწავლებლის დედა შვილივით მაღალი, მაგრამ ძალიან სუსტი ქალი იყო. იქ — There, ეგრე ამბობდა მასწავლებლი, როცა გულაგს გულისხმობდა და, რა თქმა უნდა, „ისინი“, როცა ჩეკისტებზე, ბადრაგზე ან მაბეზღარებზე მიუთითებდა. იქ და ისინი, There and They. დედა იქ მოკლეს მათ, როცა ბანაკიდან ბანაკში ფეხით გადასვლისას სიარული ვეღარ შესძლო და თოვლში წაიქცა. ცოტა ხნით დეიდამარიამანდრონიკაშვილი ამოუდგა გვერდში, მაგრამ დიდხანს ვერც მან შესძლო მისი ზიდვა. მერე ერთმანეთს დააშორეს, დეიდამარიამანდრონიკაშვილი წავიდა, დანარჩენ კოლონას შეუერთდა. დედასთან „მათგან“ ერთ-ერთი დარჩა. დეიდამარიამანდრონიკაშვილს უკან არ მოუხედავს... არცერთხელ. „მაპატიე, შვილო,“ — ეუბნებოდა და ტიროდა გადასახლებიდან დაბრუნებული, — „რომ მომეხედა, შეიძლება, მივბრუნებულიყავი, მე კიდევ ეს დასაწვავი სიცოცხლე მინდოდა“. მასწავლებელი უსმენდა და ვერ ტიროდა. უნდოდა, ეტირა და ვერ ტიროდა. დეიდა მარიამი არც მაშინ მობრუნებულა, როცა

თოვლში ყრუდ ჩაკარგული ერთადერთი გასროლა გაიგონა და ცოტა ხანში „მათგან“ ერთ-ერთი — One of them — დაეწია კოლონას სირბილით. დაეწია და გაასწრო კიდეც, სათავეშიც ჩაუდგა საქმიანი და ენერგიული, თავისნაირს სიგარეტიც გამოართვა, გაუკიდა, რაღაცას ელაპარაკებოდა გზად...

წლების მერე ზუსტად მახსოვს, ამის მსმენელი რაზეც ვფიქრობდი — ჩრდილოეთის ტრამალებზე, თოვლზე და მხეცებზე, რომელებმაც თოვლში უპატრონოდ დარჩენილი ჩემი მასწავლებლის დედის ცხედარი შეჭამეს. ღეშად ქცეულ ცხედართან ჯერ მგლები მივიდნენ და მერე გამოჩნდა ის — უცნაურსახელიანი უცხო ცხოველი. მგლები გაყარა და... მაშინ თაზო ხატვაზე დადიოდა მხატვრის სახლში, რომელიც 91 წელს თბილისის ომის დროს დანარჩენ რუსთაველის პროსპექტთან ერთად უნდა დამწვარიყო. თაზოს სტუდია პირველ სართულზე იყო, იქ ვაკითხავდი ხოლმე და მაღლა საგამოფენო დარბაზებშიც ავდიოდით. რანაირი გამოფენა აღარ მინახავს იქ — საბჭოთა კავშირში უამრავი დიდი და პატარა მოძმე ერი იყო — სულ უფროსი და უმცროსი ძმები და პერიოდულად რომელიმე მათგანის ხელოვნების ნიმუშებს თბილისის მხატვრის სახლში ფენდნენ. ეგრე ვნახე თაზოსთან ერთად ჩუკოტკის გამოფენა — მატერიალური კულტურა მათი, ვისაც მთლად უფროსმა ძმებმა იძულებით შეუცვალეს ბავშვივით გულუბრყვილო ცხოვრების წესი, მერე „ცივილიზებული“ სამყაროს პირისპირ არყიანი ბოთლის ანაბარა დატოვეს და კიდევ უამრავი იდიოტური ანეგდოტი მოუგონეს. ის ჩუქჩების ხელოვნება საგამოფენო დარბაზში ნანახ ბევრ ექსპოზიციას ჯობდა — ჩვეულებრივზე კიდევ უფრო წვრილთვალება ლენინის პორტრეტი და უეშმაკო რამე-რუმეები იყო გამოფენილი. მე ერთი ნივთი დამამახსოვრდა. ზღვის ლომის უზარმაზარ ეშვზე რამდენიმე ორნამენტი იყო ამოტვიფრული და ოკრობოკრო რუსული ასოებითა და ორთოგრაფიული შეცდომებით ეწერა მცნება თუ შეგონება, ჩვენთვის — სამხრეთელებისთვის — სრულიად გამოუსადეგარი, მაგრამ ჩუკოტკის მკვიდრებისთვის ალბათ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი: Росомаха опасни звер. აი, ჩემს ფიქრებში სწორედ ეს უცნაურსახელიანი და საშიში ცხოველი „როსომახა“, რომლითაც, ალბათ, გრძელ პოლარულ ღამეებში ჩუკოტკელი დედები აშინებდნენ თავიანთ გაჭინჭყლებულ შვილებს, ჭამდა დეიდამარიამანრონიკაშვილის მიერ მიტოვებულ და „მათ“ მიერ დახვრეტილ ჩემი მასწავლებლის დედის სუსტ და გამოფიტულ სხეულს...

გარეთ კი, სარკმლის წინ, თუთის უზარმაზარ ხეზე ბავშვები ისხდნენ. ნუთუ მთელი ის წლები, რაც მასწავლებელთან დავდიოდი, ერთი გრძელი ივნისი იყო? ისეთივე მშვენიერი სანახაობა, როგორც ოსკარ უალიდის ზღაპარში. ჩემი უშვილძირო მასწავლებელი მამამისის მიერ დარგულ ხეზე შემომსხდარ მეზობელი ბავშვების ვინ იცის მერამდენე თაობას უცქერდა და თვალებში მხოლოდ ღიმილი ჰქონდა — მეტი არაფერი. ღიმილითვე მისხამდა ჩაის, მწირი ოჯახური რელიქვიებიდან ერთ-ერთით — ვერცხლის საწურით მიყენებდა ფინჯანში. მაშინ დავეჩვიე უშაქრო ჩაის, შაქრის დადგმა აზრად არ მოსდიოდა და მეც მერიდებოდა თხოვნა. ღია ფანჯარაში ჩანდა ხე და ბავშვები... მათი შთამომავლები, ვინც მისი ოჯახისთვის წართმეულ სახლში შეასახლეს და „მისი“ შთამომავლებიც, ვინც მშობლები დააბეზღა...

როდესაც დამირეკეს და მასწავლებლის გარდაცვალება შემატყობინეს (თურმე ვახსოვდი და ხშირად მიგონებდა), რუსთაველიდან ფეხით ავიარე ბესიკის ქუჩა, ისე შევედი ეზოში, მერე სახლში და ნაცნობ ოთახში, რომ ცვლილება ვერ შევნიშნე. კაცებად და ქალებად ქცეული თუთის მჭამელი კომპანიის შემხედვარემ ნიავის მსუბუქი წამოქროლებასავით ვიგრძენი განვლილი წლების სევდა და კიდევ მომეჩვენა, რომ არა ვართ ცუდი ხალხი — თუნდაც იმიტომ, რომ უპატრონო მიცვალებულის პატრონობა შეგვიძლია... ჩემი მასწავლებელი შუაგულ ოთახში ესვენა, ღია ფანჯრიდან კი ხე აღარ ჩანდა. თუთა გამხმარიყო და მოეჭრათ...

ოღონდ მოჭრილმა თუთამ ამასწინათ კიდევ ერთხელ შემახსენა თავი. შარშან სახლში ვეწვიე იმ ეზოში გაზრდილ რეჟისორს და ბელორუსი ხალხის სინდისი, ვიკტორ პარნიუკი, მივუყვანე სტუმრად. ვიქტორი ერთი წლით ადრე ვისბადენში გავიცანი. იქაური ფესტივალის ყველაზე კოლორიტული სტუმარი იყო. პირველსავე დღეს გამოეწყო ნაქირავებ სმოკინგში, რომელიც ტომარასავით აჯდა ტანზე, წავიდა იმ კაზინოში, სადაც დოსტოევსკიმ წააგო მთელი ფული და მიზანმიმართულად თვითონაც წააგო ყველაფერი, რაც მინსკში გულშემატკივრებმა შეუგროვეს. სულ პატარა ტანის, ისედაც ტრაგიკულსახიანი კაცი მთლად ტრაგიკული დაბრუნდა უკან, „ვსე პრო მენია ზაბილი“ — ყველას დავავიწყდიო. თანამგზავრები შემოფანტვოდა და კაზინოდან ძლივს გამოეგნო გზა. მერე ერთად დავლიეთ მაგრა და მერე კიდევ რამდენჯერმე დავლიეთ. პარნიუკი დიახაც დიქტატურით დატანჯული ერის სინდისი იყო და ამიტომ ფესტივალზე მას უფრთხილდებოდნენ, ბევრს უთმენდნენ და პატიობდნენ, მაგრამ გერმანელების თმენასაც ჰქონდა საზღვარი და მაშინ პარნიუკის ისედაც მოტირალი სახე მთლად ტრაგიკული ხდებოდა: ნა მენია ოპიატ ნაკრიჩალი! – ისევ მიყვირესო. გინდათ ნამცხვარი? და ჯიბიდან ხელსახოცში გახვეულ ფურშეტიდან მოპარულ ნამცხვარს აძრობდა. სანამ მეც გამითავდებოდა ფული, ერთად ვსვამდით. პარნიუკმა ჩემგან შეიტყო რამდენიმე ქართველი კინომოღვაწის სიკვდილი და ყველა გულწრფელი ცრემლით დაიტირა: რას ამბობთ, ნუთუ ისიც გარდაიცვალა?! მერე როგორი ნიჭიერი... „ვგიკიდან“ ვიცნობდი... რა ბიჭი იყო?! გიჟდებოდნენ გოგოები!

თვითონ, გარკვეულ კონდიციას რომ მიაღწევდა, მტრედისკენ მიპარვით მიმავალი კატის გრაციით მიემართებოდა ფესტივალის მოხალისე გოგონებისკენ, ან მხარზე კბენდა, ან ტრაკზე ჩქმეტდა, ხანდახან კი ამ ორივე ქმედების სინქრონიზაციასაც ახერხებდა. აღშფოთებით შემოტრიალებულ მოხალისეებზე ჰიპნოზივით მოქმედებდა მათკენ აღპყრობილი ერის სინდისისა და დემოკრატიისთვის მებრძოლის სევდიანი თვალები, პარნიუკს პატიობდნენ, თითქმის არასოდეს ეჩხუბებოდნენ, მიაჩნდათ, რომ დიქტატურით დატანჯულ დოკუმენტალისტს სულის მოთქმა — „რელაქსაცია“ — სჭირდებოდა, ოღონდ ზოგჯერ ორგანიზატორებს მაინც ამოსდიოდათ მისი ოინბაზობა ყელში და მაშინ ნაწყენი პარნიუკი ვიშვიშით მპოულობდა — „ნა მენია ოპიატ ნაკრიჩალი...“

მისი თბილისში ვიზიტიც იმ დღეებში დავგეგმეთ, ყოველ შემთხვევაში, ასე მითხრა თვითონ, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს მეიდნის რომელიღაც სასტუმროდან დამირეკა. თან ჰქონდა სია იმ ადამიანებისა, რომლებთანაც შეხვედრა და მათგან ინტერვიუს ჩაწერა უნდოდა. რეჟისორი, რომელიც იმავე ეზოში გაიზარდა, სადაც ჩემი ინგლისურის მასწავლებელი ცხოვრობდა, სიის სათავეში იყო მოკალათებული.

სახლში ვეწვიეთ. ოღონდ იქ, მთაწმინდაზე, უკვე მრავალი წელია აღარ ცხოვრობდა. „კაცი სამოცდაათს გადასცდა და რამხელა ენერგეტიკა მოდის მისგან,“ — აღფრთოვანებული იყო იქიდან გამოსული და მართლა კარგი კონიაკით შეზარხოშებული პარნიუკი, — „რა ადამიანია, რა ქალაქში ცხოვრობთ, ვერც ხვდებით! არც მჯერა, რომ ამდენი წლის მერე ისევ თბილისში ვარ და მასთან ვიყავი სტუმრად!“ მე გვერდით მივყვებოდი და ინტერვიუზე ვფიქრობდი, ერთ მომენტზე, როცა ვიქტორ პარნიუკმა მორიგი სირჩა კონიაკი გადახუხა და ერთი ამოსუნთქვით კარგა მაზალო რამე იკითხა: „როგორ ფიქრობთ, გიორგი გიორგევიჩ, საქართველოსთვის ყველაზე ცუდი დღეები უკვე ჩავლილია? მშვიდობას უნდა ველოდოთ უახლოეს წლებში?“

მაესტრომ ამოიოხრა, მორიგ სიგარეტს გაუკიდა და ჩაფიქრდა. მომეჩვენა, რომ ეს ჩაფიქრებაც წინასწარ იყო ჩაფიქრებული და ტირადაც, რომელიც შემდეგ მოაყოლა, ადრეც ჰქონდა ნათქვამი, თან არაერთხელ — მით უარესი.

— ვშიშობ, რომ არა, — პაუზა და ღრმა ნაფაზი, — მაგაზე ერთი რამ მახსენდება... — პაუზა და ისევ ნაფაზი, — მე ძველ თბილისში, კოლორიტულ ეზოში გავიზარდე წმინდა მთაზე, — ხელის უდარდელი გაქნევა კაბინეტის უზარმაზარი ფანჯრისკენ, რომელშიც მართლა მოჩანს მამა-დავითი და ფუნიკულიორი, — ჩვენს ეზოში უზარმაზარი თუთის ხე იდგა, ბავშვები სულ ზედ ვისხედით ხოლმე. ძალიან გემრიელ თუთას ისხამდა ის ხე. შეიძლება, მე ვიყავი პატარა და იმიტომ მომწონდა ასე ძალიან, — ჯიბიდან მეც ვაცოცებ სიგარეტს და სანთებელას ვეძებ, — ბავშვობის გემოები ხომ მერე აღარ გვიბრუნდება. აი, თქვენთან ჩრდილოეთში არ არის თუთა, აქ თბილისში კი თუთის შემოსვლა ნამდვილი დღესასწაულია ბავშვებისთვის, ჩვენთვის ასე იყო და ხიდან საერთოდ არ ჩამოვდიოდით. ხელები კიდევ სულ მწიფე თუთისგან გვქონდა გაშავებული და, შეიძლება, არ იცით, მაგრამ ეს სიშავე საპონსაც არ ამოჰყავს და ერთადერთი საშუალება ამ ლაქის მოსაცილებლად, იცით, რა არის? მკუხე ნაყოფი უნდა გაჭყლიტო, დიდ ხანს სრისო ხელებით და იმას ამოჰყავს...

დასასრული მე-15 გვერდზე

პაატა შამუგია

არგადარჩენა

უფალმაც რომ დაიცვას ქალაქი,
ამაოდ ფხიზლობს გუშაგი —
ვერავინ გადარჩება.

სახლებს ცეცხლი წაეკიდება,
გზები მოირყევა,
ჩვილები აკვნებიდან წამოდგებიან
და თავებს დემონსტრაციულად დაიხოცავენ,
რადგან
ვერავინ გადარჩება.

შორ გზაზე შემდგარს ფეხები დაულღვება,
და საკუთარ კიდურებში ნელამდე ჩაფლულს
ვერავინ იხსნის,
ლოგინებში გველები აყვავდებიან,
კედლები ორკაპა ენებს გამოიბამენ
და იტყვიან ყველაფერს,
რის გამოთქმაც აქამდე უხერხული იყო.
ამაოდ ფხიზლობს გუშაგი,
ამაოდ ფხიზლობს დედა —
ვერავინ გადარჩება.

მკითხავები ხელისგულზე ვეღარ წაიკითხავენ,
მკითხველები ლექსებს ვეღარ წაიკითხავენ,
მლოცველები ლოცვებს ვეღარ წაიკითხავენ,
პოლიტიკოსები ხმას ვერ აიმაღლებენ,
ბგერების ნაცვლად
სისხლიან გლანდებს ამოანთხევენ —
ვერავინ გადარჩება.

ჭადრები ბეტონის ფოთლებს დაისხამენ,
მგზავრები ჩრდილებს დაკარგავენ,
სიტყვები ქვებივით დამძიმდებიან,
ქვებით პირები ამოგვევსება
და ჩვენ ნაცვლად ჩვენი ჩრდილები იჩურჩულებენ —
ვერავინ
გადარჩება.

ძიძები ჩვილებს მიატოვებენ,
ავტომატებს გაიდებენ მხრებზე ჯვრებივით
და ყველა შემხვედრს ტყვიებით აკურთხებენ,
მკვდრებს კი საკონტროლო კურთხევას დაახლიან —
ვერავინ,
ვერავინ,
ვერავინ გადარჩება
და ვინც გადარჩება,
ვერც ის გადარჩება,
ვერ გადაურჩება
მიზეზების და კავშირების
უმკაცრეს გადაკვეთას,
ბედნიერების და შემთხვევითობის
ავარიულ ჯახს —
ვერავინ გადარჩება.

სულ ტყუილად ეგონათ,
მიზეზებს მოიდებდნენ,
ალიბებს დადებდნენ
და გეგმებს დადებდნენ,
ამაოდ ფხიზლობს გუშაგი,
ამაოდ ფხიზლობს ქალაქი,
ამაოდ ფხიზლობს მშობელი,
ამაოა ეს ფაციფუცი —
ვერავინ,
ვერავინ გადარჩება.

ედუარდ უგულავა

ვერცხლის ტყვიები

ამისთვის არვინ გეტყვის მადლობას,
ხელწერა შენი მწარედ გეცნობა, —
ჩემი სიცოცხლე... ჩემი დანდობა...
შენი ყველაზე დიდი შეცდომა...
ჩემ დილეგს ბნელი ება კარებად,
და წლები მხრებზე მასხდნენ ყორნებად,
მაგრამ რა ჯაჭვი დამაკავებდა,
ან რა ჯურღმული ჩამიყოლებდა?!.
ისე დაიწყო სისხლმა ხურვება,
ფრთა დაეღუნა წყევლას ასწლიანს.
ეს მაშინ, როცა შენმა სურნელმა
ამ ქვესკნელშიაც ჩამოაღწია.
ვერ გავექეცი თვალებს ვნებიანს,
იქ, სადაც უკან სამი წერტილის,
ლაჟვარდის უცხო ხეივნებია,
სილურჯეებში გადაწყვეტილი.
ისე რთულია ბედს არ მიენდო,
როცა უმძიმეს ცოდვის კურნებად,
ყველაზე მტკიცე და საიმედო,
არსებობს გულთა ხელშეკრულება.
და უშენობა როგორ მეკმარა,
როცა ისედაც არსად მელიან...
სისხლისფერია ცა და ქვეყანა,
შენი სხეულიც სისხლისფერია.
წითელი მთვარე ადგას მონასტრებს
და გამომძვრალი კაცის კანიდან,
ღრძილაქავებულ ყბებით მოგათრევ
შეჩვეულ მკლავის სიმხურვალიდან.
სიკვდილი ყველა მხრიდან მოღოღავს,
ღამე სურვილებს ისხამს ცოდვებად,
გარკვევით ვხედავ წითელ ობობას —
მსხვერპლს რა სიდინჯით უახლოვდება.
ცოტაც და შენი სულიც იკივლებს,
რომელშიც შიში რჩება მეტწილი
და ისე გითრთის მკერდის სიმკვრივე
ბასრი ეშვებით გადაღეჭილი,
უკვე ამ ლოგინს ვერასდროს აშლი,
ვერ გადახვეწავ ვნებას სხვა მხარეს.
შენ მაშინ შეცდი, როცა კეფაში
ვერცხლის ტყვიები არ დამახალე!

* * *

იოლად დგება თვალში სინესტე,
ვიგრილებ გულ-მკერდს სველი ნაჭრებით.
ისე მიყვარდი, ვერ გაგიმეტე
და ფრთები ძილშიც ვერ შეგაჭერი.

იმ დილით ელდამ წამსვე დამძალა,
გამექცა ფეხქვეშ გრძნობა სიმყარის,
როდესაც ღია დამხვდა ფანჯარა
და შენ ოთახში აღარ იყავი...

* * *

ვდგავარ ქუჩაში,
ფიქრით — მძიმე...
სულით — მშიერი...
უკან მეწყერი,
რომ იტყვიან,
ხოლო წინ წყალი...
ამდენ ნიღაბში,
ახლა ამდენ
უცხო იერში,
აბა, მიდი და,
თუ ბიჭი ხარ,
ვინმე იცანი...

ერთხელ ცხოვრებას
მეც ვეწვიე,
ფიქრით სახეზე...
უნიღბოდ ვიყავ,
გაუკვირდათ
რაღაც მსახურებს,
მერე მოსაწვევს,
როგორც მახსოვს,
არც კი დახედეს,
გამიღიმეს და
კარი ცხვირწინ
მომიჯახუნეს!..

* * *

ისევ არ დამხვდა მჭიდში ჰილზები
და ისევ რაღაც უცნობს ველოდი.
შენ მშორდებოდი და მაფხიზლებდი
შენი სიშორით და უშენობით.
გაუდის ყავლი ნაცნობ თარიღებს,
არადა, მაინც არ ჩანს საშველი
და, იმედი მაქვს, კარებს გამიღებ,
სისხლის წვიმაში გარეთ დარჩენილს,
რომ დაგიკოცნო თრთოლვა ნიკაპთან,
რომ გაფართოვდეს თვალის გუგები.
მიყვარხარ, მაგრამ როგორ მიყვარხარ,
ამას ვერასდროს ვერ გეუბნები.

* * *

იღლებოდა გული ძგერით,
ტვინს მიფშვნიდა შთაგონება.
ლექსს ვწერდი და ბედი ჩემი
შავ კამათელს აგორებდა.
ისევ მთვარის შუქით ვთბები,
რაც მზემ თვალი ამარიდა,
მისი თბილი ნაფლეთები
ძლივს ამომაქვს სამარიდან.
სხვანაირი სუსხით ჰქრიან
ქარები და ხრავენ ტოტებს,
მე კი ღამის ჩრდილებიან
დერეფნებში დავაბოტებ...

* * *

მე ისე მხიბლავს შეხვედრა შენთან,
ყოველ წამს ისე მძაფრად განვიცდი,
არა მგონია, სახელი ერქვას
ამ გრძნობას რამე შესაბამისი.
კიდეც რომ არ ვთქვა,
ორივემ ვიცით,
შენით ჩქარდება დღემდე ეს გული.
შენა ხარ შვება, ვით თბილი სისხლი,
ვენიდან ახლად გამოშვებული.
მაგრამ გშორდები, იმდენად ძნელად,
ძლივს ვუბრუნდები საწერ მაგიდას.
...
გულს დათვლილი აქვს ნაბიჯი ყველა,
ოდესმე შენკენ რაც გადამიდგამს.

გიორგი ბალახაშვილი

ლიდია

ვარსკვლავებს იყრის ტანზე ზეცა, როგორც ბუსუსებს,
მე, როგორც წესი, აივანზე ვდგავარ, ვეწევი
და მერე ხველას წამოვიწყებ, რაღაც უსუსურ
ბგერათა ხროვას და ვუყურებ წინ წამოწეულ
კორპუსს, რომელშიც მეხუთეზე ცხოვრობს ლიდია
და არის მარტო, გადამკიდე მისი პილოტი
ქმრის, რადგან იგი დღენიადაგ ცაში ჰკიდია,
უკვე ყელში აქვს ამოსული ნიცა, კიოტო,
მილანი, გოა და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი
ქალაქი, სადაც მოხვედრაა ერთგვარი იშტა...
მე ყოველ ღამით მის მეუღლეს თვალყურს ვადევნებ,
წინასწარ ვიცი, რა დროს იცვამს ან უფრო იხდის
ვარდისფერ ხალათს, ჩამოტანილს ალბათ დოჰიდან,
ყატარს სტუმრობდა მისი ქმარი წინა კვირაში,
მე კი ვუყურებ და მუდმივად ვწრუპავ მოჰიტოს,
როცა ლიდია მკერდს იშიშვლებს, როგორც მინაშენს
კანონის მიღმა, დადგენილი მისი ფართობის,
ძილისპირულზე ვიზეპირებ მკერდის კონტურებს,
მაღალკლასელი მოზარდივით ურცხვად ვერთობი,
ვდარდობ იმაზე, რომ ჩაქრება მალე ნათურა,
წავა ლიდია, გადაწეულს დატოვებს ფარდას,
ნიშნად იმისა, რომ მიცქერის, როგორ ვუცქერი,
გაიშლის თმას და თავს ბალიშზე მოწყენით დადებს,
მერე თვალებში ძილი მოვა ლურჯი, უფსკერო...
მე, როგორც წესი, აივანზე ვდგავარ, ვეწევი,
მერე ვახველებ, თუმცა რომ ვთქვათ ფეხზე მკიდია,
ვწრუპავ მოჰიტოს და ვუყურებ წინ წამოწეულ
კორპუსს, რომელშიც მეხუთეზე ცხოვრობს ლიდია.

რა მარტივია

რა მარტივია, რომ დაფიქრდე, ჩემო ბართლომე,
რა მარტივია, რა სადაა, რა უბრალოა,
დავწვათ წიგნები — უსარგებლო და უბრაილო,
არაფრისმთქმელი, რადგანაც ვართ უსინათლონი.
რა მარტივია, რომ ადგე და გამოერიდო
ამ ძირგამომპალ, უმოქმედო მეამბოხეებს
და ყველაფერი სარკის ნაცვლად უამბო ხეებს,
ვიყოთ მარტონი, სულ მარტონი, ამიერიდან.
რა მარტივია, მხოლოდ ხმები, მხოლოდ ბგერები,
ანუ ხედავდე მხოლოდ იმას, რასაც ისმენდე;
ფეხზე გეკიდოს ყველა სახის დოღი, ისინდი,
როცა ცხენები ფლოქვების ხმას გააჟღერებენ.
რა მარტივია, ვერ ხედავდე, ჩემო ბართლომე,
ათიათასგვარ სიბინძურეს დღეს შენს გარშემო,
რომ ხსოვნის მიღმა უნებლიედ გადააშენო,
რაც კი გინახავს ამდაგვარი და წარმართული.
რა მარტივია, რომ დაფიქრდე, ჩემო ბართლომე,
რა მარტივია, რა სადაა, რა უბრალოა,
დავწვათ წიგნები — უსარგებლო და უბრაილო,
არაფრისმთქმელი, რადგანაც ვართ უსინათლონი...

* * *

ბოჰემის ტყეში ვარ, ტანსველი ნიყვები
მიჰყვება ხეების გადასწვრივ ბილიკებს,
როგორც ათეისტის ტაძრად მიყვანება,
ერთობ აბსურდული ეს ჩემი ლირიკა
გაგანდობს ართქმულ და შენამდე ვერ მოსულ
სიტყვების, სიტყვების, სიტყვების სიმძიმეს...
შენ კი ეგ ტუჩები დუმილით შემოსე,
შემზარავ დუმილით და ისე მისმინე.
თვალებიც დახუჭე, ეგ შავი ყორნები,
რომელიც გაცნობის წუთიდან მაყოვნებს,
რომელიც გაცნობის წუთიდან მანიშნებს,
გაგშორდე და ახლა დუმილიც გბეზრდება,
დრო არის ავდგე და არსაით წავიდე;
თვალები ძილის წინ უხმობენ ბელზებელს
ან სულაც უძილო ღამეებს — ყავიდან.
სიზმრიდან მოგელის სასახლე კოშმართა,
იქ, სადაც სახლდება ყორანი ქედანში,
იქ, სადაც არ არის სენა და მონმარტრი,
იქ, სადაც არა ვართ, ძვირფასო, მე და შენ.
გტოვებ და მივდივარ, დილამდე ნუ მიცდი,
მივდივარ არსაით, თავს უნდა ვუშველო
და ახლა ხელს ვაწერ ღამეთა სუიციდს,
ბოჰემის ტყეში ვარ...

მარჯანიშვილს რომ ჩაუყვები...

მარჯანიშვილს რომ ჩაუყვები და მთელ ამ თურქულ
ჩილიმ ბარებით აჭრელებულ, მოგრძო კოლონას,
ალუბლის სუნით იჟღინთება ვილვეტის ქურქი,
რომ გადაფაროს სუნთქვა შენი ოდეკოლონის,
რომელსაც დილით მოაპკურებ ნაჩუქარ კაშნეს,
როდესაც სახლში დაბრუნდები ჰარამხანიდან
და მტკვარიც ხიდქვეშ იზლაზნება, ასეთი უშნო
ჯერ არ გინახავს ანდა სულაც კარგა ხანია,
ასეთს უცქერი, არა მარტო ხიდზე ტაბიძის,
ბარათაშვილზე, ვახუშტიზე, კიდევ ვინ იცის,
რომელი გითხრა, თუნდ „მშვიდობის“ შუშით აკინძულ
ციმციმა ხიდზე, რომ გადადის მთელი თბილისის
ადგილობრივო მოსახლე და ყველა ტურისტი,
სადაც ფეხდაფეხ ხელგამოწვდილ ბავშვებს შეხვდები,
თვალებში შიმშილს წაიკითხავ, მერე უსიტყვოდ
ხურდას ჩაუყრი კმაყოფილად და სხვა, შეღებილ
კორპუსთა მხარეს გადაიწევ და თითქოს დაცლი
ავსებულ მზერას სიცივით და ამაოებით —
ლურჯ ფასადებზე, რიკულებზე, რომ გაწყდეს ქანცი
და შეუხამო გარე მხრიდან გარემონტებულ
სკოლებს, კლინიკებს, მობეზრებულ უკვე ლუდხანებს,
სადაც დროდადრო მეგობრებთან ერთად ისვენებ,
ღამეც მოდგება უსახური და ბებრუხანა
და საზეპიროდ წაუკითხავ ძმაკაცს ესენინს,
ზედიზედ მოწევ რამდენიმე წითელფილტრიან
სიგარეტს, ისიც საზიაროდ რომ გაქვს ნაყიდი,
მერე კი მიდი, იდექი და თავი იმტვრიე,
რადგან სახლამდე დღესაც ფეხით უნდა წახვიდე
და ჩაუყვები მარჯანიშვილს, მოკლედ ამ თურქულ
ჩილიმ ბარებით აჭრელებულ, მოგრძო კოლონას,
ალუბლის სუნით იჟღინთება ვილვეტის ქურქი,
რომ გადაფაროს სუნთქვა შენი ოდეკოლონის.

ღამის ქალაქი

ჩვენ ერთმანეთის ჩრდილებივით გავიზეპირეთ
ღამის ქალაქი — გამზირებით, გზებით, ჩიხებით...
სხვა სახელები მოვუგონეთ ხიდებს, ჯებირებს,
რაღაც ბავშვური აღტაცებით და ახირებით.
ვისწავლეთ ყველა გასასვლელი და მიწისქვეშა
ბნელი გვირაბი — პანკებით თუ ბუკინისტებით;
ხელგამოწვდილი დედა-შვილის ქოშინი, ხვნეშა
და კედლებიდან შემოჭრილი სუნი, სინესტე,
ზურგში, ფილტვებში, ქვეშაგებში, მუყაოს ყუთში,
ამ წყეულ სურათს ნაღვლიანი მზერით ჩაყვები,
მახლობელ ზოო-მაღაზიას თუთიყუშებით,
თაგვებით, კიდევ ათასგვარი მათი საკვებით,
არაფრად აგდებ, მიაბიჯებ შენთვის თავდახრით,
უკნიდან ვიღაც შემოსძახებს ნაცნობ სტრიქონებს:
„по-над пропастью“, უცნაურად მერე ხარხარებს,
შენ არ ჩერდები, მიდიხარ და ისევ იგროვებ
სათქმელს, ყელამდე ამოწოლილს, სკდომისპირულად,
სცილდები გვირაბს ან ჯოჯოხეთს, როგორც გენებოს...
ფეხებს მიათრევ სახლისაკენ, სადაც მილულავ
თვალებს, რომელშიც სამარხია ზემოთხსენებულ
ქალაქის, შენ კი უკანასკნელ ხურდებს იჩხრიკავ,
თანაც გრცხვენია, გაერიდე მათ და ფარულად
არაყს ყიდულობ, ჭაჭის არაყს, აი, ლირიკა,
რომ ძილისპირზე გული სასმელს გადააყოლო
და ეს ქალაქი, დააძინო შენი თვალებით
და ეს ქალაქი, დააძინო შენი თვალებით
და ეს ქალაქი, დააძინო შენი თვალებით!...

* * *

შემორჩენილ ძველმანებს მშრალ ხიდზე რომ გაიტან,
დილა რომ მოგადგება, როგორც ურცხვი მევალე,
და გროშებად გაჰყიდი დოქებს ქანაანიდან,
სადაც გსურდა მცირედი ღვინო გადაგემალა,
რადგან სტუმარს ელოდი ყველა ძილისპირულზე,
რადგან დილის მოსვლამდე ღამე მთვარით გაროზგე,
ახლა წინ გილაგია აქატი და ფირუზი
ანუ ყველა შესაძლო ქვა და ნაავგაროზალ
ქარვას ხარბად დაჰყურებ, ანთრაკი და ნეფრიტი —
ბოლო ლუკმა-პურია, სარჩოცა და საბადოც...
შენ აგვისტოს ხვატისგან ისე გამოიფიტე,
გენატრება სიცივე, შინელი და ლაბადა.
გენატრება სიცივე, სუსხი — წყალთა მტკვირავი,
დგახარ ყოვლად უჩინო, უსაშველო, უწამლო,
დგახარ თავჩაღუნული და ბუტბუტებ მტკვარივით,
საკუთარი არყოფნის, მრავალ დროთა მოწამე,
დგახარ, ჰყიდი ძველმანებს, დოქებს — ქანაანიდან,
დილა რომ მოგადგება, როგორც ურცხვი მევალე,
უკანასკნელ ნივთებსაც ხვალ მშრალ ხიდზე გაიტან,
მხოლოდ ჩრდილი დაგრჩება, იქნებ გადაგემალა
ისიც...

ნუ ჩხავი!

დამჩხავის ერი უჩხავერობას, მე რა გიშველო?!
მე ვარ პოეტი, უზნეო და უფარშიმშერო.
მე ვარ პოეტი ხან ურჩხული, ხანაც ვერანი
და უფრო ხშირად მენატრება ხონზე ვერონა.
ქართული ფილმი ჰოლივუდურს არ ჰგავს ანიმეს,
თუმც ბრიჯიტ ბარდო უფრო მიყვარს, ვიდრე ხანუმა,
და უფრო ხშირად ვეძალები სუშის, ტოკიოს...
ნამწვადარ კუჭზე ვნება რთული მოსათოკია.
აკი გითხარი, უზნეო და უფარშიმშერო
მე პოეტი ვარ, ჩემო ერო და ვერ გიშველი,
ნუ ჩხავი!

ბუკინისტები

ეს დღეც ჩამთავრდა. წინ დაღლილი ბუკინისტები
ვხედავ თავდახრით და ქოშინით მიაბიჯებენ...
ყოველი ღამე კივილია — მუნკისეული,
მთვარეც გადმოდგა — ვარსკვლავების თეთრი ეჯიბი.
ქუჩების მტვერი და მანქანის გამონაბოლქვი
უკვე ყელში აქვთ ამოსული და საზეპიროდ
იციან ყველა წიგნის ფასი, თითის გალოკვით
ფურცლავენ ჰესეს, გოლზუორთის, შელლის, ბაირონს
და ახსოვთ ყველა დრომოჭმული, ძველი ციტატა,
რომლებიც სდუმან წიგნებიდან ანდა ყვირიან...
თან არ არსებობს დასვენების თუნდაც კვირადღე,
ასეთი ყოფაც აღარ უკვირთ — გასაკვირია.
დგანან და მზის ქვეშ ასაღებენ წიგნებს გროშებად,
სავაჭრო დახლიც უცვლელია, დგას შორის ხეთა
და თითქოს ძილში ესიზმრებათ ყველა ბროშურა,
რომელიც შაქრის ან კარაქის ან უფრო ზეთის
ფულის გულისთვის გამოაქვთ და სიმწრით ჰყიდიან,
ყოველი დღე კი კივილია მუნკისეული...
ეს დღეც ჩამთავრდა, ვხედავ ჩემს წინ როგორ მიდიან
სახლში დაღლილი და უმწეო ბუკინისტები.

* * *

ახლა, როგორც არასდროს, ისე მინდა მოგეკრო,
შენ ყოველდღე მიდიხარ, შესაძლოა მშორდები...
მე არ მსურდა, ძვირფასო, შენი კოცნა მომეკლო,
ჩემი ვნება მომეკლა, დრო კი არ მეორდება.
ისევ მარტო დავდივარ „რკინიგზელთა“ სკვერიდან
არეული ნაბიჯით ხიდთან გალაკტიონის;
ავდექი და პოეტურ კასტებს გამოვერიდე,
მგონია, რომ ამგვარად უფრო გავიიოლებ
უშენობის სინდრომებს, უარს ვეტყვი დალევას,
მზეს დუელში გავიწვევ უმუშკეტოს, უდაშნოს,
მერე მთელ სამყაროსაც მოვიმდურებ დალივით,
ყველა უკან მოგვრჩება, გადავრჩებით მე და შენ.
ვივლით ასე, მთელი დღე „პლეხანოვზე“ ხელკავით,
მაჯები და კისერი კოცნით უნდა გინამო...
არაფერი დამრჩება ქვეყნად გაულექსავი,
შენი თმები, თითები, ღიმილი და სუნამო.
ახლა, როგორც არასდროს, ისე მინდა მოგეკრო,
შენ ყოველდღე მიდიხარ, შესაძლოა მშორდები...
მე არ მსურდა, ძვირფასო, შენი კოცნა მომეკლო,
ჩემი ვნება მომეკლა, დრო კი არ მეორდება.

მეარღნე

მზე — მილიონგზის ამოსული და მაინც პირმშო,
გამთენიისას ჩემს სარკმელთან მტრედებს მოიყვანს,
რომ უფრთოობის მომეძალოს ბავშვური შიში,
რომ ყველა ფრთოსანს უნებლიედ გამოვერიყო,
მერე ღვინოში გამომბალი პურის ყუათი
დავათრობ მტრედებს, თვალები რომ ურცხვად
მილულონ,
ხარბად მივითვლი მძინარეებს: მეცხრე, მეათე,
ავიღებ ფუნჯს და მწოლიარე ცოლის მალულად
დავიწყებ ხატვას, უახლოეს გამოთრობამდე,
მტრედების გუნდი გამოვლეშე იმავე ღვინით...
ძველი ფირფიტაც ააჟღერებს ვინმე ტრუბადურს
ან სულერთია ააკივლოს კლარნეტი ვინმემ.
მე კი დავხატავ, სანამ ღვინით ვიგრძნობ გალეშვას,
სანამ თვალიდან არ გადავა დილით ესკიზი;
მე კი დავხატავ უაზროდ და კანონგარეშე:
მძინარე მტრედებს, ეჭვიან ცოლს, მერე მზის კისერს
და სიგარეტიც გათავდება, ისიც ნისია —
ასიოდ მეტრში გაჩხერილი ლურჯი ჯიხურის,
ცოლიც იღვიძებს და ტრიალებს უმაქნისივით,
მწვანე, დიდრონი თვალებიდან ისე მიყურებს,
როგორც მევახშე, ჩვენი ბინის იპოთეკარი,
რაღაც უცნაურ ახირებით სიზმარს იხსენებს...
ჩემო ძვირფასო, რაც მაგიჟებს, სწორედ ეგ არი,
რომ ყოველ დილით ჩემს მტრედებზე ეჭვით ივსები.
მე რა ვიღონო, მოგიდუღებ შენს თურქულ ყავას,
თვალების ფშვნეტას აგაცილებ ანუ რიტუალს,
რომელსაც დილით მიმართავენ და მერე წავალ
იქ, სადაც ჩემი სამსახური — სამიკიტნოა
და ვატრიალებ უმოწყალოდ არღნის სახელურს,
სვენებ-სვენებით, დალევით და მოღლილ მკლავებით
და მენატრება მზე და მისი ცხელი საყელო,
ღამის ღრიანცელს რომ მავიწყებს და გაავებულ
ლოთურ სიმღერებს და ხრინწიან, უმ მოძახილებს:
„მაშ, შენ დაუკარ, აატირე შენი არღანი!“
და აკვარელში ამოვლებულ ველურ ძახველებს
თამბაქოს კვამლი ამოგუდავს ისევ ამაღამ,
მე კი გავასწრებ სამიკიტნოს ალიონამდე,
გამთენიისას მზე სარკმელთან მტრედებს მოიყვანს,
რომ ყველა მტრედი გამომბალი ყუით მომენდოს,
რომ ყველა ფრთოსანს უნებლიედ გამოვერიყო.

ირაკლი ლომოური

დღე, როდესაც მსოფლიო ქართულად ალაპარაკდა

ღია წერილი კაცობრიობას

ყველას მშვენივრად გვახსოვს დღე, როდესაც მსოფლიო ქართულად ალაპარაკდა — 2022 წლის 12 აპრილი — მაგრამ არავინ იცის, თუ რა მოხდა სინამდვილეში. არავინ, ჩემი და ჩემი შვილიშვილის, პატარა იკაკოს გარდა.

თავიდან ბევრი ვერც კი მიხვდა, მშობლიურ ენაზე კი არა, რაღაც უცხო ენაზე ამეტყველდა... ზოგს ბუნდოვანი დისკომფორტი, გაუცნობიერებელი ეჭვი გაუჩნდა... პირველი შოკი ლინგვისტებმა და პოლიგლოტებმა განიცადეს, მერე კი — ყველა დანარჩენმა. რა ენაზეც უნდა დაეწყოთ ადამიანებს ლაპარაკი, ქართულზე გადადიოდნენ. ისინიც კი, ვინც ქართული არ იცოდა. ისინიც კი, ვისაც ქართული ენის არსებობა საერთოდ არ გაეგო. ალეუტი იქნებოდა, ჩუქჩა, ირიკეზი, სიკხი, პიგმეი თუ ვატუსი, სომეხი, თათარი, რუსი თუ მონღოლი, ფინელი, პორტუგალიელი, ფრანგი თუ იაპონელი — ყველა ქართულად ამეტყველდა!

რა მოჰყვა ამას, ყველას კარგად გვახსოვს. საყოველთაო ისტერია და პარანოია — კატასტროფულად იმატა თქვითმკვლობების რაოდენობამ... მეზობელ ქვეყანაში არაერთი ქართველთმოძულე პოლიტიკოსი თუ რიგითი მოქალაქე ფსიქიატრიულში მოხვდა — ზოგმა პირიც კი ამოიკერა, ოღონდ ქართულად არ ელაპარაკა...

ფართოდ გავრცელდა ვერსია, რომ ეს ბოროტი ქართველი მეცნიერის თუ მეცნიერების მიერ შემუშავებული უახლესი გენეტიკური იარაღია მსოფლიოს დასაპყრობად... დიდხანს ეძებეს ეს მითიური მეცნიერი (თუ მეცნიერები), მაგრამ ვერ მიაგნეს.

პარალელურად გავრცელდა ვერსია, რომ ეს მოვლენა სხვა არაფერია, თუ არა მეორედ მოსვლის მაუწყებელი ნიშანი — იოანე ზოსიმე ხომ წინასწარმეტყველებდაო, რომ კაცობრიობა „ქართულითა ენითაი განისჯება“. ამაოდ უხსნიდნენ სწავლულები ამ იდეის მიმდევრებს, რომ იოანე ზოსიმეს ნათქვამი პირდაპირ არ უნდა გაეგოთ — ვერსიამ დიდი პოპულარობა მოიპოვა და მთელს მსოფლიოს გავრცელდა. შეიქმნა მეორედ მოსვლის მომლოდინე თემები, რომლებმაც შეწყვიტეს ყველაფერი, გარდა ლოცვისა, რადგან დღე-დღეზე მოელოდნენ საშინელი სამსჯავროს დაწყებას. არადა, დრო გადიოდა, სამსჯავრო კი არ იწყებოდა...

პარალელურად გაძლიერდა საყოველთაო გაბოროტება ქართველების მიმართ. გახშირდა არამოტივირებული თავდასხმები ქართველებზე, რომლებსაც ახლა მხოლოდ გარეგნობით და პასპორტში ჩაწერილი გვარით თუ გამოარჩევდი (რადგან გარშემო ყველა ქართულად ლაპარაკობდა). თითქმის ერთდროულად უდანაშაულო ქართველები ლინჩის წესით გაასამართლეს მოსკოვში, სტამბულში, ბერლინში, ნიუ-იორკსა და ბარსელონაში...

თუმცა სიძულვილის ამ აფეთქებას პარადოქსული შედეგიც მოჰყვა — გაჩნდა მოძრაობა, რომელსაც ჟურნალისტებმა ჯერ ხუმრობით, მერე კი სეროიოზულად შეარქვეს „ჩაჩაჯო“ („ჩათრევას ჩაყოლა ჯობიაო“). ევოლუციური ეთიკის ერთ-ერთმა ცნობილმა წარმომადგენელმა, ბერკლის უნივერიტეტის პროფესორმა ვინსენტ დოკინგმა წამოაყენა თეორია, რომ მომხდარი გახლავს „ჰომო საპიენსის“ განვითარების ახალი საფეხური, რომელზეც კაცობრიობა ნახტომისებურად გადავიდა (მექანიზმი მეცნიერებს ჯერ არ გვესმის, მაგრამ ადრე თუ გვიან გავიგებთო), და რომ ეს ფაქტი უნდა მივიღოთ, როგორც მოცემულობა — როგორც წინაპირობა იმისა, რომ კაცობრიობა უნიფიკაციის და გაერთიანების გზით მიდის... მაშ, მოდი, სიხარულით და მადლიერებით მივიღოთ ეს ახალი რეალობა და გავაგრძელოთ ცხოვრება, ვილაპარაკოთ ერთ ენაზე — ქართულზე, რომელიც აწ უკვე მსოფლიო, უნივერსალური ენაა... აღსრულდა ესპერანტოს გამომგონებლის, დოქტორ ზამენგოფის ოცნება!

ქართულს „გესპერანტო“ შეარქვეს.

ენა იყოს ერთი — ქართველებთან ვიმეგობროთ, მადლობა ვუთხრათ უნებლიე, თუმც კი მშვენიერი საჩუქრისთვის... აბა, სხვა რომელ ენაზე ვიტყოდით „ბინდისფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება“-ო? — ამბობდნენ „ჩაჩაჯო“-ს მიმდევრები და აგრძელებდნენ, — მაგრამ ნუ დავივიწყებთ ჩვენს ისტორიულ წარსულს, ჩვენს მეობას, ჩვენს კულტურას და მიღწევებს!.. მოძრაობის სრული სახელი იყო „ ჩაჩაჯო — ჯორჯია“ („ჯორჯია“ საქართველოს სინონიმად იხმარებოდა თვით ეთნიკური ქართველების მიერ — ამდენად, ქართული, აწ უკვე საყოველთაო ენის სრულუფლებიანი შემადგენელი გახდა). დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში ინტელექტუალთა გარკვეული ნაწილი მიემხრო მოძრაობას, თუმცა სოციალურად დაბალ ფენებში წარმატება არ ჰქონია... უფრო მეტიც, ალაგ-ალაგ ამ მოძრაობის აქტივისტის დევნა დაიწყო... ერთ-ერთი ასეთი აქტივისტი ჯორჯიის შტატში ძელზეც კი გასვეს კუკლუქსკლანელებმა...

მეცნიერებმა და მოხალისე ენთუზიასტებმა რა არ სცადეს, მშობლიურ ენაზე მეტყველების უნარი რომ დაებრუნებინათ — ჰიპნოზი, ელექტროშოკი, ფსიქოტროპული საშუალებები, იოგა და ასე შემდეგ... მაგრამ არაფერმა არ გაჭრა. რაღაც უცნაური მექანიზმი იყო — ადამიანი თავის ენაზე აზროვნებდა, მაგრამ როდესაც აზრის გამოთქმას დააპირებდა, ქართულად გამოხატავდა. ეს იმდენად აუხსნელი იყო, რომ მეცნიერთა უმეტესობა მუდმივ ისტერიკასა და თმების გლეჯაში გადავარდა... თეორიულადაც კი ვერ ხსნიდნენ ამ ფენომენს. სამუშაო ჰიპოთეზაც კი არ ჰქონდათ...

ერთი შეხედვით უცნაური იყო, რომ ენობრივი ბარიერის მოშლამ არ გამოიწვია ერების დაახლოება, არ დამყარდა საყოველთაო მშვიდობა და ურთიერთგაგება... თუმცა, მეორე მხრივ, სულაც არ უნდა ყოფილიყო გასაკვირი, რადგან ინდივიდებს საკუთარი ეროვნული ცნობიერება და მეხსიერება არ დაუკარგავთ... გოტენტოტი თავს ისევ გოტენტოტად აღიქვამდა, თუმც კი ქართულად მეტყველებდა, რუსი კი — რუსად... ამ უკანასკნელისთვის განსაკუთრებით მტანჯველი იყო, რომ ქართულად უწევდა გინება (არადა, რუსული გინების განუმეორებელი „სიტკბოება“ ახსოვდა) და ამის გამო მართლა იტანჯებოდა, არათუ მენტალურად, არამედ, ლამისაა, ფიზიკურადაც კი... „ექიმო, ისეთი განცდა მაქვს, რომ ტვინში ვეება ხიჭვი შემერჭო და ვეღარ ვიძრობ, — შესჩიოდა ფსიქიატრს ერთი განსაკუთრებით მგრძნობიარე ინდივიდი, — არა, ხიჭვი კი არა, ისეთი შეგრძნება მაქვს, ექიმო, რომ თავში პითონი შემიძვრა, რომელმაც ჩემი მშობლიური, ჩემი დიადი და მძლავრი ენა გადაყლაპა და ახლა მე მგუდავს“...

ენა ბევრწილად განსაზღვრავს ცნობიერებას — როგორ გინდა განავითარო, ვთქვათ, ფლანდრიული კულტურა, როდესაც ქართულად მეტყველებ?

იდენტობის კრიზისი, მასობრივი ნევროზი, ქაოსი და ანარქია — აი, რა მოჰყვა, ჩვენდა სამწუხაროდ, ქართულის გაბატონებას მსოფლიოში.

მოკლედ, ეს ყველაფერი მშვენივრად მოგვეხსენება ყველას... მაგრამ იმიტომაც დავწერე აქ, ასე ვთქვათ, თეზისურად, რომ ახლა ამ დრამის მეორე აქტს ვუახლოვდებით... ხუთი წელი გავიდა იმ მართლაც რომ ღირსშესანიშნავი თუ საბედისწერო დღიდან — უკვე დროა დუმილი დავარღვიო და მსოფლიოს გასაგონად ვთქვა სიმართლე — რადგან ყველაფერი ჯერ კიდევ წინაა! მაშ, მოემზადე კაცობრიობავ! შენ გელის...

თუმცა ჯობს, მოვლენებს მივყვეთ...

2022 წლის 12 აპრილს 63 წლისა შევსრულდი. გადავწყვიტე ჩემი თავისთვის საჩუქარი გამეკეთებინა. დილიდანვე ჩემს ვაჟიშვილთან წავედი (ცალკე ცხოვრობს თავის ცოლ-შვილთან ერთად). მინდოდა, ჩემი შვილიშვილი, 7 წლის იკაკო სასეირნოდ წამეყვანა ბოტანიკურ ბაღში — ძალიან აინტერესებს ტექნიკა. დიდი ხანია, მეხვეწებოდა, ბოტ.ბაღის ჰოდროელექტროსადგურის ტურბინები მაჩვენე, როგორ ტრიალებენო. მე და იკაკო დიდი მეგობრები ვართ — ერთი სული აქვს, როდის მოვუყვები კოსმოსზე, რაკეტებზე, რობოტებსა და უცხოპლანეტელებზე. ასტრონავტი უნდა გამოვიდეო — დღენიადაგ იმეორებს. ჩემთვის შვილიშვილთან ურთიერთობა ყველაზე დიდი სიამოვნებაა ცხოვრებაში...

მოკლედ, მინის მილით, პნევმატური მონორელსით ბოტანიკურში ჩავსრიალდით, გადმოვედით და გავუყევით ბილიკს... მივსეირნობთ, ვუყვები ნაცარქ... უკაცრავად, ეშ სთირერის თავგადასავლებს კოსმოსში, როგორ ებრძვის უცხოპლანეტელებს, მაგალითად, ბეტელჰეიზელ პლზამოიდურ მონსტრებს და უცებ იკაკომ გამაწყვეტინა:

— ბაბუ, მე არ მეშინია უცხოპლანეტელების!

— ეჭვიც არ მეპარება, — მივუგე, რაღაცის თქმას ვაპირებდი, მაგრამ ბიჭმა არ მაცალა. გააგრძელა:

— აი, მოვიდნენ, მაგათ ვაჩვენებ სეირს! ჩავეხუტები, დავუმეგობრდები და კეთილები გახდებიან!

„ორიგინალური მეთოდია სეირის ჩვენების“, უკვე უნდა მეთქვა, რომ უცებ რაღაც მოხდა, თითქოს დრო გაჩერდა, რაღაც გამჭვირვალე, მაგრამ თანაც მოვერცხლისფრო ნახევარსფერო თუ გუმბათი დაგვემხო თავზე, ხუთიოდე მეტრის სიმაღლის... უცებ ჩემს წინ სამი ფუმფულა გუნდა დავინახე, ჰაერში მოფარფატებდნენ ჩვენსკენ და ფერს იცვლიდნენ საოცარი სისწრაფით, კაშკაშებდნენ, მზის შუქზეც კი. რაღაცის თქმა მინდოდა, მაგრამ ხმა ვერ ამოვიღე. უცებ გავაცნობიერე — ხელ-ფეხი გაკავებული მაქვს, ვერ ვინძრევი. ჟრუანტელმა დამიარა. თუმცა ფერადი გუნდები საშიშები სულაც არ ჩანდნენ. პირიქით. რაღაცნაირად საყვარლებიც კი იყვნენ. თოჯინური მულტფილმის ნაქსოვი პერსონაჟებივით. და უცებ თვალთ დამიბნელდა. გავითიშე.

რამდენი ხანი ვიყავი ასე, არ ვიცი. ცნობიერება უცებ დამიბრუნდა. ვხედავ, ჩემს წინ იკაკო დგას, მეძახის:

— ბაბუ! ბაბუ!

— რა იყო, იკაკო? რა მოხდა?

— ბაბუ! უცხოპლანტელებს ველაპარაკე!

— რაა? — და უცებ გამახსენდა მოფარფატე ფუმფულა ბურთები, — იკაკო, მომიყევი, რა მოხდა?

— ბაბუ, ჩემს თავში ჩაიხედე... არა, მე გამოგიგზავნი სურათებს, რაც მოხდა... დაინახავ!

სკეპტიკურად გავუღიმე, საკუთარ ტელეპატიურ ნიჭსა და უნარზე დიდი წარმოდგენა არასოდეს მქონია, მაგრამ უცებ მართლა დავინახე შინაგანი მზერით, როგორ მივდივართ მე და იკაკო ბილიკზე და როგორ გაჩნდნენ არსაიდან ფუმფულა ფერადი ბურთები...

— ხედავ, ბაბუ?

— კი, იკაკო! მიდი, გადმომეცი!

და გადმომცა. ახლა აღვწერ, რაც დავინახე გონების თვალით... ბურთებმა იკაკოს გარშემო გამალებული ფარფატი გამართეს, თითქოს დავლურს უვლიანო. იკაკომ გონებაში ხმა, უფრო სწორად, აზრი გაიგონა.

— ჩვენ მოვედით, რათა თქვენს პლანეტას მშვიდობა მოვუტანოთ! ჩვენ ვმოგზაურობთ კოსმოსში და ვამყარებთ მშვიდობას!.. ესაა ჩვენი მისია, ჩვენი არსებობის საზრისი!.. სიხარული და ბედნიერება!.. შვება და ნეტარება!... ამისთვის ვართ მოწოდებული!.. იკაკო, არ გაგიკვირდეს, უცხო პლანეტაზე მხოლოდ ნორჩ აბორიგენებთან ვამყარებთ კონტაქტს, რადგან გამოცდილებით ვიცით, ერთმანეთს მხოლოდ ზრდასრულები ანადგურებენ, ნორჩებს მშვიდობა სურთ!

— აბა, რა! — მიუგო იკაკომ საქმიანად, დიდი კაცივით, — რა ჯობს მშვიდობას! მოდი, ვითამაშოთ! ეხლა ვამბობდი, უცხოპლანეტელს მინდა ჩავეხუტო-მეთქი!

— სწორედ მაგიტომაც აგირჩიეთ შენ, იკაკო, პირველი კონტაქტისთვის, — გააგრძელა ხმამ, ანუ აზრმა, — შენს გვერდით მყოფი ზრდასრული არ გვაინტერესებს. დავბლოკეთ. იკაკო, შენ აგირჩიეთ არა მხოლოდ პირველი კონტაქტისთვის, არამედ შენი პლანეტის, შენი რასის სამუდამო სრულუფლებიან წარმომადგენლად...

— და თქვენ ვინა ხართ? — გაიფიქრა იკაკომ.

— ჩვენ ვართ სამშვიდობო მისია პლანეტიდან აუუუმ-XXX... ჩვენ ვამყარებთ მშვიდობას მთელს კოსმოსში! იკაკო, შენს პლანეტაზე მშვიდობაა?

— არა, სულ ომია!

— რატომ?

— რატომ? — გონებაში გაიმეორა იკაკომ, დაფიქრდა, — იმიტომ, რომ ადამიანებს ერთმანეთის არ ესმით!

— და რატომ არ ესმით ადამიანებს ერთმანეთის?

— იმიტომ, რომ სხვადახვა ენაზე ლაპარაკობენ!

„ნამდვილიად ჭკვიანი, გონიერი შვილიშვილი მყავს!“ — გამიელვა. და შემომეამაყა, თუკი შეიძლება ასე ითქვას. მაგრამ მივყვეთ მოვლენებს.

გონებაში დავინახე, როგორ აფრინდნენ ფუმფულა ბურთები იკაკოს თავზე, შეტყუპდნენ, ფერი იცვალეს, თითქოს ვერცხლისწყლის ერთ დიდ სფეროდ იქცნენ. სფერო შესამჩნევად პულსირებდა, ტოკავდა. „ეტყობა თათბირობენ, — გამიელვა, — ანდა...“ მაგრამ აზრის ბოლომდე მიყვანა ვერ მოვახერხე. დავინახე, რომ ვერცხლისფერი სფერო ისევ სამ მომცრო, ფერად, ფუმფულა გუნდად დაიშალა — სამივე იკაკოს გარშემო აფარფატდა. ისევ გავიგონე მათი ხმა-აზრი.

— იკაკო, შენს პლანეტაზე მშვიდობა რომ დამყარდეს, ადამიანებმა ერთ ენაზე უნდა ილაპარაკოთ... ტელეპატიას ვერ გამოვიყენებთ, რადგან ამის ბუნებრივი ნიჭი თქვენს პლანეტაზე იშვიათობაა, ასაკის მატებასთან ერთად აბორიგენთა უმეტესობას საერთოდაც უქრება... ერთადერთი გამოსავალია, რომ ყველა აბორიგენს გონებაში ჩავუნერგოთ ერთი ენა, რომელიც მშვიდობას მოგიტანთ! ამისთვის ჩვენ ვირჩევთ შენს ენას, იკაკო! და ვუნერგავთ ამ პლანეტის ყველა ბინადარს! ამას გარკვეული დრო დასჭირდება — თქვენი დროით, რამდენიმე საათი. დიდი მადლობა თანამშრომლობისთვის, იკაკო! შენ ძალიან დაგვეხმარე! ამ პლანეტას შენს სახელს ვუწოდებთ! ეს იქნება შენი ჯილდო, იკაკო! ტრანსგალაკტიურ რუკებზე გაჩნდება ყოვლადმშვიდობიანი პლანეტა „იკაკო-9777531000999221" (ეს თქვენი პლანეტის ოფიციალური ნომერია)... მშვიდობით, იკაკო!

— არ წახ... — გაიფიქრა ბიჭუნამ, მაგრამ უკვე აღარც ბურთები იყვნენ და აღარც ნახევარსფერო.

სურათები, იკაკომ რომ გადმომცა ტელეპატიურად, იმდენად მკაფიო, იმდე-

ნად თვალისმომჭრელი იყო, რომ კინაღამ თავიდან გავითიშე. შინ როგორ დავბრუნდით, აღარც მახსოვს. კედლის ნეტვიზორი ჩავრთე ბიბისი-ს არხზე და რა მესმის — თავანკარა ქართულით საუბრობს ინგლისის პირველი შავკანიანი პრემიერ-მინისტრი...

რატომ არ ვთქვით ეს ყველაფერი თავის დროზე? ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, არ დაგვიჯერებდით. მეორეც, არ შემეძლო პატარა იკაკო მეცნიერების, უფრო სწორად, სპეცსამსახურების ხელში ჩამეგდო... ერთმანეთს პირობა მივეცით, რომ კრინტს არ დავძრავდით... იკაკო საოცრად გონიერი ბავშვია... მართალია, ერთხელ წამოსცდა კლასელებთან, ეს ყველაფერი, რაც მსოფლიოში ხდება, ჩემს გამოა, მე შევთავაზე უცხოპლანეტელებსო, მაგრამ ისე დასცინეს, სამი დღე სკოლაში აღარ წასულა...

როდესაც მე და იკაკომ რაღაც ხნის მერე დავინახეთ, რა უბედურება დატრიალდა დედამიწაზე, გადავწყვეტეთ აუუუმელებისთვის გვეცნობებინა... მაგრამ არც კავშირის მექანიზმი გვქონდა და არც კონტაქტის საშუალება. როგორც გაჩნდნენ, ისე გაქრნენ...

ტელეპატიურად ვიძახებდით, ტელეპატიურად ვყვიროდით და ვღრიალებდით, ტელეპატიურად გადავცემდით სიგნალს SOS!.. და აი, უცებ, გუშინ გამოჩნდნენ! სამი წლის თავზე!

ამჯერად სახლში გვეწვივნენ — ზუსტად ისეთივე ბურთები, რაც მაშინ, ოღონდ გუმბათი ჰქონდათ უფრო დაბალი... მე, ცხადია, ისევ დამბლოკეს. გავითიშე.

როდესაც გონზე მოვედი, იკაკო დავინახე, ბიჭუნამ საქმიანად მითხრა:

— ბაბუ, ეხლა გადმოგცემ, რაც მითხრეს!

თვალები მოვხუჭე და გონებაში ტელეპატიურად გავიგონე დიალოგი.

— იკაკო, რატომ გვიძახებდი?

— რატომ არ მოდიოდით ამდენი ხანი? — კითხვაზე კითხვით უპასუხა იკაკომ, — თქვენს გამო დედამიწაზე საშინელება ხდება!

— საშინელება? შეუძლებელია! ჩვენი გეგმა ყოველთვის ამართლებს!

— არა! ერთი ენა არაა საკმარისი! ყველას ახსოვს, რომ სხვები არიან და ქართულად რომ ძალით ალაპარაკებთ! ამაზე ცოფდებიან!

— შეუძლებელია, უნდა უხაროდეთ! თქვენი მადლიერები უნდა იყვნენ!

— მადლიერები კი არა, ვეჯავრებით!

ფუმფულა ბურთები მაშინდელივით შეტყუპდნენ და აძაგძაგდნენ, მერე კი ისევ სამ მომცრო, ფერად, ფუმფულა გუნდად დაიშალნენ — ისევ გაისმა ხმა-აზრი.

— იკაკო, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩვენს გეგმას არ ემუშაოს და კეთილი შედეგი — მშვიდობა — არ მოეტანოს! მშვიდობას ყოველთვის ვამყარებთ, უკიდურესი მეთოდების გამოყენებაც კი გვიწევს ხოლმე ზოგჯერ...

— რა მეთოდების?

— მეთოდები სხვადასხვანაირია... ნუ ჩავუღრმავდებით!.. თქვენს შემთხვევაში, იკაკო, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ურჩ აბორიგენებს, რომლებიც ვერ აფასებენ ჩვენს უდიდეს საჩუქარს, თქვენს ენას, წავუშალოთ მეხსიერება და ჩავუნერგოთ, რომ ძირძველი ქართველები არიან... რადგან მშვიდობა ერთადერთი ჭეშმარიტი ფასეულობაა კოსმოსში!

— ანუ დედამიწაზე ყველა ქართველი გახდება?

— დიახ! და მშვიდობაც დამყარდება! დიდი მადლობა, იკაკო! კარგი ბიჭი ხარ! მშვიდობით!

— არ წახ... — გაიფიქრა იკაკომ, მაგრამ უკვე გვიან იყო. ფუმფულა ბურთები გაქრნენ.

იკაკო მომიბრუნდა და მკითხა:

— გესმოდა, ბაბუ?

— მესმოდა, იკაკო!

— კარგია, დედამიწაზე მხოლოდ ჩვენ თუ ვიქნებით?

ნაღვლიანად ჩამეცინა.

— ეჰ, ჩემო იკაკო, რა იციან კეთილმა აუუუმელებმა, რა ამბებს დაატრიალებს შვიდი მილიარდი ქართველი დედამიწაზე?

წერილი ერთდროულად გამოქვეყნდა მსოფლიოს ყველა ელექტრონულსა თუ ბეჭდურ გამოცემასა და მედიასაშუალებაში.

— ფუ, შენი. — შეიგინა ბიჭმა. — ფუ, შენი.

— ისევ გადმოგიხტა, ხო, შველი კადრში.

ბიჭმა ზევით, ფოთლებს ახედა:

— შენ მოასწარი?

— მე, ჰო. გითხარი, ზემოთ ჯობია.

— მაქედან არაფერი ჩანს წესივრად. — თქვა ბიჭმა.

— ხოდა იყავი მანდ და ანძრიე ბალერონებზე.

— არ გინდა ვცემოთ, რო გამოვა?

— და რა უნდა უთხრა მერე. ისე ხო არ ცემ.

— ხოო. — დაფიქრდა ბიჭი.

— მე რო ვათავებ, მაინცდამაინც მაგ დროს ნუ მოდიხარ ძმურად ფანჯარასთან — ეგრე რო თხოვო, ჯიგრულად?

— წადი შენი.

— მანდ რას აკეთებთ, კაცო!

— ვახ. ვახ. მე აქ არ ვარ, გეხვეწები. ლიზას გაფიცებ.

— ჩანთები დაბლა ყრია. შანსი არაა. ფუ, შენი.

ხიდან ჩამოძვრნენ და კაცს აეტუზნენ ორივე. კაცმა ჯერ ბიჭები ათვალიერა, მერე ხე, მერე საბალეტო სკოლის ღია ფანჯარა და ბოლოს ისევ ბიჭებს შეხედა.

— ზმეიკები მაინც შეგეკრათ, თქვეჩემისებო.

— ეგ ისე გვაქს, მა. ბალს ვჭამდით. — აუხსნა ზაზამ.

— მაგ ბალის ჭამას ჩუკენობა ქვია შვილო და ცოდვაა, რამდენჯერ გითხარი. შენ რაღა გაცინებს?

— არ ვიცინივარ. — თქვა ნიკოლამ.

— არ ვიცინივარ — არა. არ ვიცინი.

— არ ვიცინი. — გაიმეორა ნიკოლამ.

— და ვაბშე, სკოლაში რატომ არ ხართ?

— გვიცდება.

— მაგას კიდევ გავარკვევ. — თქვა კაცმა და ბიჭების ჩანთებში ცხვირჩარგულ სპანიელს დაუძახა. — ლომა, წავედით!

ნიკოლამ კაცს თვალი გააყოლა:

— რა ყლე ძაღლი გყავს, ზაზა.

— ჰოომ. — ამოიოხრა ზაზამ.

* * *

— და ეგ როგორ კეთდება. რო პრიალებს.

— ლამინატი. — თქვა ზაზამ.

— ხო, ლამინატი.

— მაგას შენ არავინ გეკითხება. — ყუფუნიამ ოფლიანი სახე მოიწმინდა.

— რო დაგიჭირონ? — პატივისცემით უყურებდა ნიკოლა.

— რო დამიჭირონ, მეც გამიდებენ და იმათაც.

— ჩვენ არა? — იმედით ჰკითხა ზაზამ.

— თქვენ ბავშვები ხართ. რა შუაში ხართ.

— მერვეში გადავალთ მალე.

— ხოდა, მაგას ვამბობ.

ნიკოლა დაფიქრდა.

— ეგეთი მაგარი არავის ეყოლება თქვენ სკოლაში. მერე მოსულა, რო სელფებიც გადაიღოთ და ანახოთ, ვისაც გინდათ.

— და რა იცი, რო მაგარია? — დაფრთხა ზაზა.

— იმათ სუ ეგეთები ყავთ. სასტუმროსები. მარტო ტურისტებისთვის. ვაგზლის ბანჯგვლიანი ქალები არ გეგონოს.

— გარეკეთ, ბიჭო, თქვენ. ნახე რამხელა სროკია.

ყუფუნიამ ნეთ-ბუქს ჩახედა.

— ეს პასპორტებზეა. მე პირადობებს ვჩალიჩობ.

— ბასეინის აბონემენტს ვერ გამიკეთებ?

— ვერა. ეგ ყველაზე მურტალი გასაკეთებელია.

ზაზამ აბონემენტი ამოიღო და შეათვალიერა.

— ესა? ლამინატიც არ უნდა, ნახე.

— ძნელია-მეთქი, რო გეუბნები. მოკლედ, გაწყობს?

— მაშინ მარტო არ ვარ. ამასაც უნდა.

— ბლიად. — ყუფუნიამ ზაზას შეხედა. — ოკ, წამოვიდეს ესეც.

— მერე, სამს მოგვცემს? — დაეჭვდა ნიკოლა. — ხურუშიანები ვეგონებით, სამი რო დავხვდეთ.

— მაგას ვინ ეკითხება. მოკლედ, მომე ბინის გასაღები და ხვალ.

— ეგრე არა. ერთად ხო წავალთ და გასაღებიც მექნება. თან ჩემებს მოვუგონო რამე, ვინმე რო არ გადმოვიდეს.

— ბლიად. — დაფიქრდა ყუფუნია. — ოკ. ეგრე იყოს.

* * *

— გასიებული, ზეთიანი ახვარი. — თქვა ზაზამ. — მუწუკებიანი თესლი. ეგ მოწმობები რო არ დაემუღამებინა, ხო მოკვდებოდა ვაჟიშვილი.

— ამასაც პირველი უწევს ვითომ?

— აბა, რა. ისე ვინ მიცემდა ამას. შემოხვდა სუტენიორი და ნატურით უხდის, მაგის რა მიდის. რას აკეთებ?

— გავბერტყო, მაიცა. ესე ტეხავს. მტვრიანია.

— დივანზე ჟიმავ? მე საწოლი მირჩევნია.

— ხოდა, ე, შენ საწოლი... და გაბერტყე გადასაფარებელი შენც. მტვრიანია ეგეც და ტეხავს.

— სუფთა კი ჩანს და. — თქვა ზაზამ.

— შენ გგონია ეგრე. შენ რომ ვერ ხედავ, ქალები ხედავენ და ტეხავს.

— დაინახოს რა. მაგის ბოზი დედაც.

— ტეხავს-მეთქი. და აქ დავდოთ შამპანური. დაბალზე. ვედრო გაქვს?

— როგორ არა.

— ხოდა, მიდი, მოიტანე. შიგ ყინულები ჩავაწყოთ და მერე შამპანურის ბოთლი ჩავდოთ. ყინულებს, აგე, მაცივარში ჩამოვამტვრევ საყინულედან.

ზაზა წავიდა და მალევე მობრუნდა.

— პლასმასის წამომეღო თუ რკინის, ვერ მოვიფიქრე და ბარემ ორივე წამოვიღე. თითებზე რა გჭირს?

— არაფერი. პლასმასი ვის გაუგია, კრეტინო, რკინა უნდა. ოღონდ იმ კინოში უფრო პატარა ვედრო იყო და მავთულები არ ქონდა ზემოდან.

— რავი, ვედროო და ესეთები აქვს სუ დედაჩემს. სისხლი გდის, ბიჭო, თითებიდან.

— დაიკიდე.

— ვახ რა მაგარი ყინულებია. კუბიკებად როგორ დაჭერი, შეჩემა. არ გადნეს ეხა ესა.

— მაცივარში შევდგამ და რო მოვა, მერე გავაძრობ.

* * *

— ძაან ღამეა უკვე. გადაგვაგდო. — თქვა ზაზამ.

— მოვა. — ყუფუნიამ ოფლიანი სახე მოიწმინდა. — ეგ რა გაცვია, ნიკ. ქორწილში კი არ მიდიხარ.

— რავი.

— გააქვს გასაღები?

— აგე.

— ახლა, რო მოვა, კი არ ეცეთ უცებ. მე წავიყვან და თქვენ უკან გამოგვყევით. მომე გასაღები.

ნიკოლამ გასაღები მიაწოდა.

— ნიკ, ნახე. — ზაზამ მოქაჩა.

— ჰომ. მაგარია. ბოლო მოდელი. პეტროს მამას ყავს მაგის წინა მოდელი.

— ეგაა. მოიყვანეს. — თქვა ყუფუნიამ და სიგარეტი გადააგდო. — ვნახავ და როგორც ვთქვით. უკან წამოხვალთ თქვენ. რო ვერ დაგინახოთ.

— მაიცა. ხო მაინც დაგვინახავს მერე. რო შემოვალთ ჩვენც.

— მერე ხო. ჯერ მე. — ყუფუნია მანქანისკენ წავიდა.

— ფუ, შენი. — ნიკოლამ სიგარეტი ამოიღო და გაუკიდა. — რას გავს.

— ღადაობ? ღმერთია, ბიჭო!

— ღმერთი არა ისა. — ნიკოლამ ღრმა ნაფაზი დაარტყა და ხველება აუტყდა.

— როდის აქეთ ეწევი, ნიკ. გამწვანდი, შეჩემა.

— გავმწვანდი არა ისა.

— რა ქალია, ნიკ, ნახე. ყველაზე მაგარი. ეს როგორ უნდა გავჟიმო. ეს რას მოგვცემს.

— იმ სირ ყუფუნიას რო აძლევს?

— ნუღა ეწევი. ხმა წაგივიდა სულ.

— ხმა არა ისა.

— საიდან მიყავს, ნიკ. აქედან ავსულიყავით. მოკლეზე.

— მოკლეზე ბნელი ქუჩებია.

— რა ბაყვები აქვს! წამო, წინიდან შევხედოთ.

— ბაყვები არა ისა. რას გავს. მე მაგაზე არც ამიდგება.

ზაზამ უნდობლად შეხედა:

— კაიფობ, ხო? მაგას პალტოს შიგნით არაფერი ეცმევა. აგე, ნახავ.

— თუ არც ეცმევა. — ნიკოლამ სიგარეტი მოისროლა და აკანკალებული ხელები ჯიბეში ჩაიწყო.

— ჩვენკენ მოიხედეს, ნახე. რა აცინებთ, ბლიად.

— თვალებგადმოყრილი რო მიყვები, ეგ აცინებთ. ხურუშიანო.

— რა გაყვირებს, შეჩემა. გაიგებს.

— გაიგოს მერე.

— შეიყვანს ბიჭო საცაა. მივიდეთ.

— ჯერ არა. ხო თქვა, ჯერ მეო.

— დავენახოთ მაინც. რო იცოდეს ამბავი.

— დააცა. ხო მოიხედა და მიხვდებოდა.

— შენ, მგონი, აღარც გინდა? — ზაზა ყურადღებით დააკვირდა.

ნიკოლამ ასფალტს დაუწყო თვალიერება:

— როგორ არა. ჯერ მეო, ეგრე თქვა და რავი.

* * *

— გავიდა ერთი საათი. მიდი, ნიკ, მიუკაკუნე.

— ჯერ შენ. — ნიკოლას შიშის ოფლმა დაასხა.

— შენი სახლია, ბიჭო. მიდი.

— მოვწევ მაშინ და მივუკაკუნებ.

— საით წახვედი, ჰეი, ნიკ! აქვე მოწიე.

— აქ მეზობლები დამწვავენ. — უკანმოუხედავად თქვა ნიკოლამ და ჭიშკრისკენ წავიდა.

— კარგი, და მე მივუკაკუნებ მაშინ, ამის დედაც... არ აღებს, ე.

— ზარიც მიე.

— აჰა. ეი, გააღე, ყუფუნია! გააღე, ბიჭო, მე და ნიკი ვართ! უხ ამის... გააღე, შე პროჭო!

შუქჩამქრალ ბინაში რაღაც გახრაგუნდა. ცოტა ხანში კარი გაიღო და ყუფუნიას ზეთიანი სახე გამოჩნდა.

— რა შემეცით თქვე ლაწირაკებო, მაცალეთ და გააჯვივთ სახლებში დროზე! — ავად გამოსცრა კბილებში.

ნიკოლამ შვებით ამოისუნთქა. მხრებში გაიმართა. მერე ყუფუნიას შეხედა გაბრწყინებული თვალებით, იქვე მიგდებულ არმატურას ხელი წამოავლო და მეგობრულად, წყნარად უთხრა:

— მოდი აქ. მოდი აქ, შე ნაბიჭვარო...

ლიტვა: შთაბეჭდილებები, ფიქრები, ლექსები

უტენის პოეტური ფესტივალის დღიურნაცვალი

ზაზა ბიბილაშვილი

რაღაც გვიზიდავს ერთმანეთისკენ. რაღაც ვიცით — გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი, ტყუილი თუ მართალი — ერთმანეთისკენ რომ გვეძახის. ჩვენ გვჯერა მათი. მათ ჩვენ ვუყვარვართ. ან პირიქით. ან — და პირიქით.

ლიტვა მაგალითიც ყოფილა საქართველოსთვის. იმედივით ისმოდა ტელევიზორიდან: „ბუნდა იაუ ბალტია, ბუნდა იაუ ბალტია — ლეტუა, ლატვია, ესტია“. გზას, რომელიც დამოუკიდებლობის მისაღწევად ავირჩიეთ, „ბალტიისპირული მოდელი“ ან სულაც „ლიტვის გზა“ ერქვა.

უფრო ადრიდანაც შემთხვევით არ უნდა მახსოვდეს ქართველი და ლიტველი პოეტების ურთიერთობის ორი მაგალითი: ალექსანდრე ტაბატაძის ლექსი — „კაუნასი. ეშმაკების მუზეუმი“, და გორის რაიონულ გაზეთში დაბეჭდილი ლიტვური პოეზია, ადგილობრივი პოეტების თარგმნილი.

„მე ვნახე იგი, შერეკილს რომ ეძახდა ხალხი, ის გაეგზავნათ მინდორში დილით დაბმული ძროხის სხვა ადგილზე გადასაბმელად... ერთი საათი ცას უცქირა, იქ, სადაც მარჯვენა ღონივრად უნდა მოექნია. და როგორც იქნა, ვეება ლოდი მოიქნია. ურტყამდა კიდევ, კიდევ და კიდევ, პალო მიწაში ჩამძვრალიყო, ის კი ურტყამდა მიწას ღონივრად და როგორც ბავშვი, ისე ტიროდა.“

ჰო, ერთი ტექსტი თითქმის ზეპირადაც დამამახსოვრდა. ოღონდ ისიც მახსოვს, რომ ამ ლექსის კითხვისას, მისი გმირისგან განსხვავებით, ვიცინოდი. ალბათ, ამიტომაც ვკითხულობდი ხშირად (შესაბამისად, ამიტომაც დამამახსოვრდა).

რა ვქნა, მაშინ სხვანაირი მეგონა პოეზია — ვთქვათ, უფრო მყარი რამ, უფრო გამოკვეთილი სახის მქონე, ვითომპოეზიისგან და, მით უმეტეს, არაპოეზიისგან უფრო ადვილად გამოსარჩევი. რა ვიცოდი, რომ პოეზიას შეუძლია, დაიბნეს, გაიდღაბნოს, თავგზა აერიოს, შეიძლება, სულ ერთი გახდეს, როგორი იქნება, რა ხარისხის, ან საერთოდ იქნება თუ არა. ახლა ხომ ვხედავ, რომ ეს ყველაფერი შეძლებია — ერთი ენის სივრცეშიც კი. ხოლო საწყისი ენის საზღვრებიდან გასულს, და მით უმეტეს, სხვა ენაში შუალედური ენის გავლით მოხვედრილს რაღა დაუშლის, კიდევ უფრო პირობითი გახდეს, ვიდრე მანამდე ყოფილა?

ახლა ღვაწლმოსილი მთარგმნელები ნუ აღელდებით, თქვენ შემოგევლეთ — ვიცი, რომ სხვაგვარი შემთხვევებიც არის — განსაკუთრებით, როცა დიდ პოეტებს გენიოსი მთარგმნელები თარგმნიან. მე უფრო ჩვეულებრივი, ბანალური შემთხვევები ვიგულისხმე.

* * *

მაშ, რაღას ვაქნევთ ამ — „ზღვარგადასულ“ პოეზიას, ამ გარკვეულ თუ გაურკვეველ საერთაშორისო პროექტ-კამპანიებს, რომლებიც ხსენებულ საზღვრებს ხსნის და ერთი ენის პოეზიას მეორე ენის გავლით მესამეში მიერეკება?

ამაზე ლიტვური პოეტური ფესტივალის პეტერბურგელი სტუმარი ეკატერინა პოლიანსკაია, ალბათ, მარტივად უპასუხებდა — კულტურა ხალხებს აახლოებს, განსხვავებით პოლიტიკისგან, რომელიც, პირიქით, ხალხებს აშორებსო. ჰო, სხვა ეპიზოდებში ორჯერ თქვა ეს და მესამედაც მოახერხებდა.

პირველად მისი ასეთი პასუხი ადგილობრივი ჭარმაგი პოეტის მიერ წამოჭრილმა თემამ გამოიწვია. კერძოდ ბატონი პეტრას პანავასი დაინტერესდა, თუ როგორ ვეგუებით ქართველები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვას. დამსწრე ქართველებმა პლურალიზმი გამოვავლინეთ: კატო ჯავახიშვილისგან განსხვავებით, მე ვიმედოვნე, რომ ეს დროებითია. ბოლოს კი დავძინე, ჩვენს პოზიციაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, ამ თემაზე კაწია (იგივე ეკატერინა პოლიანსკაია) რას ფიქრობს-მეთქი.

კაწია პოლიტიკური თემებისთვის მომზადებული (ლამის „წინასწარმომზადებულიც“ კი წამომცდა) აღმოჩნდა. თითქოს მთელი სტრუქტურა ჰქონდა შემუშავებული: ჯერ — პოლიტიკაზე ჩამოვარდნილი სიტყვის კულტურის ბანზე აგდების ცდა, მერე — მოხმობა მუშნი ზარანდიას თეორიისა (რა თქმა უნდა, მუშნის დაუსახელებლად და გაუთვალისწინებლად) — რომ ხელისუფლების შეცვლა უარესის უკეთესით ჩანაცვლებას არ ნიშნავს, ხოლო თუ ესეც არ გაჭრიდა — მის ქვეყნის მოქმედი ხელისუფლების მიერ დატრიალებული შიდაეროვნული სიკეთეების წარბშეუხრელად ჩამოთვლაც.

თუ თავდასხმა გინდა, თავდაცვისთვის მოემზადეო — ტყუილად არ არის ნათქვამი. უფრო ზუსტად — სულ ტყუილად არ არის ნათქვამი. კიდევ განვმარტავ: თუ შენს ქვეყანას თავდასხმა უყვარს — შენ თავდაცვა გიწევს, როცა მისი ფარგლებიდან გადიხარ.

აბა, მე და კატოს რა გვჭირდა თავდასაცავი.

ეკატერინა პოლიანსკაია, ალექსანდრა ზინჩუკი, ზაზა ბიბილაშვილი

* * *

ჰო, რომ ვიხსენებ, პოეზიაზე მეტი აშკარად პოლიტიკაზე გვილაპარაკია. არც მიკვირს: უკანასკნელი თემა ხომ ყოველთვის უფრო აქტუალურია, და უფრო ადვილიც.

პოლონელი სტუმარი პოეტებიც პოლიტიკურად შემართულები ჩამოსულიყვნენ. მაგალითად, ალექსანდრა ზინჩუკმა გამარჯობა-გაგიმარჯოების მერე ის გვკითხა, როგორ ფიქრობთ, რუსეთის მომდევნო სამიზნე ვინ იქნებაო. მოგვიანებით კი, იუკნენაის ივენთზე, ფესტივალში მონაწილე ქვეყნების დროშებიდან ერთ-ერთის დანახვამ დემარშისკენ უბიძგა — პირადი პროგრამა შეაცვლევინა და უკრაინის მხარდამჭერი ლექსი წააკითხა, სათანადო გამომეტყველებითა და პათოსით.

ლექსის პათოსი გავიგეთ, შინაარსი და ხარისხი — ვერა. ენა არ გვესმოდა — არ გვესმოდა, ვერც მსმენელის რეაქცია გვკარნახობდა რამეს. უბრალოდ, ლიტველ მსმენელს (გნებავთ, ლიტველს) მაინცდამაინც არ უნდა ახასიათებდეს რაიმეზე მკვეთრად რეაგირება.

თუმცა ნუ დავუკარგავთ იუკნენაურ აუდიტორიას: შავი, თავზე კუწკუწა თმადაზვინული და დუტისქურთუკიანი კატოს დანახვაზე ნამდვილად გაიღიმა — კეთილად, და, ალბათ, ეგზოტიკასთან შეგებების ნიშნად.

სამწუხაროდ, კატოს მხარი ვერ ავუბი. ეგზოტიკურობა კი არა, ერთი-ორჯერ ისეთი ძარღვიანი ლიტვურით გამომელაპარაკნენ, არალიტველობის გამხელა მეუხერხულა და ღიმილითღა დავუქნიე თავი...

* * *

ლიტვაში მოხვედრილი ქართველი იმასაც მალე აღმოაჩენს, რომ ტემპერამენტი ერთადერთი არ არის, რაც იქაურებისგან განგვასხვავებს.

ერთი დიდი განსხვავების დასანახად კი ლიტვაში მოხვედრაც არ არის საჭირო და იმის შეტყობაც კმარა, რომ პოეზიის ტრადიციულ საერთაშორისო ფესტივალს (რომელზეც წელს კატო ჯავახიშვილი და მე აღმოვჩნდით), ტრადიციულად, ქალაქ უტენის ბიბლიოთეკა (დირექტორი — ვიდა გარუნკსტიტე) მართავს.

და თუ გვინდა, ეს განსხვავება რამდენადმე აღმოვფხვრათ, იგივე, ვთქვათ, ქარელის ბიბლიოთეკამ უნდა გააკეთოს.

მაინც რა უნდა გააკეთოს და — რამდენიმე დღით უმასპინძლოს რამდენიმე ქვეყნის რამდენიმე პოეტს, გაცილებით მეტ ადგილობრივ პოეტს, დააბინავოს, გამოკვებოს და, რაც მთავარია, ღონისძიებებითა და ექსკურსიებით დახუნძლული პროგრამით გაასავათოს ისინი.

ჰო, ამ ფესტივალის ფარგლებში დავრწმუნდი, რომ ზემოთ ნახსენები „ეშმაკების მუზეუმი“ „შემთხვევითი ლექსი“ არ არის; და რომ მისი ინსპირატორი შეიძლებოდა ყოფილიყო, როგორც სათაურში მოხსენიებული დაწესებულების უნიკალურობა, ისე, ზოგადად, მუზეუმების სიმრავლე პოეტის მასპინძელ ქვეყანაში. დიახ, ლიტვა წვიმის, ტბების, ტყეების, ქარვის და შოკოლადის გარდა, მუზეუმების ქვეყანაცაა... ან იქაურები ძალიან ცდილობენ, რომ სტუმრებს ასეთი შთაბეჭდილება შეუქმნან.

* * *

ეთნოლოგიური, ეთნოკოსმოლოგიური, რეპატრიაციის, ქარვის, შოკოლადის, კერამიკის, ხის ნაკეთობების, დახურული, ღია, სახელმწიფო, კერძო... არ ვიცი, იქნებ სინამდვილეში არც ისე ბევრია, მაგრამ როცა მთელი ღამის ნაფრენი მთელი მომდევნო დღის განმავლობაში მუზეუმიდან მუზეუმში გადადიხარ და გიდის ვრცელ-ვრცელ მონოლოგებსაც ორ ენაზე ისმენ, უთვალავი გეჩვენება.

რაო? ფრენის შემდეგ დაგვესვენა? ან შიგადაშიგ შეგვესვენა? და საერთოდ, ერთი-ორი მუზეუმი გამოგვეტოვებინა? ნუ მკრეხელობთ! როგორ შეიძლება! როგორ შეიძლება, გადაუხვიო იმას, რაც პროგრამაში წერია?! რატომ არ შეიძლება? იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ პროგრამაში წერია!

ანუ, როგორც ერთ წიგნში იტყოდნენ: დაწერილია. ხოლო რაც დაწერილია, აუცილებლად უნდა აღსრულდეს.

მერე რა, თუ თავიდანვე დაღლილი ხარ. რა მოხდა, თუ ცივა. დიდი ამბავი, თუ ღიაცისქვეშა კერძო ასტროლოგიური მუზეუმის დათვალიერება და მისი პატრონის ერთსაათიანი ლიტვურენოვანი ლექციის მოსმენა წვიმაში გიწევს. ვერაფერს შეცვლი, ვერაფერს ჩაანაცვლებ, ვერაფერს ამოიღებ ამ გაძეძგილი პროგრამიდან, რომლის წყალობით თითოეული საფესტივალე დღის ბოლოს ზღაპრულ ლელიუნაიმდე მხოლოდ ძილის თავი მიგყვება.

არა მგონია, ჩვენ გვერჩოდნენ რამეს. უფრო სწორად, უკვე დარწმუნებული ვარ, რომ მომავლის დაწვრილებით დაგეგმვა, ამ გეგმის გაწერა და გაწერილის დეტალურად შესრულება (გნებავთ, სხვაგვარად — წესების, კანონების შემოღება და მათი ერთგულება) ლიტველების ცხოვრების წესი და ამ ერის მთავარი ნიშან-თვისებაა.

ეს უნდა იყოს ერთ-ერთი საფუძველი, რაზეც დღევანდელი ლიტვა დგას.

* * *

კიდევ ერთი, რასაც არასააღდგომო დღეების თბილისიდან ჩასული სტუმარი ვილნიუსის ქუჩებში (უტენის ქუჩებზე ლაპარაკი აღარ არის) იუცხოებს, სიხალვათეა — აი, დაახლოებით ისეთი, როგორიც სააღდგომო თბილისში. ლიტვურ სოფელში შესულმა კი, წესით, თავი ღვთის უბეში, კერძოდ, ქალღმერთ ფლორას უბეში მოხვედრილად უნდა იგრძნოს. ჰო, შეიძლება, ის ჩვენებური ლეგენდაც გაახსენდეს, ღმერთმა გარკვეული ფართი ჯერ თავისთვის რომ დაიტოვა, მერე კი ერთ ქეიფისა და დაგვიანების მოყვარულ ხალხს აჩუქა. ანუ ლიტვური სოფელი იმ „ფართსაც“ ჰგავს, ოღონდ — ადამიანებისთვის ჩუქებამდე. მხოლოდ იმას არ ვგულისხმობ, ეს ლამის ასპროცენტიანი სიმწვანე, ეს ხავერდოვანი ეზოები ხელთუქმნელის და ხელდაუკარებლის შთაბეჭდილებას რომ ტოვებს. იმის გახსენებასაც ვაპირებ, რამდენიმე სოფელი რომ გავიარ-გამოვიარეთ და თითქმის არავისთვის მოგვიკრავს თვალი — რა თქმა უნდა, ფესტივალის აუდიტორიის გარდა.

ასეთი სიხალვათე ადამიანების ყოველდღიური სამყაროთი გადაღლილ კაცს ეამება, დაკვირვებულ კაცს კი ადგილობრივი მოსახლეობის სიმცირეზე დააეჭვებს. ხოლო იმის შეტყობა, რომ ევროკავშირში გაწევრებიდან მოყოლებული (ანუ სულ რამდენიმე წელიწადში) ლიტვიდან მოსახლეობის მესამედი გავიდა, ერთსაც და მეორესაც აფიქრებინებს, რომ თურმე არც ამ მიწაზე სუფევს დედამიწური სამოთხე.

აქვე გამოვტყდები, რომ პირადად მე დედამიწური სამოთხეების არსებობისა საერთოდ არ მჯერა. შესაბამისად, მგონია, რომ ხბოს აღტაცების მიმართვა ხსენებულ პლანეტაზე არსაით ღირს, მათ შორის, არც — ევროპისკენ. არ ღირს თუნდაც იმიტომ, რომ როცა ევროპას მართლა შეეყრები, იმედგაცრუებული არ დარჩე.

ეგ კი არა, არც ყოველივე სხვაგან ნანახის დადებითად ან უარყოფითად შეფასება, გადმოღება ან კატეგორიულად უკუგდება მგონია აუცილებელი. იქნებ ჯობს, უბრალოდ, შეხედო, ინფორმაცია მიიღო, თვალსაწიერი გაიფართოო, დატკბე მსოფლიოს მრავალფეროვნებით. ვიდრე ის ასეთია. ან ვიდრე არის.

ისე კი, დარწმუნებული ვარ, ევროპაშიც შეიძლება გადაეყარო იმას, რისი სწავლა-გადმოღებაც შესაძლებელია, მაგრამ ჯობს, არ ქნა ეს. უფრო სწორად, ეს კატეგორიულად არ უნდა ქნა.

* * *

დეტალურად არ მოვყვები, როგორ და რისთვის დაგვაჯარიმეს მე და კატო ლიტვის მეზობელი ქვეყნის დედაქალაქში, რომელშიც ვილნიუსიდან უკანა გზაზე ორიოდე საათით მოვხვდით და რომლის ამ ორიოდე საათში ნახვა და შეყვარებაც გადავწყვიტეთ.

ზოგადად, დოკუმენტურ ტექსტს პრაქტიკაში ერთი სერიოზული ნაკლი აქვს ხოლმე — დოკუმენტური არ არის. საერთოდ, სიმართლის თქმა, დაწერა იმაზე

კატო ჯავახიშვილი რეპატრიაციის მუზეუმში

გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ზოგჯერ გვგონია. ადამიანს (თუნდაც, ავტორს) არასაპრეზენტაციო შემადგენელი, ალბათ, გამოსაჩენზე მეტი აქვს. არ ღირს ფურცელზეც იმდენჯერ შეიგინო, რამდენჯერაც გულში იზამ ამას; არ გამოჩნდება ლამაზად. ხოლო თუ უცხო ქვეყნის ამბებს წერ, შეუძლებელია, იმაზე არადიპლომატიური საქციელი ჩაიდინო, ვიდრე ჭეშმარიტად დოკუმენტური ჩანაწერის შექმნაა.

სხვათა შორის, მარტო დაწუნებულზე არ ვამბობ. შეიძლება, ძალიან, ძალიან მოგეწონოს და ეგეც არ დაწერო, ვერ დაწერო, არ გამოდიოდეს დაწერა...

ამ შემთხვევაზე, მით უმეტეს, მოკლედღა ვიტყვი: არ მჯერა ქვეყნის ჯარიმებით აშენებისა, მით უფრო, ტურისტების, სტუმრების ჯარიმებით. თან აქვე ვიმედოვნებ, რომ ლიტვის მეზობელი სახელმწიფოს წვრილი ჩინოვნიკების უმეტესობაც სწორედ ასე ფიქრობს და არა ისე, როგორც ზოგი მათგანი.

ეგ არის, ფაქტია, რის მოსწრებასაც იმ დღეს ორი ქართველი ტურისტი თუ სტუმარი აპირებდა, ვეღარ მოესწრო.

ისე, იმათაც რა უნდოდათ, გაეძლოთ ის ორიოდე საათი აეროპორტში და შერჩენოდათ ნაგულისხმევი დედაქალაქის როდისმე ნახვისა და შეყვარების იმედი. შორიდან ხომ ბევრი რამ უფრო მომხიბლავია, ვიდრე — სინამდვილეში.

* * *

ავიღოთ, მაგალითად, საქართველო.

არა, იმ ორიოდე დღეში ნოსტალგიას ნამდვილად არ დაურევია ხელი. მაგრამ სულ გვახსოვდა ჩვენი ქვეყანა. კაცმა რომ თქვას, დავიწყების საშუალებასაც არ გვაძლევდნენ.

პოლონელების კეთილგანწყობაზე ვრცლად დაწერას მომავლისთვის გადავდებ — აი, იმ დროისთვის, როცა უფრო მეტ პოლონელს გავიცნობ და მეტი საფუძველი მექნება, ეს კეთილგანწყობა ზოგად მოვლენად მივიჩნიო. თუმცა იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ ალექსანდრასა და ვოიცეხის თბილი დამოკიდებულება მხოლოდ კატოს და ჩემს პიროვნულ ხიბლს არ გამოუწვევია. სავარაუდოდ, არც „ბორჯომს“ უკვეთდნენ კაფეებში მაინცდამაინც ჩვენი ხათრით. ალექსანდრამ ისიც გვითხრა, რომ ძალიან უნდა საქართველოს ნახვა და ადრე თუ გვიან ამას აუცილებლად მოახერხებს.

აი, ბევრი ლიტველი პოეტი კი უკვე ნამყოფია საქართველოში. ვინც არ არის ნამყოფი, ჩამოსვლა უნდა, ვინც ნამყოფია — კიდევ ერთხელ ჩამოსვლა.

პოეტმა და გამომცემელმა ვიქტორას რუჯანსკასმა კი სულაც ასეთი რამ გვიამბო: მას და მავან ბელორუს პოეტს საუბრისას აღმოუჩენიათ, რომ უცხო ქვეყნებიდან ორივეს ერთადერთი — საქართველო ენატრება. ბელორუსს ესეც დაუძენია: თავის დროზე ამის მიზეზი ვეძებე და ბოლოს მივხვდი: ჩვენთან ღმერთი აღარ არის, საქართველოში — ჯერ კიდევო.

არ ვიცი, უკეთესი რა უნდა ვთქვა სხვა ქვეყანაზე, რომელიც მომეწონება. თუმცა მე ხომ მიწიერი სამოთხეებისა არ მჯერა, ბელორუსი პოეტისგან განსხვავებით.

და ეს არ იყო ერთადერთი კეთილი ამბავი, რომელსაც ლიტველები საქართველოზე ყვებოდნენ.

ქართველებსაც გვახსენდებოდა ჩვენი ქვეყანა და, წარმოიდგინეთ, ვხვდებოდით, რას შეიძლებოდა, ეს შთაბეჭდილებები, ასეთი მონატრება გამოეწვია; გვახსენდებოდა ჩვენი ხალხი — თბილი, ღიმილიანი, მხიარული, ემოციური, არტისტული, სტუმარზე გადამყოლი... იქნებ სადღაც შიგნით ბოროტების შემნახველიც, მაგრამ ამას ხომ სტუმრებს ვუმალავთ.

* * *

ჰო, ვუსმენდი ლიტველ პოეტებს და ვრწმუნდებოდი, რომ რაღაც გვიზიდავს ერთმანეთისკენ. სადღაც არის ამისი საფუძვლები, კოდები.

სხვათა შორის, ერთი პატარა კოდის მსგავსი რამ უტენის ფესტივალამდე მთელი წლით ადრე აღმოვაჩინე — აი, მაშინ, პირველად რომ ვთარგმნე ლიტვური ტექსტი... უფრო სწორად კი, ნანა დევიძის მიერ „ბწკარედულად თარგმნილ“ მინიმაში რამდენიმე სიტყვა რომ გადავანაცვლე.

იმაზე არ ვამბობ, მინდაუგას ვალიუკასთან ამოკითხულმა — „საღამო პარკი. მე და კოღოები — ერთი სისხლისანი“ — ჩემი ადრე დაწერილი — „ახლა მოვკალი კოღო — ჩემი სისხლი და ხორცი“ — რომ გამახსენა. ცოტათი უფრო მნიშვნელოვან აღმოჩენას ვგულისხმობ:

„ლია ლიეტუს“ — ეწერა მინდაუგასის სხვა მინიმაში. ბწკარედული თარგმანით კი ირკვეოდა, რომ „ლია“ ქართულად „წვიმაა“, ხოლო „ლიეტუს“ — „წვიმს“. აქვე იმასაც თუ დავამატებთ, რომ „ლიტვა“ ანუ „ლიეტუვა“ სწორედ ამ სიტყვებიდან მოდის და „წვიმიანეთს“ ნიშნავს, ნათელი გახდება, როგორი მნიშვნელოვანი სიტყვაა „ლია“ ლიტვისთვის და ლიტვურისთვის. ბოლოს კი, ვინც არ იცის, შევატყობინებ და ვისაც არ ახსოვს, შევახსენებ, თუ რას ნიშნავს ეს სიტყვა ქართულად: „ლია“, საბას მიხედვით, საფლობი ტალახია, ქართულ-კახურად კი სულაც — „მოვარდნილი ან მიშვებული წყლის ღვარი ან გუბე“ („ვენახში წყალი შევუგდე, ბოლოში დადგა ლიაო“ (ხალხ.) „მეორეს ზურგზე გოდორი ჰკიდია და ლიებში თევზებს იჭერს“ (ზღაპ.); „დაასხა და რა დაასხა [წვიმამ], რომ სულ ლიები წავიდა“ (ს. მგალობ.)“).

არ ვიცი, ეს ფაქტი რამდენად იმსახურებს ურთიერთმიზიდულობის კოდის სტატუსს, მაგრამ დილეტანტი ეტიმოლოგის გულის რეჩხისთვის ნამდვილად გამოდგება.

თუმცა გამოცდილება გვასწავლის, რომ ენობრივი დამთხვევებისთვის ზედმეტის აკიდება არ ღირს. და იქნებ — არც პოეზიისთვის; განსაკუთრებით, იმ პოეზიისთვის, რომელიც ერთი ენიდან მეორე ენის გავლით მესამე ენაში გადასვლას ცდილობს. იქნებ მისთვისაც საკმარისია, ხალხების დაახლოების მიზეზი ან თუნდაც საბაბი გახდეს.

მაშ, იყოს ეს რამდენიმე თარგმანიც — თუნდაც ამისთვის; ან თუნდაც იმის მორიგ დასტურად, რომ რაღაც გვიზიდავს ერთმანეთისკენ...

ასტროლოგიური მუზეუმი ღია ცის ქვეშ

მარიუს ბუროკასი

*

წიგნები

ჩემი ბილიკები
ჩემი ბაღია
თავშესაფარი
საავადმყოფო

წინადადებებს ჩაფრენილი
მდელოს გავცქერი

— ხშირია შენი
სტრიქონგისოსი

ვმარცვლავ და ვმარცვლავ
ლექსების აბებს

გლუვებს
როგორიც კენჭებია
შავი ზღვის პირას

ამ დროს კი

ამ დროს
მინდა ვიყო
ერთი მათგანი —

შეჭურვილები
სადავეებჩაბღუჯულები
შუბშემართულნი

ჰეგზამეტრად
შეკაზმულ ეტლებს

გაშმაგებული
ღრიალით რომ
მიაგელვებენ

ჩვენთვის
ქვისზურგებმოქცეული
ღმერთებისაკენ

პარიზი 20151113*

ჩვენი ძაღლები
აღარ ყეფენ

აღმოსავლეთში
დასავლეთში
სირენები იყეფებიან

იმსხვრევა მინა

მეორე დღეს იფარება
სისხლი ყვავილით

კვლავ სიმშვიდეა

ოღონდ
ღამით

ჩვენიანების სიახლოვეს
თვალღია ვწევართ

და ბასრი სიმის
ავ ზუზუნს
ვუსმენთ

* პარიზის ტერაქტის თარიღი

იურგიტა იასპონიტე

მიწის შელოცვა. ახალმთვარობა

1.

თითქოს შორიდან ვიღაც გიხმობდეს
დროდადრო ვიღაც შემოგძახებდეს
ჩრდილოეთისკენ გაწოლილიყოს
თითქოს სათიბის ყველა ნამხრევი
თითქოს მიწასაც გაღვიძებოდეს
და შენც იცოდე
რა გააკეთო.

იყინება და ტყდება ძაფი —
ახალშობილი მთვარის ჭიპლარი.

2.

დამღალა ართქმამ
უნდა ამოვთქვა
სწრაფად
ვიდრე მარცვალს თესავენ

ასეთ დროს მიწა
მოხიბლული ჯადოსიტყვებით
სიცოცხლეს
კანში ვეღარ იტევს
ეხვევა ფესვებს ხელისგულებით
რომ ყველაფერი
ზედაპირზე ამოიტანოს

ვიდრე ჩემზე უარის თქმა მწმენდს
ვიდრე შიშის თვალები მცდიან.

3.

და დაგვიფარე თქეშისაგან
რომელიც უფრო მეტს გვპირდება
ვიდრე გვჭირდება
მოგვეცი პირიც საკმარისი
თუ მინდვრებიდან მოსავალი
შემოგვისიე

ვიცი, დედა ხარ
საუკუნოდ ჩავზრდილვარ შენში
და ამოგლეჯა
გადამაქცევს საკუთარ თავად

ვიცი, გვიყვარხარ
არა იმისთვის
რომ ჩვენს ლოცვას შეისმენ და
მოსავალს გვჩუქნი
არა იმისთვის
მგმობელ პირსაც რომ გამოკვებავ
რომელსაც ვერც კი გაუგია
რა ასულდგმულებს —

უპირობობა შენი
ყველაზე სრულყოფილი სამართალია.

დაე გვფარავდეს ზეცა
წვიმის დროს.

4.

იყინება და ტყდება ძაფი —
ჭიპლარი, რითაც დედამიწას
უერთდებოდა
რიჟრაჟის მთვარე ვარდისფერი —
დამცველი ფარი

საღამოს რომ იბადება
შიშველი.

→

ნდობა

ზოგჯერ იმაზე მეტად მტკივა
ვიდრე მგონია
ზოგჯერ ტკივილი
თავის თავზე უფრო დიდი ჩანს
ზოგჯერ ქმარი ხარ საყვარელი
ძმაც ამავე დროს
ზოგჯერ ისარი
ჩაგიტყდება
ამოძრობისას

ვიცი
მდინარე ყოველთვის რომ მიედინება
მაგრამ მე მაინც სულ ვამოწმებ —
მიედინება?
ხან საჭიროა
სულ ცოტათი მაინც იცოდე
რომ სიცოცხლე მართლა არსებობს
და რომ იმაზე ოდნავ მეტია
რაც ზედაპირზე აირეკლება
ხან საჭიროა უბრალოდ იგრძნო —

როგორ ტყდება
მოსიყვარულე ხელში
ისარი
ხან პატიება უნდა ისწავლო
ხან კი საჭირო არაფერია
ოღონდ კი იყოს რაღაც
რისთვისაც

იქნები

მინდაუგას ვალიუკასი

ქვა

აღარა სუნთქავს

თუმცა ჯერ კიდევ
თბილია

*
რა ლამაზი ვარ

ფიქრობდა

და კიდევ უფრო წითლდებოდა
ნეკერჩხალი.

ქვეითი იკაროსი

ობობა

მიმცოცავი
სანთლის
ალისაკენ

დაუსპრუნგასის შენიშვნა №12

პირველი ტალღაც
მოსწვდა ნაპირს

როცა გემი თვალს მიეფარა

*
მტრედის მკერდი

საუკეთესო დელიკატესი
ჩვენი ეზოს კატებისათვის

რასიზმი

თეთრები იწყებენ
და იგებენ

დაუსპრუნგასის აღმოჩენა №203

ეს ერთადერთია
უგამონაკლისოდ
რაც ყველას უხდება

კლოუნის ცხვირი

დაუსპრუნგასის ბოლოსწინა აღმოჩენა

რაც
არ
მკლავს

მაქცევს
მკვლე
ლად

გახსოვდეს სიკვდილი

თევზის
სექტორში

მოცურავე ზუთხების
გვერდით

ალაგია
ზუთხის თავები

სტიგმის ნეგატივი

ციცინათელა
ხელისგულზე

ოთახშია

მაგრამ
არ არის

თარგმნა ზაზა ბიბილაშვილმა



ხელოვანთა კედელი ვილნიუსში

ზაალ სამადაშვილი

კალამს მიდევნებით დაწერილი

* * *

ალბათ ვცდები, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ბევრ რამეს უკეთ მოვყვებოდი, სახელმწიფოს წიგნები რომ არ გადაემალა ჩვენთვის. მოთხრობები და რომანები, რომლებსაც დღეს ვკითხულობ, იმ დროს უფრო გამომადგებოდა, როცა ხელობის შესწავლას ვიწყებდი. დაზღვეული ვიქნებოდი ერთი ადგილის ტკეპნისგან, ბორბლების გამოგონებისგან და ისეთი ტექსტებით აღფრთოვანებისგან, რომლებიც ამას არ იმსახურებენ. წიგნებს ადრეც მალავდნენ და ის გადამმალავებიც ადამიანების სულებზე, მათ შეურყვნელობასა და აუმღვრევლობაზე ზრუნვით ხსნიდნენ ამას... თუმცა, ყმაწვილ ბენედიქტელ ადსოსგან განსხვავებით, მე არ მყავდა მასწავლებელი, რომელიც უილიამ ბასკერვილელივით სანათურით ხელში გამიძღვებოდა იდუმალი ბიბლიოთეკის პირქუშ ლაბირინთებში.

ეს აბზაცი იტალიელი მწერლის — დინო ბუცატის „თათრების უდაბნოს“ წაკითხვამ დამაწერინა. მოკლედ ვიტყვი, 1940 წელს გამოქვეყნებული ეს რომანი ორმოცი წლის წინ რომ ჩამვარდნოდა ხელში, ჩემი საწერი მაგიდის თავზე ამ რომანის ავტორის ფოტოსაც გავაკრავდი „PAPA“-ს ფოტოს გვერდით.



შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ და გაგეცინოთ, მაგრამ ასეა, მხატვრული ტექსტების წერის სურვილი ორმა ეპიზოდმა აღმიძრა ორი მაგარი მწერლის ცხოვრებიდან, მათ მიერვე აღწერილმა.

ერთი ის არის, რომელიღაც წვიმიან დღეს ახალგაზრდა „papa“ სენ-მიშელის მოედანზე კაფეში რომ შედის, რძიან ყავას რომ უკვეთავს, ჯიბიდან ბლოკნოტს და ფანქარს იღებს და წერას იწყებს. ცოტა ხანში დაახლოებით მისი ასაკის ქალი რომ შემოდის და ფანჯარასთან ჯდება, ნაზი, წვიმით აპრიალებული კანი „ახალმოჭრილ მონეტასავით რომ უბზინავს“... და ამის მერე მოთხრობა თავისით, ზედმეტი წვალების გარეშე რომ იწერება. რძიან ყავას რომი „სენტ-ჯეიმზი“ რომ ანაცვლებს, „სენტ-ჯეიმზს“ კი, ნახევარი გრაფინი თეთრი ღვინო და პორტუგალიური ხამანწკები...

მეორე ეპიზოდი ტომას ვულფისაა, ლონდონური. ის ლუდხანაში შედის, ოღონდ საწერად არა, დასანაყრებლად. ისიც ახალგაზრდაა, რომანზე მუშაობს, დღე და ღამე გასწორებული აქვს, თოთხმეტ-თექვსმეტ საათს უთმობს წერას. მაღალი, ბრგე ბიჭია, კატორღული შრომა დევის მადას უღვიძებს. რამდენიმე ულუფა ბიფშტექსს თვალის დახამხამებაში ნთქავს და ლუდს ლიტრიანი კათხებით აყოლებს. სულს რომ ითქვამს, ირინდება და მაღალ, უზურგო სკამზე შემომჯდარ აკორდეონისტს უსმენს, შუახნის ჩია კაცს, კოტიტა თითებს შავ-თეთრ კლავიშებზე რომ დაასრიალებს...

ფრიად ამპარტავნულ სურვილს — მეწერა მათსავით, წინ უსწრებდა სურვილი — დავმტკბარიყავი და დავღლილიყავი წერით, როგორც ისინი...

* * *

მუშტაიდში სასულე ორკესტრი უკრავდა, გორკის ბაღში — ჯაზური. იქ, გაღმა პლეხანოვზე მარშები და პოლკა-მაზურკები ჩაესმოდათ მოსეირნეებს, აქ, ჩვენთან, ჩულურეთში — „chatanooga“ და „sing, sing“-ი. ბენი გუდმენი ახალი ნამყოფი იყო თბილისში, „მზიური ველის სერენადა“-ც კვლავ გადიოდა ეკრანებზე, მაგრამ ამერიკული საღეჭი რეზინი ისევ არალეგალურად იყიდებოდა და „სტილიაგებს“ ისევ კარიკატურებს უძღვნიდნენ „ნიანგში“. გორკის ბაღის ორკესტრის მესაყვირეს არც სქელლანჩებიანი ფეხსაცმელები, ეგრეთ წოდებული „ბუგები“ ეცვა და არც პალმებით მოხატული ჭყეტელა პერანგი, მაგრამ ქცევით ნაღდი „სტილიაგა“ გახლდათ. გამხდარი იყო, მაგრამ როცა უკრავდა, ჩაცვენილი ლოყები საჰაერო ბურთებივით ებერებოდა. დანარჩენი ორკესტრანტებისგან განსხვავებით, ფეხმოუცვლელად, დამსხდრები რომ უბერავდნენ საქსოფონებსა და ტრომბონებში, ის დროდადრო დგებოდა და თავის მბზინვარე ინსტრუმენტს ხან ზევით, საზაფხულო ესტრადის გოფრირებული ჭერისკენ აღმართავდა, ხან ქვევით, იატაკისკენ დაუშვებდა... როდის-როგორ, გამოსაცემი ხმის სიმაღლე და ტემბრი განსაზღვრავდა ამ მოძრაობებს. დაკვრას რომ შეწყვეტდა, სცენასთან ახლოს თუ იდექი, ორ პატარა ნაჭდევს დაუნახავდი ტუჩებზე. უფროსი ბიჭები ამბობდნენ, ნასვამი უკრავს, სცენაზე ისე არ გამოდის, ორასი გრამი თუ არა აქვს „ჩარტყმულიო“... ერთხელ ბუჩქებში დავიმალეთ, ესტრადის უკან, რათა ამ სიტყვების სიმართლეში დავრწმუნებულიყავით. მეგობრების, ჩემსავით თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭების რა გითხრათ, მე კი, კონიაკით სავსე ბრტყელი ბოთლის მოყუდებაზე მეტად იმან მომტაცა თვალი, „ჩარტყმის“ მერე კიბეზე რომ ჩამოჯდა, მხარიღლივ გადაკიდებული ცილინდრის ფორმის ყუთივით ჩანთა რომ მოიხსნა, მუხლებზე დაიდო და იქიდან ფრთხილად, ძალიან ფრთხილად, თითქოს ჩვილი აჰყავს ხელშიო, საყვირი რომ ამოიღო... დააცქერდა, ხელი გადაუსვა, სპილოსძვლისფერი მუნდშტუკი მოარგო და მსუბუქად ჩაბერა, ხმის გამოუცემლად, ყელი ჩაუწმინდა თითქოს...

გორკის ბაღელი მესაყვირე მაილს დევისის ავტობიოგრაფიულ წიგნში ამოკითხულმა ამბავმა გამახსენა — მუსიკოსი რომ ბრაზობს, ეს რა მომიგონეს, ვითომ ერთ წვიმიან საღამოს კლუბში დასაკრავად მისულს, აბარბაცებულს და გალუმპულს, საყვირი ქაღალდში მქონდა გახვეულიო. განმარტავს, როგორც არ უნდა ვიყო დამძიმებული, რა საშინლადაც არ უნდა ვგრძნობდე თავს, ინსტრუმენტს ყოველთვის განსაკუთრებულად ვუფრთხილდებიო.

ტარიელ ჭანტურია

დაწყვეტილი სერპანტინი

* * *

აღმართ-აღმართ მივდიოდი მეც ნელა!
აკაკისგან განსხვავებით — მეძნელა...

გარდაცვლილ ძმაკაცს

გვაქვს ქვეყნის საქმე:
იქ — შენ და აქ — მე!

* * *

— გამორიცხული არაა,
მკვდარს — **კლასიკოსი** დამარქვათ! —
იცით თქვენ ცოცხლის წამება
და მკვდრის — ბრწყინვალედ დამარხვა...

* * *

— მე არ ვწერ ლექსებს —
ლექსს სხვები წერენ:
აკაკი
ვაჟა.
ტაბიძე.
ტერენ...

* * *

— ისე, ისე კარგად ვარ,
ისე, ისე ცუდად... —
ვერც მიწას ვთვლი ქალამნად
და ვერც ზეცას — ქუდად...

რუსთაველი

— როგორ გადის ას წლებს!
თან — ყველაფერს ასწრებს!

* * *

— ჩვენ დღეს ესეც კი არ ვიცით
მტკიცედ, ზუსტად, უცილობლად —
გვიან გვეტყვის ალბათ ღმერთი,
ძილი ჯობს თუ **უძილობა!**

* * *

დაგვიძრო შემოდგომამ ყვითელი! —
გვაფრთხილებს — ზამთარია შემდეგი...

* * *

— ხომ ძალიან მიყვარს მიწა,
მაგრამ უფრო **ცა** მიყვარს! —
ველოდები, ერთ მშვენიერ
დღეს **ცაში** რომ წამიყვანს!

რა იუმორია ახლა ეს

— კარგია, რომ დამიწდი! —
ასე უფრო დამიცდი!

პლანეტის დასასრული
დედამიწა არ იგულისხმება

— აქ — მიწაა, და იქ — ცა!
ცისგან მიწა დაიქცა!

ლექსპრომტი-რეპლიკა

— ებრძვით პოეტურ თაობებს
წმიდა სახელით — **გალათი!**
ეს — პოეზიის მტრობაა,
საერთოდ — სიტყვის ღალატი!

!

პოეტები — გიჟები და
მწერლები — გადარეული!
ამდენ გიჟს რას მოარჩენენ
აგლაძე და დორეული!

* * *

ქმარი გარდაიცვალა
რითმის უკმარისობით!
ცოლი — ორმოცის შემდეგ —
სექსის უქმარისობით!

არჩილ ქიქოძე

სამხრეთული სპილო

დასასრული

შეზარხოშებული პარნიუკი ვერ ხვდება, საით მიჰყავს მაესტროს თავისი იგავი, მაგრამ მისი მორალი წინასწარ მოსწონს, მოსწონს არა — უყვარს ყველაფერი, რასაც ამ ღვთისგან დალოცვილ ქალაქში ეს ზღაპრული კონიაკის დამსხმელი აღმოსავლურად ხელგაშლილი ქარიზმატული კაცი ეტყვის. რეჟისორი კი სიგარეტს სრისავს საფერფლეში.

— სასტიკია ჩემი ალეგორია, მაგრამ, ვფიქრობ, ზუსტი. ჩვენ ისევ მონურ მდგომარეობაში ვიმყოფებით, ხან რუსეთს ვემონებით, ხან — ამერიკას. იმისთვის, რომ გავთავისუფლდეთ, იმისთვის, რომ თავისუფალ ერად ვიქცეთ, ახალგაზრდების სისხლია საჭირო, რომელიც იმ თუთის ახალგაზრდა ნაყოფის მსგავსად მონობის ლაქებს ჩამოგვრეცხავს.

მე კიდევ ჩემი ინგლისურის მასწავლებლის ღიმილიანი სახე და მისი ნათქვამი „დურაკ“ მახსენდება.

— და თქვენ ფიქრობთ, რომ ის მსხვერპლი, რაც საქართველომ უკანასკნელ მეოთხედ საუკუნეში გაიღო, საკმარისი არ არის? — პარნიუკი დასხმას აღარ ელოდება, უკვე თვითონ გადასწვდება ბოთლს და სირჩას ივსებს. ვერცხლის ლანგარზე თხლად დაჭრილი ჩურჩხელა, ინდის ხურმა, ქიშმიში, თხილი და აღმოსავლური კოლორიტი, შირაზის ვარდი და სპარსული ქირმაშალი კედელზე... ბელორუსი ხალხის სინდისი სამოთხეშია მოხვედრილი. მაესტრო ახალ სიგარეტს უკიდებს. Какое силище исходит от мужика! — იტყვის ინტერვიუს მერე სუფთა ჰაერზე გამოსული პარნიუკი... „სილიშე“ არ ვიცი და მოწევით კი მართლა ბევრ სიგარეტს იტანს.

— არა, საუბედუროდ, საკმარისი არ არის და ვშიშობ, წინ ახალი სისხლი და ახალი მსხვერპლი გველის... ამას ვერ ავცდებით...

და მაესტრო ხელებს შლის იმის ნიშნად, რომ ტროელი კასანდრას მსგავსად მასაც არ მოსწონს ის, რისი წინასწარმეტყველებაც უწევს, მაგრამ რა ქნას, თუკი ეგრეა.

იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ მემართება ხოლმე რაღაც ბნედის მსგავსი მდგომარეობა, რომელსაც მუდამ ერთი და იგივე სიმპტომი ახლავს. კლაუსტროფობიით შეპყრობილივით ჯოჯოხეთად მექცევა ის სივრცე, რომელშიც ვიმყოფები და გარეთ მინდა. მაგრამ უბრალოდ გასვლა კი არა, გარღვევა მინდება. უცბად მიჩნდება დაუნდობელი სურვილი, ვლეწო მინები და ფანჯრიდან გავიდე, თუნდაც მაღალ სართულზე ვიყო — ოღონდ მუშტით ან რამე საგნით არა... ფანჯრებს პირდაპირ შუბლით მინდა, ვეხეთქო, აი, ემიგრანტულ „პურსა და შოკოლადში“ ნინო მანფრედი სარკეში საკუთარ ანარეკლს რომ დაატაკებს თაურს და შუბლს რომ გაიხეთქავს, ისე...

— Праздник – დღესასწაული, — უსასრულოდ იმეორებს ნასვამი ვიქტორი ქუჩაში, — ნამდვილი დღესასწაულია ეს კაციც და ეს ქალაქიც. სად ვიყავი აქამდე? რად არ ჩამოვდიოდი?! მინსკი-თბილისი პირდაპირი რეისი დაფრინავს, დაჯექი და წამოდი რა?! ხო უნდა იყო ეგეთი უკანასკნელი იდიოტი, რომ ეს შესაძლებლობა არ გამოიყენო?! დღესასწაული!

— Росомаха опасний зверь……

— Чего дорогой? — ვგიჟდები პოსტსაბჭოთა სლავები საქართველოში „დოროგოითი“ რომ იწყებენ ლაპარაკს. აღარ მომიყოლია ჩემი მასწავლებლის სარკმლიდან დანახულ თუთის ხეზე. ის სულ სხვა ხე იყო, გვერდით მომავალი პარნიუკი კი ღრმა ნირვანაში იმყოფებოდა, გონებაში უკვე წერდა სცენარს თუ არა, ესსეს მაინც, რომელსაც მწვადის, ლავაშის და ნივრის მწნილის სუნი ასდიოდა...

მარჯანიშვილის მოედნამდე მოვსულვარ.

აქ კი ნამდვილი ინდიელი უკრავს ბამბუკის ფლეიტაზე და მარჯანიშვილის მეტროს თავზე კონდორები ლივლივებენ...

ჩამოვიდა... თურქული რესტორნების, ჩინური მაღაზიების, სუდანელი და სირიელი ლტოლვილების კვალდაკვალ სამხრეთ ამერიკელი ინდიელიც გამოჩნდა ჩვენ მიწაზე. გამოჩნდა და, ალბათ, ორი კაპიკის შოვნის იმედიც აქვს. გარშემო შეკრებილი თბილისელები ინტერესით ადევნებენ თვალს მის გარჯას, ფულსაც უყრიან. მე მიყვარს ამ კაცის მელოდია... მართლა მეჩვენება, რომ სხვადასხვა დროს ბრიუსელში და რომში, ბერლინში და ათენში ნანახი ყველა ინდიელი ერთი და იგივე ადამიანია — პირდაპირ ინკების თუ მაიების ბარელიეფიდან ან მელ გიბსონის სისხლიანი კინოდან გადმოხატული პროფილით, თავისი მელოდიური მუსიკის თანხლებით ფერადი ბუმბულებით მორთული ახლა ჩვენ ქალაქში აკეთებს მარტივ ბუქნებს, რომლებიც, შეიძლება, ოდესღაც მისი ხალხის საომარი ხორუმი იყო... ანდების მოხეტიალე შვილმა ჩვენამდეც ჩამოაღწია... გამოდი სახლიდან, ძია როსტომ, გამოდი და შეხედე შენც! ქიაჩელიდან მარჯანიშვილამდე არაფერი მანძილია... თხუთმეტი წუთი... შენს სიარულს გადაჩვეულ ფეხებს შეიძლება, ორჯერ, სამჯერ მეტიც დასჭირდეს, ხმაურიან მეგაპოლისად ქცეულმა ჩვენმა ქალაქმა და შენთვის უცხო მანქანების უწყვეტმა ნაკადმა შეიძლება, დაგაფრთხოს, სამაგიეროდ, საკუთარი თვალით ნახავ ინდიელს, რომელიც პლეხანოველებისთვის უკრავს და ცეკვავს კიდეც და, იქნებ, შენზეც ისევე იმოქმედოს ამ სანახაობამ, როგორც ჩემზე...

აქედან ძალიან შორს, ვილნიუსში, ერთადერთი ადამიანი, რომელიც იმ საფესტივალო წლიდან შემომრჩა, ზის და ცაზე საჰაერო ბუშტების გამოჩენას ელის. „ისინი აღარ გამოჩენილან, გაზაფხული ისე გავიდა, რომ არ გამოჩენილან!“ — წუხილით იწერება ვიდასი, რომელსაც არ სჭირდება არც ფესტივალები და არც დიდება, თითქოს საერთოდ არაფერი სჭირდება ქვეყანაზე, ასოების, სიტყვების, წიგნების გარდა, მაგრამ სჭირდება, რომ ცაში საჰაერო ბუშტები დაინახოს. თითქოს არაფერი უნდა აშინებდეს ამ დაღარული მუხის ხისგან გამოთლილ, კუშტ და შეუვალ კაცს, მაგრამ სიმაღლის ეშინია, დაუძლეველი ფობია აქვს, ვერასოდეს ჩაჯდება საჰაერო ბუშტში და ზევიდან ვერასოდეს გადმოხედავს დედამიწას, მაგრამ აუცილებლად სჭირდება, რომ თავისი ქალაქის თავზე ფერადი ბუშტები დაინახოს, ასე უფრო დაცულად გრძნობს საკუთარ თავს, ოჯახს, ქალაქს, ქვეყანას და სამყაროსაც კი, თუმცა მშვენივრად იცის, რაოდენ ილუზორულია ეს გრძნობა...

გამახსენდა, რომ ვიდასი მათ „ცხოვრების მდგრადობის სიმბოლოს“ ეძახის... ჰო, ეგრე ამბობს... აქ და ახლა მოკლე ფეხებზე მობუქნავე პერუელი თუ ბოლივიელიც ეგ სიმბოლოა ჩემთვის, ოღონდ მე ინდიელს ძებნას აღარ დავუწყებ, მის გაქრობას არ შევიცხადებ, შეიძლება, აღარც გამახსენდეს არასოდეს და არც მდგრადობა მჭირდება რამეში, უბრალოდ ამ წამს აქ არის, გამვლელ-გამომვლელისთვის უკრავს და ეს კარგია... ცოტა ხანს მეც გავუჩერდები, ერთ სიგარეტს მოვწევ, მეტს — არა, მერე გავეცლები აქაურობას... ვიდასი კი, ზუსტად ვიცი, რომ ცასაა მიშტერებული და ელოდება. ყველაზე მეტად ეს უყვარს – ზაფხულის უღრუბლო ცაზე ერთიმეორის მიყოლებით გამოჩენილი ფერადი ბუშტი, ეს ანიჭებს სიმშვიდეს და სიმყუდროვეს. ჩემი თვალით მინახავს, ბავშვივით როგორ ხარობდა მათი შემყურე... ღია კაფეში ვისხედით, ჩვენს გვერდით ორი თუ სამი ახალგაზრდა წყვილი ფოქსტროტს ცეკვავდა, მე რამდენიმე საათში სახლში მოვფრინავდი და უკვე წასასვლელად ვემზადებოდი, როცა მათ გამოიფრინეს, უფრო სწორედ კი ზანტად გადასერეს ცა ვილნიუსის ტაძრების მაღალი გუმბათების თავზე, ჩემს მეგობარს კი ისეთი ამაყი სახე ჰქონდა, თითქოს პირადად მას მოეწყოს ჩემთვის ეს ლამაზი სანახაობა.

ისინი აღარ სჩანან. ზოგი ნატოს საჰაერო წვრთნას აბრალებს, ზოგი — რუსეთის მხრიდან სავარაუდო საჰაერო აგრესიას... როგორც ვიდასის წერილებიდან ვხვდები, ლიტვაში მართლა შიშობენ, რომ უკრაინის კვალდაკვალ რუსეთმა შეიძლება მათაც დაარტყას... როდესაც მე ვილნიუსი დავტოვე, მაშინ იქ მსგავსი არაფერი იგრძნობოდა. კიევის გავლით მქონდა ბილეთი და ბორისპოლის აეროპორტშიც ერთი შეხედვით ჩვეულებრივად იყო ყველაფერი, მაღალფეხება ქალები თითქოს პოდიუმზე დაიარებოდნენ აქეთ-იქით, რეისების გამომცხადებელი დისპეჩერის ხმაც მშვიდი იყო და მხოლოდ მოსაწევ ოთახში, რომელიც ერთადერთი ადგილია მსოფლიოში, სადაც შეიძლება, მართლა შემძულდეს სიგარეტი, რამდენიმე თავგადაპარსული და კინკრიხოზე ქოჩორდატოვებული ურაინელი ნერვიულად ქაჩავდა სიგარეტს. ზაპოროჟიელი კაზაკები წერილს წერენ ყირიმის ხანს... ოღონდ ნახატზე ისინი იცინიან. ამათ არ ეცინებოდათ. „თვითგამორკვევა“ — აი, რა ჰქვია ამას. ჩვენთან წვერები და ჩოხები, ამათთან ზაპოროჟიული „ჩუბები“... უკრაინაში და რეგიონში ყველაფერი ჯერ მხოლოდ იწყებოდა, ჯერ კიევის „მაიდანიც“ არ იყო მომხდარი, ეს რამდენიმე მძიმემზერიანი მამაკაცი კი მხოლოდ დასაწყისი იყო.

თვითგამორკვევის საფასური ძვირია, ბევრად ძვირი, ვიდრე ციდან ფერადი ბუშტების და ქალაქის ქუჩიდან უცხო იერისა და სამოსის მოხეტიალე მუსიკოსის გაქრობა...

ნაკლები – ფინალისტი, მეტი – გამარჯვებული

წლის მთავარი ლიტერატურული მოვლენა – ასე აფასებენ პრემია „საბას“, რომლის ყოველწლიურ დაჯილდოვებასაც ყოველთვის თან სდევს სხვადასხვაგვარი შეფასება. ერთნი ჟიურის წევრების გადაწყვეტილებებზე მსჯელობენ, მეორენი — წიგნებს განიხილავენ. არიან ისეთებიც, ყურმოკვრით, სოციალური ქსელით რომ იგებენ ამბავს და მაინც კომპეტენტურად ამტკიცებენ, რა და როგორ უნდა მომხდარიყო. საბოლოოდ, ყველაფერი ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს – ლიტერატურული პრემია „საბას“ მნიშვნელობა წლიდან წლამდე იზრდება.

წელს „საბა“ არაერთი სიახლით გამოირჩეოდა. ყველაფერი კი დაჯილდოვებამდე ბევრად ადრე დაიწყო. მწერლების გამოკითხვის შედეგად ელექტრონული წიგნების სახლმა „საბამ“ გამოავლინა ჟიურის სასურველი წევრები, ეს სია კი „საბას“ ახალჩამოყალიბებულ მმართველ საბჭოს გადაეცა, რომლის შემადგენლობაში, დამფუძნებლებისა და აღმასრულებელი რგოლის წარმომადგენლის გარდა, წინა წლებში „საბას“ მიერ ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოებული მწერლები შედიან. ხმათა უმრავლესობით წელს მმართველმა საბჭომ (**დავით წერედიანი, ვახტანგ ჯავახაძე, ზურაბ კიკნაძე**) მიიღო გადაწყვეტილება, „საბა 2016“-ის ჟიურის წევრები ყოფილიყვნენ: კრიტიკოსი **ივანე ამირხანაშვილი**, ლიტერატორი **ანა ჭაბაშვილი**, მთარგმნელი **ლელა დუმბაძე**, პოეტი **ანდრო ბუაჩიძე** და მწერალი **ირაკლი ჯავახაძე.** სწორედ ამ ჟიურიმ გამოავლინა საუკეთესოთა შორის საუკეთესოები ჯერ ფინალისტების, შემდეგ კი ლაურეატების სახით.

სიახლე იყო ელექტრონული წიგნების სახლ „საბას“ ინიციატივით ახალი ნომინაციის „დაბადება“ — წლის საუკეთესო ელექტრონული წიგნი. ერთით მეტი გამარჯვებულის გამოვლენასა და ახალგაზრდების ხელშეწყობას ისახავდა მიზნად „წლის საუკეთესო დებიუტში“ ორი ლაურეატის დასახელებაც, რომელთაგან ერთს, ტრადიციულად, ჟიური დაასახელებდა, მეორეს კი — მკითხველი. ეს უკანასკნელი 75 დღის მანძილზე ფინალისტებიდან მისთვის საუკეთესოს აძლევდა ხმას ვებგვერდზე saba.com.ge.

წლევანდელმა „საბამ“ ყურადღება მიიქცია მაშინვე, როგორც კი ფინალისტების სია გამოქვეყნდა. იმთავითვე გახდა ცნობილი, რომ ჟიური მკაცრი აღმოჩნდა დრამატურგებისადმი, როცა ნომინაციაში — წლის საუკეთესო პიესა — არავინ დაასახელა. 9 ნომინაციისთვის კი მხოლოდ და მხოლოდ 37 კანდიდატი შეარჩია. ასე რომ, დაჯილდოვების ცერემონიალისადმი ინტერესი ერთი-ორად გაიზარდა. ყველა ელოდა, ჟიური რა გადაწყვეტილებას მიიღებდა და როგორი აღმოჩნდებოდა პრემია „საბას“ წლევანდელ მფლობელთა ნუსხა.

დადგა 18 სექტემბერიც. მუხრანის ივანე ბატონიშვილის სასახლე ხალხით აივსო. ვის არ მოკრავდით თვალს — აქ იყვნენ მწერლები, კრიტიკოსები, მთარგმნელები, პოეტები, პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები, ღვაწლმოსილი ადამიანები... მოკლედ, ყველა, ვისაც ლიტერატურა ძლიერ ან ოდნავ მაინც უყვარს.

და... დაიწყო მოულოდნელობების კასკადიც. „საბას“ ისტორიაში ყველაზე მცირერიცხოვან ფინალისტთაგან ჟიურიმ ყველაზე მეტი გამარჯვებული დაასახელა.

წლის საუკეთესო ელექტრონულ წიგნად **ოთარ ჯირკვალიშვილის** „ლაზარე“ დასახელდა (ელექტრონული წიგნების სახლი „საბა“); საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკისთვის „საბა“ **თამაზ ვასაძის** წიგნმა — „20 ქართული მოთხრობა“ — დაიმსახურა (გამომცემლობა „ინტელექტი“); **ზაზა ფირალიშვილის** „ირაკლი ფარჯიანი და შეხვედრის მეტაფიზიკა“ (გამომცემლობა „არტანუჯი“) საუკეთესო აღმოჩნდა ესეისტიკასა და დოკუმენტურ პროზაში.

წლის საუკეთესო დებიუტისთვის კი სამივე ფინალისტმა მიიღო „საბა“ — **სალომე მაკარიძე** ხალხის რჩეული გახდა („ჩვენ“ — გამომცემლობა „სიესტა“), ხოლო ჟიურის გადაწყვეტილებით პრემია ორად გაიყო და „საბას“ ლაურეატებად **იუნონა გურული** („დიაგნოზი“ — გამომცემლობა „საუნჯე“) და **ნანა ექვთიმიშვილი** („მსხლების მინდორი“ — „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“) დასახელდნენ; წლის საუკეთესო თარგმანის ნომინაციაში საუკეთესო აღმოჩნდა **თამარ ჯაფარიძისეული** ჯონ ფაულზის „ფრანგი ლეიტენანტის საყვარელი“ (გამომცემლობა „დიოგენე“), ხოლო „ვეფხსიტყაოსნის“ ინგლისურად საუკეთესოდ თარგმნისთვის „საბა“ **ლინ კოფინს** გადაეცა. ჟიურიმ საუკეთესო პოეტურ კრებულად **ბესიკ ხარანაულის** „ყვავი ხის წვერზე ისაღამოებს“ (გამომცემლობა „ინტელექტი“) მიიჩნია; საუკეთესო პროზაულ კრებულად კი **ზაალ სამადაშვილის** „იუნკერ ერისთავის ბუცები“ დასახელდა.

დამსწრე საზოგადოებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ჟიურის კიდევ ერთი გადაწყვეტილება — საუკეთესო რომანისთვის პრემია „საბა“ ორ ავტორს ერგო — **ბექა ქურხულსა** („სამოთხიდან გაქცეულები“ — გამომცემლობა „ინტელექტი“) და **ზურაბ სამადაშვილს** („მოსალოდნელი მოულოდნელობანი“ — გამომცემლობა „გლოსა“).

დაჯილდოვების კულმინაცია, წესისამებრ, იმ ადამიანის დასახელება იყო, რომელმაც ქართული ლიტერატურის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა. ჟიურის გადაწყვეტილება „თიბისი ბანკის“ დამფუძნებელმა მამუკა ხაზარაძემ გააჟღერა და პრემია „საბა“ **ტარიელ ჭანტურიას** ხვდა წილად.

რიგით მე-14 დაჯილდოვება დასრულდა მუსიკალური პროექტით („იმღერე ქართულად“), რომელიც სპეციალურად „საბასთვის“ შეიქმნა.

დაბოლოს, ლიტერატურული პრემიის დაარსებიდან დღემდე „საბამ“ 2400-მდე წიგნი განიხილა, გაიცა128 პრემია, 104-მა ავტორმა (აქედან 13-მა 2-ჯერ ან მეტჯერ) მოიპოვა ლაურეატის წოდება, ჟიურიმ კი 55 ლიტერატორი გააერთიანა — ეს, ერთი შეხედვით, უბრალო სტატისტიკაა, თუმცა ეს სტატისტიკა ქმნის ისტორიას, რომელსაც ლიტერატურული პრემია „საბა“ ჰქვია.

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004